

ქართული ძველი მწერლობა.

ნიკოლოზ I (1149—1160 წ.) ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის მიერ შედგენილი „საკითხავი სუბტის ცხოველისაჲ კუართისა საუფლაჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“



წმ. ნინოს და სუბტის ცხოველის

ცხოვრებაჲ

გამოცემული დ. ს. ს. ზლატ. იოსელიანის ქვრივის ანნა ნიკოლ. იოსელიანის მიერ და მდ. ვასილ კარბელაშვილის რედაქტორობით.

თბილისი

მსწრათლ-მბეჭდავი „მობისა“, მოსკოვის ქუჩა № 5.


1908

ზანდუკი (სარჩევი) წიგნისა

83.

წინასიტყუაობა.	I—IV
ტიპიკონი და წესი განგება დღესასწაულისა-მწუხრისა და ცისკრისა	2
გალობანი სუტის ცხოველისანი	19
სხუანი გალობანი სუტის ცხოველისანი	25
სხუანი გალობანი ამისავე დღესასწაულისანი	30
ოკტომბერსა ა.სა საკიოხავი სუტისა ცხოველისაჲ კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა: მამაო გვაკურთხენ:	36
მოთხრობაჲ აბიათარ მღდელისაგანა კუართისა ზუს საუფლისა თუ ვითარ მოგუენიქაჲ:	47
უწყებაჲ სიღონიას მიერ დედაკაცისა დაბნელებისათჳს და მოქცევისა მირიან მეფისა და პატიოსნისა ჯუარისათჳს და სასწაულთა თჳს რომელნი იქმნეს ნონოჲს მიერ	63
სასწაულნი სუტისანი: პირველი	75
(შობიდან ბრმის ურიის თვალთა ხილება) მეორე (ბავშვის და დედის გადარჩენა მტკვარში დახრჩობისაგან).	76
მესამე სეფეწული ამზასპანის განკურნება	79
მეოთხე (ურიის დედაკაცის მკვდრის შვილის აღდგინება)	80
მეხუთე (ეშმაკეულის კაცის განკურნება)	83
უწყება სასწაულთათვის და სვეტისა	84
სასწაული ჯვარისა ცხოველისანი	90
სასწაული პირველი	92
— მეორე	93
— მესამე	95
— მეოთხე	96
— მეხუთე	97
— მეექვსე	—

—	მეშვიდე	—
სხვანი	სასწაულნი	99
სასწაულნი	სუტისანი მეექვსე	106
—	— მეშვიდე	107
—	— მერვე	109
—	— მეცხრე	110
—	— მათე	—
ჩვენება	სიზმრად დავით (აღმაშენებელისა) მეფისა	114
ეპისკოპოსთა	ფიცი წინაშე სუეტისა ცხოველისა და კურთხევაჲ მათი	118
	გინხაროდენნი ნიკოლოზ ქათალიკოზისა	119
წარწერა	დომენტი კათალიკოზისა	127
ტორპარი		
კონდაკი		
ბოლოს	ფოტოტიპიით გადაღებული წარწერანი	128



შთავრისი შეტომილუბანი.

ბმ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს:
54	მკეთას	მცხეთას
77	ხო	ხოლო
97	სასწაულნი	ჯვარისანი
106	—	სასწაული მეზუთე
107	—	მეექვსე
109	—	მეშვიდე
110	—	მერვე
—	—	მეცხრე
—	—	მათე
—	—	მეერთმეტე



წინასიტყუამობა.

ეს წინამდებარე წიგნი — „საკითხავი სუსტის ცხოველისა: კუ-
ართისა საუფლოდსა და კათალიკე ეკლესიისა“, ანუ მღაბიურად რომ
ვსთქვათ, „სუეტის ცხოველის ცხოვრება“, დაიბეჭდა საფასითა და
გულმხურვალე მონდომებითა დეისტ. ს. ს. ჰლატონ იოსელიანის
ქვრივის, ანხა ნიკოლოზის იოსელიანისათა, რომელიც ღირსია მად-
ლობისა.

წიგნის დიკსებასუდ და მის მღაღ ღიად მნიშვნელობასუდ
ჩვენ ვერას ვიტყვიოთ, ამიტომ რომ, სადაც მზე მნათობს, იქ სინა-
თლე სანთლისა დაშრტების; სადაც ამოსდუღს წყარო ცხოვრებისა —
იქ მწეურვალეებს ადვილი არ უნდა ჰქანდეს. ავქსონის მღაღი მჭევრმე-
ტუველება, რომლითაც განმსჭვალულია ეს შრომა, მისი ცხოველი სარწ-
მუნობა და თავალ შეუწვდენელი სათნობა, მისი ფილოსოფოსური შეხედუ-
ლება ამ საგანსუდ, თავსმდებია ამ ნაწარმოების სიღიადისა, დიდუ-
ბულის „სუეტის ცხოველის“ შესახებ და ჩუენი მსჯელობა უმეტეს
ვერას იტყვიო. წარხდენ ავქსონის მსგავსნი მორწმუნე მწეამსთ-მთავარნი
„მშენნი, მღაბაღნი და რომელინი ძრწოდენ სიტუვათაგან ღუთისათა

ცოდოდ უნდა შეერაცხოს აწინდელს ჩუენს სამღუდელოებას,
მომეტეპული ნაწილი რომლისა კატაცებულია „ჩინ-არდენთა“ ძიებით,
და საკუთარს განდიდების და ქების მისწრაფებითა, და ეს მშუკ-
ნიერი საღუთისმეტრეული მწერლობა, რომელიც შეუსწავლელია
მათგან, ეცემა და ეძლევა დაგვიწებასა ბეგრი მათგანი რაღაცას
შრომობს, ბჭობს, ბუზს დაწვეენს და აქეუმს ამობინებს. ვვერ-
ღას დასტინის, ჰტმობს და აღარას ერიდება. დრო არის ქართველო-
ბამ უურადლება მიაცქიოს ამ დაუკითხავ მამათა „ენა სიბრძნეობასა“
და მათ „განების უფლობასა“, შავს შავი უწოდოს და თუთრს
თუთრი; თუთეული საგანი რაცხოს ხოლმე საკუთარის სახელწოდებით.

ეს წიგნი გადაწერილი უნდა იუოს მე XIII—XIV საუკ. და
გადამწერს ჰქანია ხაკლებით აღსავსე დედანი, რასაც ჰმწმობს. რომ

შთელი ფურცელი გამოტოვებულია. განუახლებია. იგი 1709 წელს. დომენტი III. კათალიკოსს, რომელიც კათალიკოსობდა 1704--1724; 1738—1742 წ. (იხილეთ იერარქია სსკ. ეკლეს. მ. ში. კარბ. 131 გვერდი) და მას აქვე იგი დღევლის მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიის წიგნთსაცავში.

ეს გამონივნილი ქათალიკოსი ნიკოლოზ I (1149—1160 წ.) იყო ძმისწული გამონივნილის ქათალიკოს სუმონ III (1128—1444 წ.) გულაბრის ძის კახეთით; ცნობა მტკიცდება მისივე აღწერილობიდან მათე სსწულში (იხილეთ ქვემოთ გვერდი 110), სადაც ამობს თხსსავე ნახელ სსწულს: „ხოლო ერთ გზის თვთ რომელ მე შემემთხვა სათანად არს უგულ ვგონე იგიცა არა დატყუებად თვნიერ მოკსენებისა: ჟამს მას სიურმისა ჩემისასა რაჟამს იგი ნეტარი მამის ძმაჲ ჩემი სუმონ, ზირულელ ზატრიაქობისა მისისა, მონსტერსა შინა აუო წმიდისა საბსსა არმაზს, მაშინ უგულ მე კახეთით მოვდიოდი და ერთი კაცი თანმეუხანდა ცხენისა თანადვინისა მიერ დატვრთულისაჲ:“ და სხვა. და სხვა.

ნიკოლოზ კათალიკოსი სტოპრებად მეფობასა გიორგი მესამისა (1156—1184) რაჲც მტკიცდება მით, რომ ზირდაზირ სასხელებს ბურდუნს დედოფალსა (იხ. გვერ ქვემოთ 115). მისი გურთხევა ზატრიაქად უნდა მომხდარიყოს 1149 წ. შემდეგ იღის კათალიკოსისა (1145—1149 წ.) (იხ. იერარქია სსქართველეს ეკლესიისა მდ. შ. კარბ. გვ. 67) და გაკრძეულა 1160 წლამდის, როდესაც მან აღიძარცვა ზატრიაქობის ღიკსება და გაემგზავრა იერუსალიმად, სადა დანაც წმ. თამარ დედოფალმან აღმოუწოდა 1184 წელსა სამშობლო საქმებისათვის.

თუ უნდათ ჩუენ მასწავლეთა ქართული ენის აღორძინება, განვრცობაჲ და მისი უმწვერვალესადმი მიღწევა, ვურჩევ ძმურად და მამაშვილურად-შეისწავლენ ძველი ჩუენი მწერლობა, შეისწავლო ის ლექსნი (სახელწოდებანი), რომელნიც ზედ მიწეგნით გამოჰსატყვენ საგნის ზინაობას, რაობასა და მოქმედება-თხსებასა და თავი ანებონ შეთხზვა-გამოგონებასა წარამარად და უსაჭიროად.

აი თუნდა ეს ჰაზრი ნიკოლოზ ქათალიკოსისა: „ხოლო ვითარცა გავიდეს დედა ძითურთ: (მტკვერით) ყოვლისა უკუე ერისა თვალით მხედველობასა შინა:“ (იხილეთ გვერდი 78).

ნუ თუ ამ ჰაზრს ეხლანდელი ვინმე ესე თავისუფლად გამოჰხატავს და მაშინვე რუსულ თარგმანს არ ეცემა? „На глазах у всего народа“ და მოჭეკება თვისებურად ჩმახვას და ჯიჯვანს ამ მშუენიერი ქართული ენისას? და მოკდის ცრემლი მეტის შათთა უვიცობისა, თვალთ-დახუჭულობისა და უურთა-სმენა დადგომისათჳს.

მრავალი ამის მსგავსი საცოცმანებელი მიმხვრა ენის-კიდლისი და გრამატიკული ფორმებისა დაწინააღმდეგეობისა ჩვენ მიერ, ძველის მწერლობის შეუსწავლელობისა გამო. აი ამიტომ ვსთხვავ ჩუენ სულიერთა მოძღუართა ნუ დაივიწყებენ ამ საღმერთო ენასა, რომელიც უნდა იყოს მეორეთ: მოსვლამდის. აი რათა.

ტიმოთე. მიტროპოლიტი სწერს თჳსს მოგზაურობაში, რომ „მიჩვენეს ის სენაკი, სადაც სარეცელსა ზედა სასიკვდიენსა იწვია ევთიმე ქართველიო. გამოეცხადა ღ'ის მშობელიო და უთხრაო: «აღდეგ მამაო ევთიმე!» — არა ძაღმძის, უღ წ'ო ღ'ის მშობელიო!

„აღდეგ და წარსთქვი, ესა და ეს ღოცვა!“ რომელიც სიერმიტოვან-ვე ესწავლა ევთიმეს ბერძულად. და, რასაკვირველია, ევთიმემ ბერძულად დაიწყო ის ღოცვა, წამოღვა რა ფერკზედ.

ღ'ის მშობელმა შეაუენა. „არა, ეგევე ღოცვა წარსთქვი ქართულად“. მოეკლინა ღ'ის მადლი და ქართულად დაიწყო ის ღოცვა. მეორე დღეს ძეუღვა თარგმანსა და გვითარგმნა საღმერთო წიგნები და მრავალხი სხვანი ქართულად, რასაც დღეს ვხედავთ.“

ეს ნება ღ'ის მშობლისა თავსმღებია იმასი, რომ ენა ქართველთა არას დღეს არ წარწემდების, ვიდრე არსებობს ქვეყანა და მთარველობა ღ'ის მშობლისა ივერიასაზედა, არის და იქნება!

ქართველობასა უფლება აქვს იამაუროს წინაშე მთელის კაცობრიობისა და ქრისტიანობისა წინაშე! კაცობრიობისა თვისი გულ-კეთილობითა, ძმით მოყვარეობითა, როდესაც წაქცეულს მეტრის იგი აღარ სცემდა და ბედმაგ მოძმეს გულ გაკისნით და სიყვარულთ შეიტკობდა ხოლმე. მოიგონეთ ურიათა მეტკობა და მიღება ქართველთაგან, ან სომხებისა და სხვათა. ქრისტიანეთა წინაშე —, რომ ქრისტიან შუგული და მოძღვრება 35 წლიდგან — ვიდრე 1814 წლამდე მათ არა ჰქმენს და იოტის დღენად არ შესცვალეს. მარტო ქართველთა ჰქონდათ უფლება, რომ კაშლიდის ბაიანლით იერუსალიმის ქუჩებში გაერანათ და

ბერუსალიმის ტაძარი უხარკათ მოელცნათ ხალხე. აბ ესე დიადო შეცნება ჭქანდა ქართლასინთა ერავნული სარწმუნოებისა შეცნებით. დაეცა სარწმუნოება, დაეცა ერიც და წახდა ენაც! დრო არის რამ შევიგნათ ის ჭეშმარიტება, რამ ჩვენში ერის შეერთება უსჯულათ ღ უსამშობლოთ-ძნელაი. ჩვენში თუ ერი დარჩა და შეინარჩუნა ელფერი ამ 1814 წლამდის, სარწმუნოების შეცნებითა! აბა ახლა ამას იქით რა იქნება და რას ჩამოგვძახებენ საფლავში? ეს დმერთმან უწეის! დმერთმან ინებოს, რამ ამ წიგნის წაკითხვით, ბევრმა შეიგნოს სიდიადე თვისის ეკლესიისა, ერისა და მამულისა, რამ მის (ქართველობის) შეცნებას, რამფელსაც უნდა მოჭვევს გაერთიანებული სიძლიერე მამაპაპურის სარწმუნოებისა, მოეტახას კეთილი ხუროფი, ეცხას თავი თვისი და, თვის შორის, მოუყასი თვისი; ინებოს დმერთმან, რამ ქრისტეს მცნება და მოძღვრება უოველ ქრისტიანს ერთგვარად შეეცნოს, შეეთვისოს და შეესრულებინოს. აი ის ბედნიერი ხანა როდესაც მოვა სუფევა ღისა ქვეყნად „მოგვიდინ სუფევა შენი“. კრავი მკელთან მოსძოვს თავისუფლად და კრმალ საჭურველი იარაღი— გარდაიქვნიან სახნის-საკვეთლად.

მლ. ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი.

თბილისი 26 აპრილს. 1908 წ.

ԿԻ	ԿՆ
ԿՆԻ	ԿՆ

ქ ქრისტეს: აქეთ: ათას შვიდას ოცდა: სამსა:
 ცხოველი: სვეტის: ცხოველის: სამკაული: ლარგვის:
 მონასტერს: იყო: ხიზნათ: გვირგვინი: გ: ხატი: მურა:
 სა: დ. ბისონი: ვ: და: წიგნი: მრავალი: და გუჯარ-
 ნი: სრული და ყოველნი: სამსახურებელნი: დიდისა:
 კათოლიკე: ეკლესიისა: ოდეს: ურუმთ: შეიჭრეს ეო-
 ველი: საქართველო: კახეთი: და: ეიზილბაში: ვიდრე:
 თაფრიზამდე: და: ლეკთ: მაოხრეს: კახეთი და: საქარ-
 თველო: ¹⁾

1) ეს ისტორიული წარწერა აქ მოვითავსეთ, ვინააფთვან
 დიადი მისი მნიშვნელობა ცოლობის გარეშეა, და ესე უნდა
 ვავიგოთ: სვეტის ცხოველის სამკაული ლარგვის მონასტერს
 (ქსნის ხეობაშია, სადაც ჟამურისა და ცხრა ძმის წყალი
 შეერთდვიან) იყო ხიზნათ: გვირგვინი სამი (გ), ხატი მურასა
 (მოაქვილი, ე. ი. მოთვალული ოქროთი) ოთხი (დ), ბისონი
 (სამეფო სამოსელი; სამღუდელს სამოსელი), ექვსი (ვ), და
 წიგნი მრავალი...

მაოხრეს და არა მაოხრეს, რომელიც კნიშნავს მი-
 ტიალეებასა, სიბრაზით დაბრუნებას, მიცემას. რედაქ.

უკეთუ კვირიაკესა არა მოხუდეს: ღამისძევისა, ნეტარარიანთა
არა ვიტყვით: ხოლო უკეთუ იყოს კვირიაკე: ვიტყვით ნე-
ტარიანთა: ღა კუერექსა დიდსა: ღა სხუაჲ ყოველივე შემ-
დგომით შემდგომად: სისკრად ლმერთი უფალსა ზედა: მხითაჲ
კანონი: ბ: ღა წარდგომანი: ღა წიგნისკითხვაჲ: სისკრად დღე-
სასწაულისა: ხოლო ღამესთევისა მეტაფრასისაგან: აუარებ-
დით: აღსვლანი: დ ხმისანი: წარდგომა სახარებისა: წმიდა
ყო საყოფელი: მუხლი: სახლსა შენსა ჰმუცენის სიწმიდე: ყო-
ველი სული: სახარება იოანესი: მას ჟამსა შინა კაცი ვინმე
იყო ფარისეველი: მიწყალე და გალობანი დღესასწაულისანი:
ხმა დ ზღვუაჲ უვალი: ძლის პირნი ბ ბ-ჯელ: დასდებელი
დ დ-ჯელ: ბ გალობანი დ გერი: სიღრმე მეწამული: მესამესა
გალობასა ზედა, წარდგომაჲ: ღა წიგნის კითხვაჲ: ხოლო მეექ-
უსესა: იბაკო: ზეშთა მბრძოლისა: შოემდგომად: წიგნის კით-
ხვაჲ: ღა ნეშტი გალობათაჲ: გ გამოავლინენნი: აქებაისა და-
სდებელნი: ხმა დ მხნეონნი: ღღეს ბრწყინვალედ: ბ გზის: ღა
შემდგომნი მისნი თითოჲსჯერ: ღიდება აწ დღეს: ქრისტე
იშვების: ღღეს საყდარი ღმრთისაჲ ღიდება მალათა გრძლად: ღა
სრულებაჲ ლოკვისაჲ: სამხრად პირველ წმიდისა ჟამისა წირვისა
დაწყებისა: დასდებელნი: ღ: ხმისანი გალობათაგან: განძლიერ-
დითსა ღ: ღაღადყვსთ: ხოლო ჟამის წირვისა: კეთილ არსნი თვო-
სით წესით: მხითაჲ: ღა შემდგომად შესვლისა მღვდელთაჲსა:
ღიდება აწ: კონდაკი: ზეშთა მბრძოლისა: წმიდაო ღმერთოჲსა
ნაცვლად: რაოდენთა ქრისტეს მიერ: წარდგომაჲ: შინ არს ღმერ-
თი დიდ ვითარ: მუხლი: აუწყე ერთა შორის ძალი შენი: ძათო-
ლიკე იოანესი: ძმანო არა სიბრძნისა: აღლელე უფალსა მხა-
დოდეს მის ესმა სახეჲ ნათელი გამოუბრწყინდა: სახარება მათე-
სი: და ლუკასი: თქვა ფუალმან იგავ ესე რასა ვამსგავსო: ღა ჟამის
წირვაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისა: მნატრიდე: უფალო ნა-

თლითა დიდებისა პირისა შენისა ვიდოდით: **აღლელუიამ:** **და**
სიტყუითა შენითა ვიხარებდეთ უკუნისამდე: **აღლელუიამ:** **აღე-**
სრულების განგებაა რვაა დღე: მწუხრი წარდგომაა: საყდარი
შენი ღმერთო უკუნითი უკუნისამდე კუერთხი განგებისა და
კუერთხი სასუფეველისა შენისა: მუხლი: წმიდა ყო საყო-
ფელი თვისი მაღალმან ღმერთი მის შორის და იგი არა აღიძ-
რას უკუნისამდე:

გამოსვლათა ხაკითხავი:

და აღიძრეს ძენი ისრაელისანი, სუქოთით **და**
დაიბანაკეს ათომს, უდაბნოსა მას თანა, ხოლო უძლო-
და მათ დღისი, სუტითა მით ღრუბლისთა, და უჩვე-
ნებდა მათ გზასა და ღამე სუტითა ცეცხლისათა და არა
მოაკლდა მათ სუტი იგი ღრუბლისა დღისი, და სუტი იგი
ცეცხლისა ღამე წინაშე ყოვლისა ერისა: და ეტყოდა უფალი
მოსეს და ჰრქვა, ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და მიიქ-
ცენ და განეწყვენ იგინი წინაშე დღელსა შორის მაგდალო-
სა, და შორის ზღვასა მას პირის პირ, გელსეფონსა წინაშე
შთისა. და განეწყო ზღვად კერძო: და ჰრქვა ფარაო ერსა
თვისსა, შესცთეს ძენი ისრაელისანი, ქუეყანასა მას რამეთუ
შეაყენნა იგინი უდაბნომან მან, ხოლო მე განვაფიცხო
გული ფარაოესი, და დევნა უყოს კვალსა მათსა. და ვიდილო
შე ფარაოს ზედა და ყოველსა ერსა მისსა ზედა. და გულის
ხმა ყონ მეგვტელთა რამეთუ მე ვარ ღმერთი, და მათ ყვეს
ეგრეთ, და უთხრეს მეფესა ეგვიტისასა ვითარმედ ივლტო-
და ერი იგი და გარდაიქცა გული ფარაოსი და მსახურთა
მისთა ერისა მისთვის და თქუსს რაა ესე ვჰყავით რამეთუ
განუტევენით ძენი ისრაელისანი რათა არა გვმონებდენ ჩვენ,
აღაგო უკუტ ფარაო ეტლები მისი და ყოველი ერი თვისი
წარიყვანა მის თანა და აღაგო ექვსასი ეტლი რჩეული. და
ყოველი ცხენები ეგვიტისა და ერისთავები ყოველსა ზედა:

და განაფიცხა უფალმან გული ფარაოახსი მის მეგვიპტელთასა და სდევდა შემდგომად ძეთა ისრაჲლისათა ხოლო ძენი ისრაელისანი ვიდოდეს ხელითა მტკიცთა და დევნა უყვეს მეგვიპტელთა მით შემდგომად მათსა და ჰოვნეს იგინი დაბანაკებულნი ზღვასა მას ზედა. და ყოველი ჰუნები და ეტლები ფარაოახსი და ცხენები და მხედრები. წინაშე ლელესა მის პირის პირ ბელსეფონსა და ფარაო წინა მოვიდოდა. და აღიხილნეს თუალნი თვისნი ძეთა ისრაჲლისათა და იხილნეს რამეთუ აჰა ესერა მეგვიპტელნი იგი განწყობილ იყვნეს უკანა მათსა და შეეშინა მათ ფრიად. და ლალადყვეს ძეთა ისრაჲლისათა ღმრთისა მიმართ. და ჰრქუსს მოსეს. ვითარმედ არა იყო საფლავი ეგვიპტეს შინა და გამომიყვანენ მოსიკუდილდა უღებნოახსა ზედა. და რაჲ ესე მიყავ ჩვენ და გამომიყვანენ ჩვენ ეგვიპტით. ანუ არა ესე სიტყვაი არსა რომელთასა გეტყოდეთ ჩვენ, ეგვიპტეს შინა და გარქუთ, მაკადეთ ჩვენ და ვჰმოხებდით მეგვიპტელთა რამეთუ უმჯობეს იყო ჩუენდა მონებთჲ მეგვიპტელთა. ვიდრედჲ რა მოსრვასა ჩვენსა უღაბნოისა ზედა, და ჰრქუა მოსე ერსა მას ნუ გეშინინ დევით და ხედვიდით ხსნასა ჩვენსა უფლისა მიმართ რომელი იყოს ჩვენსთვის დღეს რამეთუ ვითარცა იხილენით დღეს მეგვიპტელნი ესეარლარა შესძინოთ მერმე ხილვად უკუნისამდე ვამთა ჲ უფალი ჰბრძოდის თქუნ წილ და თქუნ სდუმნეთ: და ჰრქუან მოსეს, რაჲსა ლალადებ ჩემდა მომართ ეტყოდე ძეთა ისრაჲლისათა. და ზღევენ, და შენ აღიდე კურთხი ეგე შენი და განირთხ ხელი შენი ზღვაჲსა მაგას ზედა. და განიჰპოს იგი და შევიდენ ძენი ისრაჲლისანი შორის ზღვაჲსა ამას ხმელად. და აჰა ესერა მე განვაფიცხო გული ფარაოახსი და მსხურთა მისთა და ყოველთა მეგვიპტელთა და შევიდენ შემდგომად მათსა და ვიდიდო მე ფარაოის ზედა და ყოველსა ერსა მისსა და ეტლებსა მისსა ზედა და ჰუნეთა მისთა ზედა და გულის ხმა ყონ ყოველთა მეგვიპტელთა რამეთუ მე ვარ უფალი, რომელი ვიდიდო ფარაოის ზედა და ეტლებსა მისსა და ჰუნებ-

სა მისსა ზედა და აღიმალლა ანგელოზმან მან რომელი წინა უძლოდა ბანაკსა მას ძეთა ისრაელისა და მოვიდა დადგა ზურგიჲ მათსა და აღიძრა სუტიცა ღრუბლისა წინაჲჲ პირისაგან მათისა, და დადგა უკანა მათსა და შევიდა შორის ბანაკსა მას მეგვიპტელთაჲსა და შორის ბანაკსა ისრაელთაჲსა, და იყო ბნელი წყუდიადი და გარდახდა ღამე იგი ღ არა აღიძრეს ურთიერთარს ღამე ყოლ. ხოლო განირთხა მოსე ხელი თვისი ზღუაჲსასა მას. და მოავლინა უფალმან ზედა ქაჲი სამხარით სასტიკი ღამე ყოლ და განხმა ზღვაჲ იგი და განიპო წყალი იგი და შევიდეს ძენი ისრაელისანი შორის ზღვაჲსა მის წყალი იგი იყო მათ კმელისა და ზღუდე მარჯუპნით და ზღუდე მარცხენით. და სდევდეს მეგვიპტელნი იგი, და შევიდეს კუალსა მათსა. ყოველი ჰუნები ტარაოჲსი ეტლები და მხედრები მისი შორის ზღვაჲსა მის, და იყო სახმილავსა მას განთიადისასა, და მოხედნა უფალმან ბანაკსა მას მეგვიპტელთაჲსა, სუტიითა მით ცეცხლისათა და ღრუბლისათა. და შეაძრწუნა ბანაკი იგი მეგვიპტელთა და შეუკრა ღერძები ეტლებისაჲ მათისა. და მოჰყვანდეს იგინი ძლით. და თქუეს მეგვიპტელთა მათ ვივლტოდით პირისაგან ისრაელისა, რამეთუ უფალი ჰბრძავს მათ წილ მეგვიპტელთა, ჰრქუა უფალმან მოსეს. განირთხ ხელი შენი ზღვაჲსა მაგას ზედა, და კუალად მოეგოს წყალი ეგე, და დაფარნეს მეგვიპტელნი ეგე ეტლები და მხედრები მათი. და განირთხა მოსე ხელი თვისი ზღვაჲსა მას ზედა და კუალად მოეგო წყალი იგი ადგილსავე თვისსა დღე ყოლ, ხოლო მეგვიპტელნი იგი ივლტოდეს წყალთა მათ ქუბუჲ, და შთაყარნა ღმერთმან მეგვიპტელნი იგი შორის ზღვაჲსა მის. და მოაქცია წყალმან მან, ეტლები და მხედრები და ყოველი ძალი ფარაოჲსი და რომელნი შესრულ იყვნენ და კმაჲ ბანაკისა მისთასა ვითარცა უკუანაჲ მათსა ზღვაჲსა მას შინა, და არა დაშთა მათგანი არცა ერთი. ხოლო ძენი ისრაელისანი ვიდოდეს ხმელსა მას ზღუეჲსასა, რამეთუ წყალი

იგი იყო მათდ ზღუდე მარჯუნიით და ზღუდე მარცხენით. და იხსნა უფალმან ისრაილი მას დღესა შინა ხელთაგან მეგვპტელთასა. და იხსნა ისრაილმან მეგვიპტელნი იგი მომწყდარნი კიდესა მის ზღვასა და იხილა ისრაილმან ხელი იგი მაღალი დიდი და ძლიერი, რომელი უყო უფალმან მეგვპტელთა მათ და შეეშინა ერსა მის უფლისა და ჰრწმენა ღმრთისა და მოსესი მსახურისა მისისა: მაშინ უგალობდეს მოსე და ძენი ისრაილისანი გალობასა ამას ღმერთსა და იტყოდეს:

მეფეთა საკითხავი:

და დგა სოლომომ ჰირის ჰირ საკურთხევისა უფლისა წინაშე ყოვლისა მის კრებულისა ისრაილისა. აღიპყრნა ხელნი თვისნი ზეცად თქვა უფალო ღმერთო ისრაილისაო არა ვინ არს ღმერთი შენებრ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. და უკეთუ ცანი და ცანი ცათანი ვერ შემძლებელ არს შენდა ვითარ სახლი ესე რომელი მე აღვაშენე სახელისათვის შენისა წმიდისა იყოს საყოფელად შენდა აწ გარნა მოხედენ ლოცვასა და ვედრებასა ჩემსა: შუალო ღმერთო ისრაილისაო, სმენად ლოცვასა მონისა შენისასა, რომელი დგას დღეს წინაშე შენსა. და რათა იყვენ თუალნი შენნი განხმულ მოხედვად დღე და ღამე, ადგილსა ამას რომლისა სთქუ იყავნ სახელი ჩემი მუნ, და სმენად ლოცვისა რომლითა გვედრების მონა შენი ადგილსა ამას დღე და ღამე და ისმინო ხმა მონისა შენისა ისრაილისა თაყვანის გცემდენ ადგილსა ამას და შენ ისმინო ადგილსა მკვდრებისა შენისასა ცათა შინა და შენ ჰყო მიტევებაჲ და მლხინებელ ექმნე ერსა შენსა:

იგაჳთა საკითხავი:

სიბრძნემან იშენა თავსა თვისისა სახლი და ქუეშე შეუდგნა მას შვდნი სუეტნი და დაკლა თვისი იგი საკლველი.

და განაზავა ტაკუკთა თვისი იგი ღვინოჲ და გინმზადთა თვისა თვისისა ტაბლა. ლა წარავლინნა თვისნი მონანი მოწოდებად მალლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა, და რქუა რომელი არს უგუნურთაგანი შოაქციენ ჩემდა, და ნაკლულევანთა გონებითა ჰრქუა, მოვედით ქამეთ პური ჩემი და სუთ ღვინოჲ ჩემი რომელი განგიზავე თქუენ დაუტევით უგუნურებაჲ და სცხოვნდეთ, მოიძიე გონიერება და სცხოველ იყვენით წარიმართეთ მეცნიერებაჲ და გულის კმის ყოფა, რომელი ასწავებდეს უკეთურთა. მოიღოს თავისა თვისსა გონებაჲ და რომელი ამხილებდეს უღვთოს შეიბილწოს თავი თვისი, და რომელი ამხილებდეს უღვთოსა სწყლვს მას ნუ ამხილებ უკეთურთა რათა არა მოგიძულონ შენ. ამხილე ბრძენსა და შეგიყვაროს შენ, ეც ბრძენსა მიზეზ და უბრძენს იყოს, აუწყე მართალსა და შესძინოს შეწყნარებად. დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისა და ზრახვაჲ წმიდაჲ გონიერებისა ხოლო ცნებაჲ სჯულისა გონებისაგან არს კეთილისა რამეთუ ამით სახითა მრავალ შორის სცხონდე, და შეგეძინენ წელნი ცხოვრებისანი.

წინასწომრმეტყუელებაჲ ესაიასი საკითხავი:

ამას იტყვის უფალი განიზანებით განიწმინდენით, და შოისპეთ უკეთურება სულთაგან თქვენთა წინაშე თუალთა ზემთა დასცხერით ბორტისაგან. ისწავეთ კეთილისა საქმე, გამოიძიეთ სამართალი, იხსენით დაწუნებული, უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქვრივი. მოვედით შევიტყუცნეთ იტყვის უფალი, და უკეთუ იყვენ ცოდვანი თქვენი ვითარცა ღებინი და ვითარცა თოვლნი განვსპეტაკნე დაღათუ იყვენ ვითარცა მეწამულნი და ვითარცა მატყლნი განვსპეტაკნე, და უკეთუ გინდეს და ისმინოთ ჩემი კურთხეულისა ქვეყანისასა სჰამდეთ თქუენ. ხოლო უკეთუ არა ინებოთ და არცა ისმინოთ ჩემი, მახვილმან შეგჰამნეს თქუენ, რამეთუ პირი ღვთისა იტყოდა ამას:

წინასწარმეტყუელდება ეხეკიელისი საკითხავი:

იყო სული უფლისა ჩემ ზედა და განმიყვანა მე ბჭესა მას რომელი ხედვიდა აღმოსავალად. და ესე რა დიდებამ ღმრთისა ისრაჲლისა მოვიდოდა გზასა მას, და ბჭისა მის რომელი ხედავს აღმოსავლით კერძო ღ ზმამ ბანაკისა მისისა ვითარცა ორწილად სიმრავლისა მრავალთასა ღ ქუჩუანა ბრწყინვიდა ვითარცა ნათელი დიდებისა მისგან გარემოს, და ხილვამ რომელი ვიხილე იყო ხილვისა მისებრ ოდეს იგი შევიდოდე ცხებად ქალაქსა. და ხილვა ეტლთ არომელ ვიხილე ხილვისა მისებრ იყო რომელი ვიხილე მდინარესა მას ზედა ქობარისასა და დავარდი პირსა ზედა ჩემსა და დიდებამ უფლისა შევიდა ტაძარსა მას გზასა მას ბჭისა მისგან რომელი ხედავს აღმოსავლად და აღმიღო მე სულმან და შემეყვან მე ეზოსა მას შინაგანსა. და აჰა ესე რა სავსე იყო დიდებითა ტაძარი იგი უფლისა და დავდეგ და აჰა ესერა ხმამ ტაძართი გამო მეტყუადა მე. და კაცი დგა მახლობელად და მრქუა მე ძეო კაცისა იხილვა ადგილი საყდრისა ჩემისა, და ადგილსა კუალთა ფერხთა ჩემთასა რომელსა შინა დაიმკვდროს სახელმან ჩემმან შორის სახლისა ჩემისა უკუნისამდე:

სამხრად: შსალმუნი: შინ არს ღმერთი დიდ ვითარ ღმერთი ჩვენი, შენ ხარ ღმერთი რომელმან ჰყვი საკვირველი: ღასდებელი: აუწყე ერთა შორის ძალი შენი, და იხსენ მკლავითა შენითა ერი შენი:

კათოლიკე ჰეტრე მოციქულისა

ძმანო არა სიბრძნისა ზღაპართა შეუდეგით. და გაუწყეთ თქვენ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს ძალი და მოსვლა, არამედ თვთ მხილველ ვიქმნენი მისისა მის დიდებულებისა. რამეთუ მოილო ღმერთისაგან. მამისა პატივი და დიდებამ ხმამ რომელი მოიწია მისა. ესე ვითარისაგან დიდად შუშნიერებისა დიდებისა ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო

ვიყავ. და ესე ხმა ჩუენ გუესმაჲ ზეცით შოსრული შის ზედა-
 მის თანა რაჲ ვიყვენით: მთასა მას წმირდასა: და გუაქუს ჩუენ
 უმტკიცესი საწინასწარმეტყუელოჲ სიტყვაჲ, რომელი კეთილად
 ჰყოთ. ეკრძალნეთ თუ ვითარცა სანთელსა მნთებარე
 სა ადგილსა შინა წყუდიადსა ვიდრემდის დღე განათლდეს,
 და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა:
 ამაჲს მივწერ თქვენდა და ვესავ აღრე მოსლვასა ჩემსა.
 ხოლო უკეთუ ვყოვნო რათა უწყოდო ვითარ იგი ჯერ არს
 სახლსა შინა ღვთისასა სლვაჲ. რომელ არს ეკლესია ღმრთი-
 სა ცხოველისა სუტტი და სიმტიცკე ჰეშმარტებისა და აღ-
 სარებელად დიდ არს ღმრთის მსახურებისაჲ იგი საიდუმ-
 ლოჲ: ლმერთი გამოჩნდა ხორცითა და განმართლ-
 და სულითა ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა
 შორის ჰრწმენა სოფელსა და ამალღდა დიდებითა:
 არა მნებაჲს უმეცრება თქუენი: ძმანო რამეთუ
 მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე აყვენეს
 და ყოველნი ზღუაჲსა განხდეს და ყოველთა მოსეს
 მიერ ნათელ იღეს ღრუბელთა მით და ზღუთა და ყო-
 ველთა იგივე საზრდელი სულიერი ჰამეს, და ყო-
 ველთა იგივე სასუმელი სულიერი სუტს რამეთუ სუმიდეს იგი-
 ნი სულიერისა მისგან კლდისა რომელიცა შეუღდა. ხოლო
 კლდე იგი იყო ქრისტე: ანუ არა უწყითა: რამეთუ რომელთა
 ესე ნათელ ვიდეთ ქრისტეს ივსსოჲს მიერ, სიკვდილისა მისისა
 მიმართ ნათელ ვიდეთ. და თანა დავეფლენით მას ნათლის-
 ღებითა მით სიკვდილსა მისსა, რათა ვითარცა იგი აღღგა ქრი-
 სტე მკუდრეთით დიდებითა მამისათა: შგრეცა ჩუენ განა-
 ხლებითა ცხოვრებისათა ვიდოდით. აწ უმახლოელეს არს
 ჩვენ შორის ცხოვრებაჲ, ოდესღა ესე გურწმენა, ღამე იგი
 განგუტშორა და დღე შემოგუტახლა. განვიშორნეთ უკუტე საქ-
 მენი ბნელისანი. და შევიმოსოთ საქურველი ნათლისა და
 ვითარცა დღესა შინა შუენიერად ვიდოდით:

პლილოია: ჰხადოდეს უფალსა და მას ესმა მათი, და სუსტითა ცეცხლისათა ეტყოდა მათ: ხხუაჲ: ნათელი გამოუბრწყინდა მართალსა. და გულითა წრფელთასა:

სახანრება მათესი:

თქუა უფალმან იგავი ესე, რაჲსა ვამსგავსო სასუფეველი ღვთისა, და ვისა მსგავს არს იგი. მსგავს არს იგი მარცვალსა მღოვცსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თვსსა. და აღორძინდა და იქმნა იგი ხე დიდ და ფრიონველთა ცისათა დაიმკვდრეს რტოთა მისთა: მერმე კუალად თქუა, რაჲსა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ, ვამსგავსო იგი კომსა რომელი მოიღო დედაკაცმან, და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა ვიდრემდის აღფუვნეს ყოველი. და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალიმად: და უკეთუ მცირედ არიან ცხოვრებელნი. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ ილუაწით შესლვად იწროსა მისგან კარისა: ხოლო გეტყვ თქუენ, მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძღონ ვინაჲთგან აღდგეს სახლისა უფლისი და დახშას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყით რეკად კარსა და ეტყოდა უფალო განგვიღე ჩუენ: მოგიგოს და გრქვას თქუენ არა გიცნი თქუენ ვინანი ხართ: მაშინ იწყით სიტყვად ვკამდით წინაშე შენსა და ვსუამდით. და ჟბანთა ჩვენთა ზედა გვასწავებდ. და გრქუას არა გიცნი ვინანი ხართ განმეშორენით ჩემგან ყოველნი მომქმედნი უსჯულოებისანი. მუნ იყოს ტირილი და ღრქენა კბილთაჲ: რაჲმს იხილოთ აბრაჰმი, ისაკი და იაკობი, და ყოველნი წინასწარმეტყუელნი. სასუფეველსა ღვთისასა, და თქვენ განხმულნი გარეშე. და მოვიდოდით მზისა აღმოსავალით.

და შინსა დასავალით. ჩრდილოთ და სამხრით და ინახილ-
გმიდენ სასუფეველსა ღვთისასა:¹)

შოვლად ბრწყინვალეო და ბრწყინვალე მყოფელ და
განმანათლებელ გულსა და გონებასა ყოველთა მსასოებელთა
შენთასა. რამეთუ ვითარცა საკვრველებით საცნაურ გყო
ღმერთმან. მგრეთვე საკვრველებით აცხოვნებ ყოველთა, და
იხსნი განსაცდელთაგან რომელნი სახელსა შენსა ხადოდიან:

სუტისა ამას ღვთივ ბრწყინვალესა, რომელსა ჰკრთე-
პიან შარავანდენი ნათლისანი და გამოსცემს სუნნელებასა-
სულიერად, განმამდიდრებელსა, მვედრებელთასა მოვედით
უგალობდეთ და ვაქებდეთ ერნო, და ვჰნატრიდეთ სანატ-
რელსა ნინოს, დედასა ჩსუნ ქართველთასა ღირს ქმნილსა
სუტისა საკვრველებათაჲსა:

სანატრელი და წმიდაჲ დედაკაცი, ზეცისა ძალთაგანცა
ყოვლად საქებელი რომლისა ცრემლთა ნექტარი მიზეზ იქმნა
სუცხოთა და კაცთაგან გამოუთქმელსა სახილავსა სუტისა
ბრწყინვალისასა, რომელი სიმრავლემან ერთამან ვერ შეძ-
რეს, ხელითა მიერ უხილავითა ამაღლებითი იხილა და ჰმად-
ლობდა ღმერთსა:

აქებსა: ღ მხნონი:

ღღეს ბრწყინვალედ გამოგვიჩნდა წმიდა და ყოვლად
ქებული, ღღესასწაული სუტისა ცხოველისა რომლისა

¹) ამ ადგილას დედანში ცარიელია და მეორე ცარიელ გვერდზედ
ეს წარწერებია მშვენიერი მრგვალის ხელით წარწერილი და შემდეგ იწ-
ვობა. „ვდ ბრწყინვ.“

ქ. ტკბილო ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო შენი ტკბილი
ძე მოწყალე ყავ დათუნაზე: რომელმან არ მოგვისვენა:

ქ. ქრისტე: მეუფეო: შენს: ტკბილს: წყალობას: ნუ: განაშორებ
ცოდვილს დათუნას კანდელაკის: შვლსა:

ქ. ღმერთო: შეიწყალე: საბრალოს: დათუნას: სული: და კარგ
ველი: ახწავლე:

ქ. სუეტო ცხოველო: შეიწყალე: და აცხოვნე ყოვლად უღირსი
თოსემ სააკაძე.

მიერ ვიგეშებთ ჩუენ სულთა საცხოვრებელსა სიტკობებისა წყაროსა მირჰონსა უკვდავ მყოფელსა, და ღმერთ მყოფელსა, მაუწყებელსა ჩუენდა, მერმისა მის სუფევისა და მშვიდობისა უოხენოსა სიყვარულისა:

მოველნი მოვედით ჩვენდენ, ნათლით შემოსილნი ერნი, კათოლიკე ეკლესიის შკლნი, რომელთაც მთავრების ნიში ნათლისღებისა და ურთიერთარს ძნობდრთ და უბყრობდით, რამეთუ დღესასწაულსა ჰყოფს და განაცხრობს ერთობით, შვილთა თვსთა რომელნიცა გაღმობიშენს ემბაზს მას უკვდავ მყოფელსა:

მოიწია სიხარული მოიწია ხუ ცხორებაჲ მოიწია ყოველისა სოფლისა განათლებაჲ, რამეთუ სძალი ქრისტეს ღმრთისაჲ წმიდაჲ და ღვთივ ბრწყინვალე კათოლიკე ეკლესია განგვიზადებს ჩუენ ქორწილისა არა ხორცთასა არამედ ზეციერსა, უკვდავსა და სამარადისო შუბასა, რომელსა შინა ვმოხარულობდით: სხუანი გიხაროდენნი: ან ბიხაროდენნი:

ბიხაროდენ სუტო ცხოველო, რომელი წმიდა და წმიდაჲ მყოფელსა მიჰრონსა უწყარობ სულსა მორწმუნეთასა ღმერთ ჰყოფ ყოველთა შენდა მომართ მოღვთოვითა, ეპასანოვავესა წმიდა ტკბილსა მგემებელსა და სულნელსა საყნოსელთა განმანათლებელსა მხიარულ მყოფელსა სულთა ზეცისა სივრცესა, ეღვებრ აღმაფრინვებელსა, ფრთითა ცეცხლის ფერთა რომელი შესწუავს სულთა, და ბოროტთა და წინაღმდგომთა ხოლო მიიწევს საყდართა წინაშე სამეუფოთა და განისვენებთ სამარადისოდ:

ბიხაროდენ ნეტარო დედაო, ქართველთა სულსა დაბნელებულთა უფსკრულსა ჯოჯოხეთისასა პირველ მიჰავათა აღვრ ამსხუმელო ღვთისა სიბრძნითა ხოლო თოვლებრ განმასპეტაკებელო ხელოვანო ოქროს სახედ, განმწმედელო და წმიდაჲ მყოფელო რომელმან საშოდ სულთა ჩუენთა, მოისიბრძნე კათოლიკე ეკლესია და მას შინა მარადის იშვებიან და ღმერთსა უგალობენ და აღიღებენ ქებით, რომელმან სუტო სამკაულად ეკლესიისად და ჩვენდა სასოდ მოგვანიტა:

ბიხაროდენ სუტო წმიდაო, რომლისა ტომნი ქუეყანისანი
ღ ზეცისა ანგელოზნი შიშით გიქადაგებდენ და ერთობით ვხმობთ
სუტო ცხოველო მზისა უბრწყინვალესო და ეთერისა ხილვა-
სა, უვარესო ცისკრისა და ელვის ნათელთა, უჩინო მქმნელო,
შუენიერებითა მაგით ჟუალთა ამათგან ხორციელთა უხილავ-
ო ნათელო. კაცობრივთა ხელთაგან შეუხებელო და განუ-
ცდელო, ხოლო ანგელოსთაგან ტვრთეულო მეოხ გვეყავ
ჩუენ და დაგვიფარენ განსაცდელთაგან:

ღღეს სიბრძნეჲს ღვთისამან და სიტყუამან მამისამან,
შეუმზადა საყდარსა თვისსა დიდებუ მოუწოდმელი და ყოვ-
ლად უსაზღვრო და სუტეტი ცხოველი რომელი იგი ბრწყინ-
ვალითა მით ნაჟლიდა კამკამებსა და აღავსებს ყოველსა სო-
ფელსა სულნელებითა ქაღმთოჲთა. ღღესასწაულობს და გა-
ნანთლებს სულსა და გულსა მგალობელთა და შვლთა თვის-
თასა და მოგვმადლებს ცხოვრებასა და დიდსა წყალობასა:

ამას სუტსა ცხოველსა, რომელსა უხილვად ანგე-
ლოზნი უთხრობენ. და უგალობენ და აღიდებენ ხოლო
ჩუენ ხილულად შვლნი თვისნი გარე მოდგომილნი განვსც
ხრებით და ვიტყვთ გიხაროდენ სუტო ქუეყანით ზეცად
ამადლებულო და ზე ჰაერთა ტვრთულო არა ნივთთაგან
კაცობრივთასა არამედ ხელითა ანგელოზთათა უხილვად
რომელი გვეუფარავ მარადის შენდამი მოლტოლვილთაჲ:

ღრნი ესე მდინარენი ამიერ და იმიერ წარმრღუპლ-
ნი საცთურისანი და ბილწებათა წმიდაჲ მყოფელნი რო-
მელნი ხმაჲ მადლად ძნობით განსცხრებიან და შეამკობენ
ღღესასწაულსა და ჩვენთანა ხმობით ოხრიან ფრად საშინელე-
ბით. ღ სუტსა ცხოველსა შეასხმენ. გიხაროდენ შენ სუტო
წმიდაო ებგურო და მცველო ჩუენო და შვლთა შენტაო,
რომელნი ჩვენცა შენითა დიდებითა ნეტარ ვიქმნებით:

ღ ბერი: ჰა სასწაული:

ღ დედაო ყოვლად საკვრველო რომელმან ხილვაჲ იგი
ცნობათა უვარესი იხილეთ და ცრემლთა ნექტარითა მოჰ-

რწყე იატაკი იგი რომელსა ზედა მდგომარე იყავ. ამისთვის-
ცა განკვირდა სული შენი ხილვად უხილავისა სუტისა ზე-
ცად აღმავლობასა და განკვრდი რაჟამს იგი კვალად შთა-
მოიყვანა ღმერთმან საცხოვრებლად ჩვენდა:

ში მოციქულებრი იგი სული, რომელი ელვის სახელ-
ისრად რჩეულად მოიფრინვა სულსა ეშმაკათასა მწყლველად
და განმგუმერელად. ხოლო კაცთასა განმხვრეტელად და
წუთხსა ნაკერბაჟსა სრულიად წარმომრღენელად და სუტსა
ნათლისასა ნათლად ჩვენდა გამომაჩინებელსა რომელიცა
ყოვლიდვე გვპყრიეს სასოდ და შესავედრებლად ჩვენდა:

ში სასწაული საკვრელთა სუტტი სასო და ზღუდე ქართ-
ველთა ნათესავისა რომელი უხილვად ჩუპნ შორის უხილავად
მდგომარე არს. ესე ბევრეულთა ხელთა ტვრთვისა ურჩ ექმნა
ხოლო თვნიერ ხელთა კაცობრივთა ამაღლდა და კუალად
შთამოსრული შორის ცისა და ქუეყნისა მდგომარე არს და
სამარადისოდ სცავს ამას სამეფოსა:.

ა. გერი. სიბრძნე:

შანი ქუეყანისა თანა და ქუეყანაჲ ნაშობთა მისთა
თანა. და ცაჲ მნათობთა მისთა შორის. მზე და მთოვარე
ვარსკვლავითურთ და კუალად ქვეყანაჲ ნაშობითურთ თვისთ
ერთბამად ყოველთა აღიმღერენით პირუტყვნო მხეცთა თანა
ველისაჲთა მშვიდობა ყავთ ხოლო ნერგნო და მცენარენო
ფერად ფერადნო, საცნაურნო ველისა და უდაბნოესანო ნა-
ყოფიერნო ნაყოფითა და სურნელნო სურნელებასა გამოსცემ-
დით და ერთობით შემოკერბით უგალობდით და აქებდით და
სიხარულითა ცხოველნიცა ჰკრთებოდეს რამეთუ სუეტი წმიდაჲ
ცხოველს მყოფელი ბრწყინევალებდ ერსა თვისსა ახარებს სუ-
ლითა და აღავსებს უკვდავებისა საზრდელითა: . დიდება აწდა:

მსე სუტტი ზეშთა დიდებით ღვთითგანვე საცნაურ არს
რამეთუ ძუტლ ოდესმე დიდსა მოსეს შორის მოგზაურობდა
და ისრაჲლთა კვალად უცდომელად ავლინებდა. წინა ძლო-
მითა ღვთავ ბრწყინევალითა მიმყოვრებელთა ჟამთა ოთხ ათე-

უღთთა წილთასა უდაბნოსა მოქალაქეთა ისრაელთა ეამიერად დგომისა და ლტოლვისა მაუწყებელ. უმზრუნველ ექმნებოდა. ხოლო ამალიკესა და ფარაოს მგვემელ უწყალო საშოთათ მით განგებულებითა სასწაულითა საკვირველთა იქმნოდა. ხოლო აწ უზემთაეს მოქმედებს ყოველთა შორის ურწმუნოთა შემბუსრველ ხოლო მორწმუნეთა ძალ და ცხოვრება:.

მოვედით ყოველნი ნათლისაჲ ნაშობნი ძენი ემბაზისანი ტრფიანნი დღესასწაულისანი და ვიხილოთ უცხოჲ სახილავი სუტტი ჰკრთების და ბრწყინვალედ სხივთა ელვებრ განუტეობს ხოლო კუართი აღმოცისკროის და შუქნი ნათლისანი მზებრ აღმოკვირობენ ხოლო ცაჲ ეკლესიისა ეთეროს და ნათელთა მრჩობლობასა სამყარო ექმნების ხოლო დღესასწაული ფშვს სულნელებასა და ჩვენ მორწმუნენი განვსცხრებით ნარნარად ეჰა შეთქრომასა ნათელთასა და გრძობით მგალობელნი უთხრობთ ესრეთ მეტყუელნი ძეო ღვთისაო მიზეზო ნათელთაო და გვიფარენ განსაცდელთაგან შენნი და დედისა შენისა სარწმუნოებით თაყვანის მცემელნი:

სტიქარონი ხმა ა ნათელი ნათლით:

ნათელი სამბრწყინვალე მიუწლომელი სამებაჲ ყოვლად წმიდაჲ ნათლით მიზეზი და სიწმიდისა წყარო ყოვლად ძლიერი ვადიდოთ და შესხმით ვჰალადებდეთ მეტყუელნი სამ წმიდა ქებასა წმიდა არს მამა ღმერთი მარადის და უსაბამო წმიდა არს ძე ღმერთ თანა არსი წმიდა არს სული წმიდა ღმერთი მამისა და ძისა თანა:

ნათელი ნათლისაგან მოვლინებული წმიდა კუართი საუფლო ივ ღვთისა და სუტტი ცხოველი და საყდარი ღვთისა ძრწოლით იქებოდენ და ნათლითა მიზეზსა უვალობდეთ მეყეტყველნი წმიდ არს მამა მშობელი ძისა და უსაბამო წმიდა არს ძე და სიტყვა მამისა ყოვლად ძლიერი წმიდაჲ ხარ შენ უკვდაო სულო წმიდაო:

ნათელნი ნათლისაგან აღმზებელნი მზისა უბრწყინვალესი ღ დიდებულნი მკვდროვანისანი ზემთა იქებოდენ და რომელნი

კათოლიკე ეკლესიის შკლნი დაღადებლით მეტყველნი წმიდა და საყდარი მალღიითი და აღმატებული წმიდა არს კუართი წმიდა ნეტარი იყოკლღეთისა წმიდა ხარ შენ ცხოველო სვეტო წმიდაო:

ხმა ბ: ღიდება აწდა მდინარე:.

საყვირნი ქუხლით კიდეთა ქუეყანისათა და ზეცისა ძალნო რომელნი ხაჭო მალალთა შინა ელვებრ ჰკრთოდეთ ქროდეთ და ფრინავდეთ დაუცხრომელად: და ყოველთა ტომთა მიმართ იტყოდეთ და ოხრით ძნობლით მოისწრაფეთ ყოველთავე რამეთუ ძე ღმრთისა დღესასწაულობს და ქორწილსა შჰამზადებს თვისისა საყოფელისასა. და სუტსა ყოვლად წმიდასა მის შორის სახედ ძუძუსა გუაწოებს ყოველთავე. და უკვდავებად გუაგემებს მიჰრონსა წარმოუცარიელბელსა. ესე სუტტი ისრალოთა უდაბნოს ოთხ ათეულთა წელთა ანაყოფებდა, წინა ძლომითა უტომელითა მართებით ავლინებდა ესევე: თაბორს და იორდანეს ძესა ღთისასა მსახურ ექმნა. ხოლო ჩვენ ვღაღადებთ საკრველთ მოქმედო უფალო ღიდება შენდა:

ღ ზერი: შრა დააკლდი:

საყდარი ღმრთისა მალალი მიმსგავსებული ზეცათა, რომელსა უბყრიეს შორს სუტტი საშოახს შინა ვითარცა დედასა და შკლთა თვსთა კრთომით ხარებით განაცხრობს და მალღთა უფსკრულსა უწყაროებს მიჰრონსა მას წმიდასა ოქრო ნეკტარსა სულისა ცუარსა:

ცაო საყდარო ღმრთისაო ღ სუტო განმანათლებლო, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობლო წინასწარმეტყუელთა და მამათაგან. სუტად ნათლად ცეცხლისად წმიდად და უბიწოდ მოსწავებლო, და გვფარენ და დაგვცვენ მშკდობით ყოველთა ბოროტთა განსაცდელთაგან:

შითარცა ორთა ქადაგთა სახეთა მდინარისაჲთა ღიდმან ანღრია ღ ღირსმან ნინო წარღუნეს ყოველი სიხენეშეკერპთა ქართველთა თემისა. ეგრე სახედ ესე ორნი მდინარენი წარჰრღუნიან ყოველსა სიბიღწესა და სულისა ნაყოფსა რწყვენ დაუცხრომლად:

ღ ბერი: მღმრი:

ღუთივ აღმართებულსა ამას სუტტსა ჰაერთა განმკუღ-
თელსა და სიმაღლესა ეთერისასა ეღვებრ მომღვღელსა
და კუალად მოქცეულსა ჩუზნდავე მომართ საუკუნოდ მოწ-
ყალებით. და ჩუზნ შორის დადგრომილსა უგალობდეთ საკ-
კრველისა დაეითის თანა და ვიტყოდით: კურთხეულ არს
მომავალი ჩუზნდა სახელითა უფლისათა, რომელი მარადის.
ჰგიეს და ჰბრწყინვის უკუნითი უკუნისამდე და მერმეცა
ვჰლადებდეთ და ვიტყოდით: სახლსა შენსა ჰშუზნის სიწმიდე
უფალო სიგარძესა შინა დღეთასა. გვაცხოვნენ ჩუზნ მაღალთა
შინა მყოფო:

აქებლით: ღიდება: ღღეს ქრისტე:

ღღეს ქრისტე ძე ღმრთისაჲ ზეშთა ბრწყინვალესა და
სანატრელსა სიხარულსა საკკრველსა შეუმზადებს სძალსა
თვსსა ეკლესიასაჲ რომელსა საშოსა შინა თვსსა წმიდა
ღამპრად უპყრიეს სუტტი ცხოველი. და ჰკრთების ეღვა-
რებრ ღ ჰნათობს ყოველსა სოფელსა და კიდეთა ქუტყანისა-
თა ახარებს და ჩუზნ შვილნი ეკლესიისანი ძალთა თანა
ზეცისათა უღალადებთ და ვიტყვთ ოხითა წმიდისა ღმრთის-
მშობელისათა. და სუტტისა ცხოველისათა ღმერთო გუა-
ცხოვნენ ჩუზნ:

ღხითაჲ ღ ბერი:

ძათოლიკე ეკლესიისა დღესასწაული და სუტტისა წმიდისა
და კუართისა საუფლოსა. ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფ-
ლისათა. და სანუაგედ წმიდად მიჰრონსა გვწყაროებს. რომელნი
წმიდასა ღვთისმშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესსა თა-
ყუანის ვსცემთ. რათა ვჰპოვოთ ცხოვრება სულთჲ ჩვენთა:

წარდგომა დ:

მოიწია სიხარული და დიდებაჲ ყოველისა სოფ-
ლისა. რამეთუ წმიდაჲ კათოლიკე ეკლესია განაცხრებს
შვილთაჲ თვსთა და დღესასწაულსა სუტტისა ცხოველი-

სასა შეჰმზადებს ზე წმიდა მიჰრონსა უხუად განუყოფს ყოველთა. და უკუდავებისა სანუაგითა ისტუმრებს. რომელთა სასოებაჲ ზე სარწმუნოებაჲ მტკიცე ზე შეურყეველი უპყრის. რათა მისითა მეოხებითა. მოგუანიჰოს ღმერთმან სულთა ჩუჰნთა დიდი წყალობაჲ:

პ. ბერი:

ზიხაროდენ ზი ნეტარო დედაო ნინო, მოციქულთა სიქადულო და დედათა დიდებაო, რომელი ღუაწლითა და შრომითა შენითა. და სამარადისოთა ლოცვითა და მარხვითა. მიემთხვე სანატრელსა ხილვასა, ანგელოზთაგან ოდენ ღირს ქმნილსა, რამეთუ კაცობრივთა კელთაგან შეუძლებელი სუტტი შეუხეზელად ამალღებული ზეცად იხილე ზე კულად ნეტარითა ცრემლთა შენთათა. შთამოსრული შორის ცისა და ქუჰყანისა. და მიუახლებელი კაცობრივთაჲ ნივთთაგან. ჰვიეს სამარადისოდ და ჰუარვის სულთა და ხორცთა ჩუჰნთა:

აუარებდით: აღსავალნი: დ ხმისანი: წარდგომა: სახარებისა: წმიდა ჰყო საყოფელი თვისი მაღალმან, ღმერთი მის შორის და იგი არა იძრას უკუნისამდე: მუხლი: სახლსა შენსა ჰმუჰნის სიწმიდე, უფალო სიგრძესა შინა დღეთასა: შოველი სული აქებდით:

სახარება იოანესი:

მას ეამსა შინა კაცი ვინმე იყო ფარისეველთაგანი, სახელით ნიკოდიმოჲს მთავარი ჰურიათაჲ. ესე მოვიდა იჰსოსსა ღამით და ჰრქუა მას, რაბი უწყით რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღურად: რამეთუ ვერ ვის კელეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ რომელთა შენ იქმ, უკეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა: მიუგო იჰს და ჰრქუა მას: ამინ ამინ გეტყვ შენ, უკეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ. ვერ კელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა: ჰრქუა მას ნიკოდიმოს ვითარ ხელეწიფების კაცსა ბერსა შო-

ბად. ნუ უკუპ შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თვისისა შესლვად მეორედ და შობად. მიუგო ი'ვ და ჰრქუა მას ამინ ამინ გეტყვი შენ. უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელეწიფების შესლვად სასუფეველსა ლუთისასა: შობილი იგი კორცთაგან, კორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკვრნ რამეთუ გარქუ შენ ესე ჯერ არს თქუბნდა მეორედ შობაჲ: და დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესო ლაღადყო და თქუა: უკეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუბმდინ, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი ვითარცა თქვა წიგნმან მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანი: ესე თქუა სულისა მისთვის რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისსა მიმართ: რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ. რამეთუ ი'ვ არღა იყო დიდებულ: და შემდგომად ვნებისა მის, მაშინ ერისაგანთა მათ რომელთა ჯუარს აცუპს ი'ვ. მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად თითოეულმან ერისგანმან ნაწილი: ხალო კუართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამოჲ ქსოვილ ყოლად, თქუპს უკუპ ურთიერთას: არა განვხიოთ ესე არამედ წილ ვიგდოთ ამას ზედა ვისაცა იყოს: რათა აღესრულოს წერილი იგი, განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა, და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისა განთა მათ ესე ყვეს:

კალობანი: სუტისა ცხოველისანი: უგალობდითსა

ხმაჲ: დ': ზღვაჲ უვალი:

აღაღე პირი ჩემი, და აღივსენ იგი მადლითა. რათა აღმოვთქვა სიტყვაჲ, სიტყვაო მამისაო, მხოლოდ შობილო, ჯეროვანი და ღირსი, შესხმად საყდრისა შენისა და სუტისა ცხოველისა:

შემოკერბით კრებულნო, სულიერნო მორწმუნეთა ერნო, და ქებით უგალობდეთ, დღესასწაულსა ამას, ყოვ ლად წმიდასა საყდრისა მადლისასა, და სუტისა ყოვლად წმიდასა ვადიდებდეთ და თაყვანის ვსცემდეთ:

სუტო ყოვლად წმიდაო, ნათელო და ბრწყინვალეო, და მზეო დაუვალო, რომელი ჰნათობ სულსა და გონებასა შინა. მორწმუნეთასა, რომელნი აღვიარებთ სასოდ და სარწმუნოებით თაყვანისცემთ:

ღ ძილსა: მგალობელნი შენნი:

ათა მობაძავსა საყდარსა, რომელსა საშუვალ საშოსა სუტო უპყრიეს ძუძულ და, უშურველად წარმოგვცენებს, მიპრონსა წმიდასა სახედ, სძისა ამას უგალობდეთ და ვაქებდეთ:

სუტო ბრწყინვალეო და ნათელო, ნათლითა შენითა შეგუზლუდენ, შვილნი შენნი რომელმან ვითარცა გარემოდგომით უთხრობთ; გალობასა და შესხმასა, საღთოსა შუენიერებისასა:

მჰა გოდოლი სანატრელი, რომელსა გარე შეუცავს ნათელი და ბრწყინვალეა. დაუფარავი ნივთთაგან სიბრძნით და ღუთივ შუენიერად. ნამუშაკვევი ძისა ღმრთისა:

მისსა: იხილა რაჲ:

ღედაჲ იგი სანატრელი. რომელსა ქრისტემან ღმერთმან მიანიჭა მოციქულობაჲ და ღირს იქმნა უხილავსა, სუტისა ამაღლებასა. საკრველსა და კუალად შთამოსლვასა:

ჰ სანატრელო სუტო, უცხოდ ხილულო წმიდისა დედაკაცისაგან, ზეცისა ჰაერთა, აღმაღლებულო და კუალად, ღმრთისა მოწყალებითთა მოწვევით ჩვენ თანა გებულო:

სუტად ნათლისად ყოვლად ბრწყინვალედ, ქადაგებულო და მოსწავებულო, წმიდათა მამათა, და წინასწარმეტყუელთაგან დედოფალო წმიდაო, ღვთისა დედაო მეოხ გვეყავ ჩვენ:

ღამითგანსა: შენ უფალო:

შენ ხარ სუტო, ნათელი ნათლისაგანი, რომელი ელვებრ ჰკრთებოდა, იორდანეს და თაბორს, მწამებელად ძესა ღმრთისასა

სახედ შენდა, ნათლისა სუტტი გამოაჩინა, ნათლისა სუტტო ქალწულო, შენგან ტვრთულმან ღმერთმან. ამისთვის თაყვანის გცემთ შენ მის თანა:

ღალად ყავსა. შთავეარდი:

ძუსონი და მამეულნი იგი სჯულნი, და ბომონთა ნაგებნი. შეგუსცვალნეს საკვრველად და მათ წილ. მოგაქუს წმიდაჲ, საყდარი და მიპრონი და სუტტი ცხოველი სასოდ ჩვენდა:

მჰა საღმრთო შეცვალეზაჲ ესე, საყდარი არმაზის წილ, და მიპრონი ნაგებთა წილ. ხოლო ბომონთა, სუტტი წმიდაჲ ცხოველი, მოგვანიქნა ძემან ღმრთისამან:

ძუსენით ზეცას მიწვენილო და ზეცას დამკვდრებულო. ხოლო ჩუენ თანა მარადის მყოფო, სუტტო ცხოველო. დედოფალო წმიდაო, მეოხ გვეყავ მოსავთა შენთა:

იბაკოჲ Ը: ბერი.

ზეშთა მბრძოლისა ჩემისა თვს და შემწისა უძღვევლისა. სუტტისა წმიდისა და ლუთივ ბრწყინვალისა. რომელნი ჰნათობს საუფლოჲსა და ზეგარდამოჲ ქსოილსა კუართსა ზედა და ეღვრებრ აკრთობს ცათა მობაძაჲსა საყდარსა და მგალობელთა და მედღესასწაულეთა თვსთა განაშუშნებს და ცისკროის. და სიხარულთა მრჩობელთა მიანიჭებს, რომელნი ქებასა შეასხმენ. გიხაროდენ სუტტო ცხოველო:

იკოსი

მჰა ესერა შემოკერბით. დღესასწაულსა ამას წმიდასა საუფლოსა, კიდენი ქუეყანისანთ და ანგელოზნი კაცთაჲ თანა, ყოველნი ერთბამად შეერთებითა სულისათა წინასწარმეტყუელნი და მამათ მთავარნი, მოციქულნი, მოწამენი და მღუდელთმოდღუარნი. მამათა და ქალწულთა მწყობრნი. მოისწრაფეთ ყოველთა და მოიფრინვეთ ძნობდით კმობდით და ღალადებდით სცემდი ქნარსა წინასწარმეტყუელო და ყოველნი წმი-

დანო წერილნი განხსენით ქებისა შესხმად სუტისა ცხოველისაჲ და იტყოდით: გიხაროდენ სუტო წმიდო და ცხოველო. რამეთუ კუართსა ზედა საღმთოჲსა ჰკისკროი. გიხაროდენ სუტო განმანათლებლო ცისკიდეთაო. რომელი ანაყოფებ სულთა უკუდავებითა, გიხაროდენ სუტო სანატრელო რომელი სამარადისოდ ბრწყინვალითა თუალითა უჭკრობ წმიდასა კუართსა. გიხაროდენ რომელი ჰკრთები ელვის სახედ. და წმიდა მიჰრონსა უწყაროებ მორწმუნეთა. გიხაროდენ სუტო საღმრთოო მგემებელო სიტკბოებისა სულთასა. გიხაროდენ სუტო თანა მზრახველო და მესაიდუმლიეო დიდისა ღუთის-მეტყუელისა მოსესო. გიხაროდენ წინამძღუარო და თანა მოგზაურო ისრაელთაო: გიხაროდენ ახლისა სჯულისა მომასწავებელო. თაბორს და იორდანეს მსახურ ქმნილო ძისა ღუთისაო. გიხაროდენ ნათელო ნათლისა მწამებელო ძედ საყუარელად. გიხაროდენ მამათა მოღუაწეთა უდაბნოჲსათა და წმიდათა მოღუაწეთა სასოებაო. ჟამად ჟამად სახილაეო ბრწყინვალეო. გიხაროდენ მწეებრთა ოქროჲს სახეთა შუქთა გულისა მორწმუნეთასა ისრებრ მსროლელო. გიხაროდენ სიონს მოციქულთა ზედა ათორმეტ ნაწილად, ენად ცეცხლისად გარდამოელვებულო. გიხაროდენ უფროჲსად ყოვლად წმიდისა ღუთის მშობელისა მსახებელო. ქუეყანით აღმოცენებულსა და ზეცას აღმწუსრვალელებულისაჲ. რომელმან ღმერთსა შეგუაერთნა. გიხაროდენ სუტო ცხოველო: ანგელოზებრ ზემთ ბრწყინვალედ. ღ ზენათა მიერ ძალთა ქებით ძნობილად. ხოლო ყოვლისა მკვდროვნისა. მამზებელად სასწაულთა მიერ მხილველნი. და მეცნიერ ქმნილნი განკვრევებით მდგომარებნი: ვლადებთ შენდამი. მეტყუელნი ესე ვითარითა: გიხაროდენ რომლისა ბრწყინვალეებითა, ნათობს ცის ქუეშე. გიხაროდენ რომლისა საკვრველებითა, ელავს სოფელი: გიხაროდენ მზეო დაუვალო ყოვლად ბრწყინვალეო:

გიხაროდენ ნათელო ნათელთა მძლეო ეღვარებითა:¹) გიხაროდენ რამეთუ წმიდასა ზედა და ნეტარსა ჰსცისკროჲ კუართსა: გიხაროდენ რამეთუ ეღვებრ აკრობ საყდარსა ძისა ღმრთისასა: გიხაროდენ მოკლებულისა სარწმუნოებისა განახლებათ: გიხაროდენ: კერბთა ვიდრემე სიბოროტისა წარმწყმედლოჲ: ხოლო ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღმომაჩინებელო: გიხაროდენ რომელმან ნათ ელ შეცვეულ ჰყვენ მკვდროვანნი: გიხაროდენ რომელმან მოსრენ ძენი აგარისნი უსჯულონი. და აღადგინე რქაჲ მაცხოვარებისაჲ: გიხაროდენ წინა მბრძოლო უძლეველო ქრისტეანეთათ: ღმრთისა კაცთა დამაგებელო გიხაროდენ: მომგებელო ერთ საზებუროდ ნათესავად წმიდად სამეუფოდ: გიხაროდენ რომლისა მიერ, თაყვანისცემენ დამბადებელსა: გიხაროდენ სუტო ცხოველო:

მჰა საღმრთოჲ სიხარულო: ეჰა დღესასწაული უფროჲ სადიდებელი: ჰ რაბამი სიტკობებაჲ, სულისა უკუდავ მყოფელი: რამეთუ სამებისა წმიდისა გამომხატველთა: საყდარს ღმრთისასა, სუტსა ნათლისასა, და კუართსა წმიდასა საუფლოსა: ერი მორწმუნეთა უგალობს და ქებასა შეასხამს. რომელსა ანგელოზნიცა ძნობით უპირებენ²): გიხაროდენ: საყდარო ღმრთისა მალლისათ. გიხაროდენ კუართო ნათლისა შემცვალო: გიხაროდენ სუტო ცხოველო:

ძურთხეულარს: საკმილსა შინა:

სახმილსა შინა: ჯოჯოხეთისასა პირველ მიმავალნი: ვლადებდეთ და ვიტყოდეთ: კურთხეულ ხარ შენ უფალო:.

1) ამის შემდეგ აწიხედ ეს წარწერა არის კარჯის მრავალის კელით:

„ქ: ეს: სვეტის: ცხოვლის: საკთხაჲ: მე ფრიად ცოდვილმან და უღირსმან: და ურჯულოს: კელიდამ: გამოცნაღმან და შეილებ დტოვებულმან: თეთრუამან: ერთს: ალაგს: ვჰპოვნე: და ამოვიტანე: და: ისევ: ჩემს: სასოებას: სვეტის: ცხოველს: მოვართვი: შენდობისათვის: მშობელთა: ჩემთა: და: საოხად: ჩემდა:

2) უპირებენ—უღაღადებენ, ეტყვიან რედ.

არმაზის ბომონსა^{*}; პირველ ყრმანი დაიკლოვდეს და ტი-
როდეს: ხოლო აწ სუსტსა წინაშე: ემბაზსა შინა: ნათელ
იღებენ და ღაღადებენ: კურთხეულ ხარ შენ უფალო:.

ზიხაროდენ შენ: ღმრთის მშობელიო ქალწულო უბიწოო:
სუსტო სიმტკიცეო ჩუენო: ელვის სახედ: განმანათლებლო ღ:
განმაბრწყინებლო: სულისა, გულისა და გონებისა ჩუენისა:.
აკურთხა მკსნელო ყოველთაო:

მკსნელო ყოველთაო: ძლიერო ღმერთო: გაქებთ და გა-
დიდებთ: რომელმან ღირს გუყვნენ: ამის წმიდისა დღესასწა-
ულისა, მოწევნად მხიარულ ყოფად: სულთა და გონებათა
ჩუენთა:.

ზიხაროდენ სუსტო. რამეთუ კორცთა სცავ განსაცდელ-
თაგან: ხოლო სულისა ნათელსა საცნაურ ჰყოფ. ემბაზისასა
და მიჰრონისა მიერ: და ჩუენ დაუცხრომელად თაყვანის-
გცემთ:.

ზიხაროდენ სუსტო: რამეთუ ელვებრ: ჰბრწყინავ შორის
ცისა. და ქუყანისა. და სიყუარულისა მიერ შეგიკრვან და
შეგიერთებიან: ზეცისა და ქუყანისანი:.

აქებდითსა: ლოდი საკიდური:

ლოდი. ნათლისა უკელოდ. დამოკიდებული ჰაერთა: უხი-
ლავად მდგომარე არს: და ანგელოზნი კაცთა თანა: უგალო-
ბენ დაუღუმებელად: დიდება სუსტსა სასოსა ჩუენსა:

საყოფელო სახლო წმიდაო. დიდებისა ღმრთისაო. ეჰა.
დიდად შუსნიერებასა შენსა: სიწმიდისა შენისასა: რამეთუ
სუსტი შენითურთ გუახარებთ შვლთა თვსთა და გუფა-
რავთ:.

სუსტო ჩუენო და ნათელო. დედაო ძისა დუთისაო:
რომელმან ძუძუთა თვსთა მიერ იწ ღმერთი აგემე, ეგრე სა-
ხედვე სუსტისა. მერ მიჰრონსა, ჩუენცა გუაგემებენ:

*) ბომონი—არს სვეტი, რომელსა აღმართვენ კერპსა ზედა. რედ.
ბაგინი—იგივე ბომონია.

სხუანი გალობანი სუტის ცხოველისანი:

უგალობდითსა: დ გერი სიღრმე მეწამ:

ღმერთო რომელმან სიონს. სული წმიდაჲ მიჰუინე მოციქულთა და ცეცხლის ენად, შემწუველად გამოაჩინენ მწვალებელთა ღუარძლისა: და საკერპოთაჲ ბომონისა და სიბრძნითა აღავსენ ეგრეთვე მეცა მაწთვე: სიბრძნე წუპთად ცეცხლისად: რათა ღირსად შევამკოთ დღესაწაული გალობითა საღმრთოჲთა:.

ზიხაროდენ საყდარო. ცათა მობაძვო, რამეთუ ძე ღუთისაჲ, სიხარულსა შეგიძადებს ყოვლისა სოფლისათვის: განმანათლებელსა დღეს რამეთუ სუტისა წმიდასა, ანგელოზნი უხილავად. აჰა მდგომარენი. ჩუენ შორის ჩუენთანავე უგალობენ დაუცხრომელად:

სამებაო წმიდაო. სამ გუამოვანად ცნობილო და ერთ ღუთაებაო ერთო, მამაო ძისა მშობელო. ძეო მისაგან შობილო. სულო გამომავმლო.. ერთად თაყვანისცემულო. რომელი სიბრძნით განაგებ. რომელი ხარ მიზეზი ყოველთავე. ნათელთაჲ. გუაცხოვნენ ქმნულნი შენნი. და სარწმუნოებით მოსაენი:.

ღედაო და ქალწულო ძისა ღმრთისა მტკრთველო. ოქროჲსა პალატო ვრცელო. რომელმან საკვრველებით. ცათა დაუტევნელი. საშოჲსა დაიტიე. სუტო ნათელო ნათლისა. ნათელთა მფლობელისაო. უსაზღვროჲსა. საზღვარ ქმნულო, რომელმან შეგუაერთენ. შუამდგომელობითა და გვფარენ განსაცდელთაგან:.

განძლიერდითსა: განმადლიერებელ:

ზოდოლსა ამას სანატრელსა. რომელსა უტკრთავს საუნჯე. უსასყიდლოჲ და ფას დაუდებელი რამეთუ ერთისა მის. მხოლოჲსაგან ოდენ იძლევის: რომელ არს მარგალიტი. სახარებასა წერილი:.

ამას სანატრელსა გოდოლსა. რომელი გარე მოგვცავს. საუნჯესა ვქვრობთ რათამცა. განგუამდიდრნა გლახაკნი. ხოლო იგი სასოებით გვქადაგებს მოცემად. უკუდავებისა სიმდიდრესა:.

დაუსაბამოა მამასა. დასაბამიერსაა ძესა. კორცითა და არა ღუთაებითა. სულსა გამომავალსა. სამგუამოვანსა ერთ ღუთაებად. ვადიდებთ თაყუანის ვსცემთ. სამებასა წმიდასა:

წინასწარმეტყველნო წმინდანო. რომელსა სულისა თუალობითა. წინაათვე იქვრობდით და იტყოდით: აჰა ესე რა სუტტი, წმიდაა ნათლისაა გვპყრიეს ჩუენ. დედაა ღმრთისაა ქალწული უბიწოა ცათა უმაღლესი:.

მნ^ა მესმა უფალო:

ნეტარმან მან დედაკაცმან, მოციქულთა მოდასემან. წმინდანმან ნინო უცხო სახილავი იხილა. სუტტი უხილავითა კელთა ტვრთული:.

ვრემლთა ნეტარმან ფრიადმან. ვითარცა სვფონმან ძლიერად შთამოზინდა, სუტტსა ჰაერთა აღწევნულსა. და ჩუენ შორის ჰგიეს უკუნისამდე:

ძუართი ბრწყინავს სუტტი ნათობს. ჯუარი ჰკრთების და სხივთა ელვებრ განუტეობს. ხოლო ეკლესიაა დაღადებს. მეფენო და ერნო იხარებდით დღეს:.

სუტტისა გამომსახველო. და ნათელთა მფლობელო და დამბადებელო. ნათელ ყავ სული და გული ჩემი სამებაო. ღმერთო ერთ ღუთაებაო:.

სუტტსა სიმტკიცესა ჩუენსა, სიქადულსა ყოვლისა სოფლისასა. ყოვლად წმიდასა ღ^{ის} მშობელსა, თაყუანის ვსცემთ ჩუენ სასოსა ჩუენსა:.

ღამითგანს ნუ სადა

ზიხაროდენ ცხოველო. სუტტო ბრწყინვალეებითა. საღმრთოთა განათლებულო. რომელი საყდარსა, და ჩუენ შუ

რის ბრწყინვალედ ეგზები ცეცხლებრ ვითარცა აღმური ყოვ-
ლად დაუშრეტელი ანათობ. სულსა და გონებასა:.

ბაგინსა მას კერბთასა. რაჟამს ყრმანი დაიკლოვდეს სამა-
ელ განსცხრებოდა. ხოლო აწ სუტსა წინა ემბაზისაგან ყრმა-
ნი რაჲ ნათელს იღებდენ, სატანა მჭუვარობს ხოლო ანგე-
ლოზნი იხარებენ. და ჩუენ ქრისტესა ვადიდებთ და თაყვანის
ვსცემთ:.

ნათლისა საგრაგნელსა. ნათლისა სუტსა, ქუეშე საფარ-
ველად მდებარესა. კუართსა მას მხსნელისასა. რომელსა ზედა
სუტტი ცეცხლებრ, ენთების. და ანგელოზნი დაუცხრომელად
უგალობენ: ვადიდებდეთ და ვაქებდეთ უკუნისამდე .

სამებისაგან მან ერთმან. ყრმამან ახალმან პირველ საუ-
კუნეთა ღმერთმან. გარე შეუწერელმან, რომელმან გარემო-
საბლარდნელი კუართი. ნათლისა, გუამისა მისისაჲ სასოდ
ჩუენ მოგუანიქა: რომელნიცა შიშით თაყვანის ვსცემთ:.

ჴ ნათელთა მთავარო, ნათლისაგან მამისა უდედოდ
შობილო, და სუტისა ნათლისა. ქალწულისაგან უმამოდ
შობილო, იჴ ნათელისა მომფენელო სულთა ჩვენთაო. ნა-
თელ გუყვენ დაბნელებულნი ესე:.

ღალატყვსა: მომიტევ:

პრმაზის ბაგინსა მას: რაჟამს სისხლი ყრმათა ჩჴვლთაჲ.
ორთქლოოდა სამაელისაგან ტკბილად იყნოსოდა. ხოლო სუ-
ლი საწყალი მათი ჯოჯოხეთს, სიმყარალესა იგეგებდა: ნეკ-
ტარსა მას ცრემლთასა. ნინო სანატრელისათა, სუტტი
მორჩილი ექმნა და, აღფრინვებული კუალად მოქცეული
ჩუენდავე, მხიარულებით, მარადის სანუაგეობს:.

ნათლის საბლარდნელსა, ძისა შენისა კუართსა ზედა.
ნათლისა სუტტი ცეცხლებრ, ელვის სახედ ენთების. ღმრთის-
მშობელო ქალწულო, მეფე მორწმუნე: ნათლითა ბრწყინ-
ვალე ყავ:.

ღედათა დიდებაო. ხოლო ქალწულთა სიქადულო. სუ-
ტო განათლებულო. რომელი მიწევნულ გუყაფ ზეცას ძისა
თვსსა: ღისა დედაო, შეგვწყალენ შემსხმელნი შენნი:.

კ^ახა ყრმანი ებრაელნი:

ჰრმანი ებრაელნი ლტოლვლნი თარაოჲ მეფისაგან, უდაბ-
ნოს შინა, ცეცხლისაჲ სუტითა უცთომელად ვიდოდეს და იტ-
ყოდეს კურთხეულ ხარ:.

ჰრმანი ბომონისა მას არმაზისასა. დაიკლოვადეს ხოლო
აწ, სუტსა წინაშე. ნათლისასა ნათელს იღებენ და ლაღ-
დებენ: კურთხეულ ხარ:.

ჰრმანი ებრაელნი რაქამს უკუტ, ვიდოდეს სამებისა: ერ-
თისაგანთსა, ქრისტეს წინა ბაიადთა შეასხმიდეს და იტყოდეს:
კურთხეულ ხარ:.

ჰრმანი კათოლიკე ეკლესიისა შვლნი, ნათლითა აღბეჭ-
დულნი: სუტსა ნათელსა, დედასა ღუთისასა უგალობდეთ
და ვიტყოდეთ, კურთხეულ ხარ შენ უფალო ქალწულისაგან
შობილო:.

ა^ახა შვდ წილ.

შათა მობაძავ ესე ეკლესიაჲ და სუტტი ცხოველი, ნა-
თლისა სამოსელსა, ცეცხლისა სახუტველსა, კუართსა ყოვ-
ლად წმიდასა, უჩრდილობენ ღრუბლითა ნათლისათა. და
გუამ ექმნებიან ანგელოზთა განწყობილსა. ნანა რაჲ მგალო-
ბელსა: ვაკურთხევდეთ და თაყუანის ვსცემდეთ ქრისტესა
ღმერთსა, ყოვლისა სიბრძნით განმგებელსა:.

* დედაკაცი მდაბალი, ცათამდე ამაღლებული. სანატ-
რელი ნიო მოციქულთა მოდასე. მოიფრინვა ვითარცა. ისა-
რი ელვსა ნათლისაჲ საკერპოთა შემწუველად დამწყობველად
ეშმაკთა, ხოლო ჩუენ მორწმუნეთა, სულსა და გონებასა-
სუტსა ნათლისასა მომფენელად:.

სამთა ნიეთთა სამ სახეთა, სამებისა გამოშახველთა: ეკ-
ლესიასა კუართსა და სუტსა ცხოველსა, ერთობით ვადი-

დებდეთ, ვითარცა სამებასა ერთ ღუთაებად. აღვიარებთ სამ ნათელთა ერთობით: მამასა ძესა სულსა, განუყოფელად და შეურწყუმელად მსასოებელნი მერმისა ცხოვრებისანი:.

გიხაროდენ შენ ტაკუკო. ოქროსა სავეო მანანაძთა და კუალად გიხაროდენ ემბაზო ნათლისაო. სავეო მიპრონითა უკუდავ მყოფელო კაცთაო. გიხაროდენ სასაკუმეველო სავეო სულნელებითა. ჩუენდა მაყნოსებელო. სამოთხისა ნერგთაო. გიხაროდენ შენ დედაო ძისა ღუთისაო:.

აბსა: განკვრდეს ზესკნ:.

✱ სუსტო ცეცხლებრ მგზებარეო ნათლითა. მიუაჩრდილებელითა. რომელი ჰნათობ სულსა და გულსა მორწმუნეთასა, და შარავნდენი და სხივნი, ნათლისა შენისანი მისწუთებიან: ქუყანისა კიდეთა, რომლისა დიდებითა. აღივსების ყოველი ქუყანაჲ.

წმიდასა შემწველსა ნათლისასა: ლარნაკსა სუსტის სახედ აღმწურვებულსა. რომელსა შინა მარადის ეგზების ნათელი საღმრთოჲ. და ნათლისა საღმრთოჲსა შემწველსა. კუართსა ზეით შთამომკვრობელსა, ვაქებდეთ უგალობდეთ. და თაყუანის ვსცემდეთ ჩუენ. რათა სულნი ჩუენნი ნათელ ყვნეს:.

✱ მზეო დიდებისაო ივ ესე ბრწყინვალეობაჲ საკვრველებათაჲ. რომელი შეჰმოკრიბე მაცხოვრად ჩუენდა. და საუნჯედ წარუპარველად. დაგვუნჯე და უოხქნოსა მის. მერმისაჲ მის სუფევისაჲ. მომატყუებელად მოგუსც. დიდებაჲ სახიერებისა შენისა:

სათარი ნათლისა საფარველი ჩუენი. წმიდაჲ კუართი და სუსტი ცხოველი: ურთიერთარს მახლობლობითა განშუქნებულნი. და საყოფელი და საყდარი ღმრთისაჲ ცად გარდართხმული მრჩობლთა ნათელთა. ლაღად მჯდომი მაღალი. ცათა შესწორებული ✱ ტკბილი მეზობლობაჲ ერთ სავანეთაჲ:.

✱ სამებაო ერთ ღუთაებაო. შენი არს სიბრძნე და განგებულებაჲ. ესე უსაზღვროჲ და მიუწდომელი კაცთაგან. შენ

მხოლოდმან გამოაჩინენ, ნივთნი ესე ნათლისანი მაცხოვრად ჩუენდა. მამო უშობელო. ძეო შობილო სულო გამომავალო ერთ ღუთაებაო.

სუსტსა და სიმტკიცესა სოფლისასა. ტაკუქსა ოქროასასა მანანაჲთა. სავსესა ჩუენდა მავემებელსა სულნელსა. საყდარსა ღმრთისა მალლისასა. ოქროასა კილობანსა წმიდასა. ბაზმაკსა მნთებარესა. ემბაზსა ნათლისასა ქრისტეს დედასა თაყვანის ვსცემდეთ.

სხუანი გალობანი ამისივე დღესასწაულისანი.

უგალობ. წამისყოფითა.

ნათელი ნათლისაგან: ქრისტე სიტყუაო ღუთისაო. მომეც სიტყუაჲ და გონებაჲ აღებად პირისა. რათა ნათელინი შენნი. ქებით შევამკენე. ეკლესია. და სუსტი წმიდაჲ.

სუსტო ცხოველს მყოფელო: ბრწყინვალეებითა შენითა. განანათლენ თუალნი სულისა ჩემისანი. რათა ზე მაქუნდნენ მარადის. სადა ნათელი. ღუთაებისა ჰვიეს მარადის.

კუართი წმიდა მხსნელისა. რომელი მყის აღტაცებით მოიწია პირველვე განგებულებით. სადა შეიმზადებოდა, საყდარი ღუთისაჲ. რომელსა ძრწოლით თაყუანსა ვსცემთ.

ძება ღმერთსა მხოლოსა. ყოვლისავე შემძლებელსა. რომელმან დაბნელებულნი გამოგვხსნა კერბთა. მწარისა მონებისაგან. და აზნაურ გუყვნა. და ნათელი საღმრთო მოგუფინა.

სამებასა წმიდასა. სამებით მნათობიერსა. უგალობდეთ რამეთუ სახე ნათლისა მისისა. სუსტი ცხოველი გამოგვცხადა მორწმუნეთა.

ჰრმა მცირე ქრისტე ღმერთი. რომელი ბრჭალითა იპყრობს. და განაგებს ზეცისათა და ქუეყანისათა. ესე ქალწულმან წმიდამან, გვწვა კორცითა. რომელი აცხოვნებს სულთა ჩუენთაჲ.

ბძა: ღმერთო მაცხოვარო ჩუენო.

ღმერთო მაცხოვარო ჩუენო: ყოვლისა დამზადებელო რომელმან სიტყვთ დაამყარენ ცანი მალაღნი. შენვე მაცხოვა-

რო. წმიდა ეკლესიაჲ დაამყარე. და მას შინა სუტტი წმიდაჲ რომელი ჰგის თაყვანის ცემაღ ჩუენდა:.

სუტოა წმიდაო რომელი. ჩუენ მიერ გარე შეცვულ ხარ. და ანგელოზნი უხილავად. ჩუენ თანა ძნობენ. აჰა ესე რა დღეს. მოვედით და უგალობდეთ, რომელმან მოგუანიჰა ჩუენ. სუტტი წმიდაჲ წმიდა მყოფელი სულთა ჩუენთა:.

წმიდაჲ ნინო მოციქული. დედაჲ ქართველთა თემისაჲ. არმაზის მეხის დამტეხელი. ხოლო სუტტისა. წმიდისა ნეტარი ცრემლთა მისთა ნექტარითა. ჩუენდა სასოღ მომნიჭებელი. შევაძკოთ გალობითა და ქებითა:.

‡ დედაო სანატრელო. რომელი ხილვათა ზეშთა ბუნებისათა საკვრელთა, ღირს იქმნებოდე. რაჟამს მდინარესა. მფრინველნი შავნი განსპეტაკნებოდეს მაშინ. მოესწავებოდა ნათლისღებაჲ საღმრთოჲ:.

მამასა თაყვანის ვსცემდეთ, ძესა ავაძალებდეთ და სულსა წმიდასა ვადიდებდეთ. სამგუამოვანსა სამებასა წმიდასა. ერთ ღუთაებად აღვიარებდეთ. სუტტისა მის ცხოველისა. შემშაადებულსა სასოღ და მაცხოვრად ჩუენდა:.

‡ დედაო და ქალწულო. ნათელო ნათლისა სუტტსა მსახებელო. ხოლო სუტტად სახელ დებულო. რომელსაჲა შიშით ვადიდებენ ქერობინნი. და ჩუენცა მათ თანა ძრწოლით: გიგალობთ და გაქებთ დაუცხრომელად:.

მსა: ქრისტე ღმერთი:

ქრისტე ღმერთო. რომელმან სიბრძნით. ყოველივე განაგე კაცთმოყუარებით ჩუენთვის და მრჩობლთა ყოფადა თვს. აქათა და მერმეთა. დიდებაჲ სახიერებასა შენსა.

ნთელისა სუტო. ცეცხლის სახეო შემწუელო უღთოთა ერისა რაჟამს. ტაძარსა შენსა მოვიდეს წარმართნი. განხილვასა ეცადნეს. ხოლო შენ ცეცხლისა მიერ შესწუენ:.

რაჟამს იგი წარმართთა ერნი. საუნჯესა მგონებლნი კელ ჰყოფდეს კადნიერად. ცეცხლი გამოჰკრთა და უწყალოდ შე-

ქამნა უბადრუკნი. ხოლო ჩუენ თაყვანის ვსცემთ ქრისტესა:..
საუნჯეო. ღირსო ყოველთა. კეთილთა კსენებისა უზე-
შთაესო რამეთუ. ვერ ცნეს დიდებაჲ შენი ბარბაროზთა. ამის-
თვსცა მიეგო. უბადრუკთა ღირსი პატიჲი:..

ზწყფილო (განყოფილო.) სამეგუამოვანებით. ხოლო გა-
ნუყოფელო დუთაგბით. სენნათობიგრო ერთ ბრწყინვალეგბო
მამო და ძეო და სულო წმიდაო გვაცხოვენ ჩუენ:..

აჰა გნატრით. ყოველნი ვითარ წინასწარმეტყველი ყო-
ვლად წმიდაო დედაო ლუთისაო. რამეთი შენგან შობილი
ღმერთი დღეს ერისა თვისისა. მიერ დღესასწაულსა შეჰმზადებს:..

ღგა: შენდა აღვმთ:..

შენ ხარ ნათელი და ბრწყინვალეგბაჲ გამოუთქმელი რო-
მელი სამყაროსა და მზესა მძლე ექმნები. სუტო ცხოველს-
მყოფელო. დიგვცვენ თაყვანის მცემელნი შენნი:..

ცეცხლმან საღმრთომან. მიზეზმან სიმართლისამან ქრის-
ტემან სამოსელი თვისი მოგუანიჲ საფარველად. სულთა და ხორ-
ცთა ჩუენთა. რომელსა ჩუენ ძროლით თაყუანის ვსცემთ:..

სუტით ცხოველით. მიჰრონსა გუაწოებს ვითარ ძუძუთა:
ხოლო კუართსა შინა წარგურაგნის იწ. მკსნელი და. ეს-
რეთ განგუასპეტაკებს. დიდებაჲ სახიერებასა მისსა:

საყდარო ვრცელო. ქუყანასა ზედა ცად დაფუძნებუ-
ლო იხარებდ რამეთუ ღმერთი შენ შორის სუფევს. ხოლო
ჩუენ დღეს ნანარად.*) შვლნი შენნი გიგალობთ კმაჲ ტკბილად:

ღუთის მეტყველებით. ერთითა ბუნებითა იდიდების სა-
მებაჲ ხოლო. განგებულებით ძე ლუთისაჲ ორ ბუნებად არა-
მედ. სამივე ერთ ლუთაებად. ვიცით და ერთ არსად თაყუანის
ვსცემთ:

ჰ საკვრველი ქალწული წმიდაჲ შობს უმამაკაცოდ. ხო-
ლო ქალწულადვე ჰგიეს და კაცობრივთა წესთაგან უცხო
იქმნა. ხოლო ჩუენ ამისთვს თაყვანის ვსცემთ:..

*) ნანარად—ნარნარად, წყნარად.

ლყა: ვითარცა იგი იონა:

ანგელოზთა განწყობილნი. უხილავად მგალობელნი. შენსა გარემოჲს ცხოველო. სუტო ხილულან ჩუენ მიერ. ჩუენცა მათ თანა. ვადიდებთ შემამკობელსა შენსა ღმერთსა:.

მკვეთურნი ბარბაროზნი. საუნჯესა დაფარულად. მგონებელნი განხილვისა. რაჟამს ეცადნეს გამოჰკრთა ცეცხლი უწყალოდ შემჰამელი საფუძვლით:.

‡ საუნჯეო ნამდვლვე. ფას დაუდებელო სუტო. არა კაცთაგან შეცველო. არამედ ანგელოზთაგან. ხოლო შეხებად კელთაგან კაცობრივთა შეუძლებელო:.

ძადნიერთა კელყოფისა. განხილვისა შენისა თვის: მსწრაფლ შურის გებაჲ მიეგო. უკეთურთა ბარბაროზთა. რაჟამს ცეცხლითა მყის შეიწუნეს უწყალონი უწყალოდ:.

‡ სამებაო საკუთრად თაყვანის მცემელნი შენნი განყოფილად. განუყოფელად. სამ გუამოვნად და ერთ არსად. და გვფარენ ჩუენ. ყოველთა ბოროტთა და განსაცდელთაგან:.

ბიხაროდენ დედოფალო. სასოო და საფარველო. და ზღუდეო ყოველთავე. თაყვანის მცემელთა შენთა. მორწმუნეთაო ძისა შენისა აღბეჭდულთაო:.

კხსა: ყრმათა ბაბილონს:

ყრმათა ბაბილონს. ცეცხლი შემაცურეველი ვითარცა წყალი. სახედ სუტისა განანათლებდა. და უვნებელობისა. სულითა იტყოდეს: ღმერთო შენ კურთხეულ ხარ:.

ყრმათა ემბაზსა. ნაცვლად ბომონისა მოგვანიჭებს ქრისტე მეუფს. და ნაცვლად სისხლისა მიჰრონსა გუაყნოსებს. ჰოი შეცვალებაჲ ესე. საკრველთ მომქმედო ღმერთო შენ კურთხეულ ხარ:.

ყრმათა ბაგინსა. არმაზისასა დაკლვად მომავალთა. სატანა უპირობდა¹⁾ და განსცხრებოდა. ხოლო აწ ნათლის ღებად. ყრმანი მომავალნი. ქრისტესა აკურთხევენ:

¹⁾ დაღადებდა, იხარებდა,

რედ.

შრმათაგალობაჲ. საყდრისა შენისა შვლთაჲ მიითვალე ძეო
ლთსაო. რომელნი სამოსელსა შენსა და სუტტსა წმიდასა
გალობით უპირობენ. და შენ გაკურობებენ აწ და უკუნისამდე:

ღმერთო ღმერთთაო. და უფალო უფლებათაო წმიდაო
სამებაო ერთ ღუთაებაო და გვფარენ ჩუენ. აღმსარებელნი შენნი
სარწმუნოებით ჩუენ რათა გაკურობევდეთ შენი:

შოვლად წმიდაო. ოქროსა წმიდასა სასაკმეველო. სულ-
ნელებითა სასვეო რომელი განაკვრვებ საყნოსელსა კაცთა-
სა. ამისთვის გაკურობევთ შენ და შენგან შობილსა:

ჰქნა: რომელი მხოლოჲ

რომელი მხოლოჲ არს მეუფჲ დიდებისაჲ სახიერმან შე-
ჰმზადა დღესასწაული. ცხოველისაჲ სუტტისა რომელი ჰნა-
თობს ელვარედ კათოლიკე ეკლესიისა გუამსა:

ღღეს მოხარულობენ ეკლესიისა შვლნი. დღესასწაულსა.
საყდრისა მალლისასა. რომელიცა იხარებს ღუთივ ბრწყინვა-
ლედ. სუტტისა წმიდისა შორის ამისთვის ერნი აღამაღლებენ
უკუნისამდე:

ჰ კუართო. საღმრთოო. რომელსა ზედა ელვებრ. მზის
სახედ განათობს. სუტტი ყოვლად წმიდა და უხილავად ან-
გელოზთა დასნია ძნობით გალობენ და ქრისტესა აკურობე-
ვენ უკუნისამდე:

სანატრელო ნინო ქართლისა მაცხოვარო. რომელმან
გამოიკენ ბნელისა საცთურთაგან სულნი ჩუენნი. და უკვ-
დავებისა საზრდელითა გუასეჩებ. რომელ არს წმიდაჲ მიჰ-
რონი სულნელებასაჲ

სამებაო ღმერთო. სამ გუამოვნად ცნობილო. და ერთ
ღუთაებით თაყვანის ცემულო ერთო შეურწყუმელად. და
განუყოფელად. აღსაარებულო. გიგალობთ და გაკურობევთ
აწ და უკუნისამდე:

ზიხაროდენ ღუთისა. დედაო უბიწოო რომლისა ნაწი-
ლად ღირს ვიქმნენით ქართველნი. ნეტარ ვართ ჩუენ. შენგან

ყოველად წმიდაო რომელი მარადის გუფარავ და გკლუწი და ჩუენ გაკურთხევთ უკუნისამდე:.

აბ^ე მტკრთველმან:

ნათელსა მზისასა უფერულ მყოფელო, და სხივთა მისთა ყოველად უჩინო მყოფელო. ეთერსა მზისას. და ცისკარსა დღისასა. ყოველთა მძლეობითა. უზეშთაეს ღირს ქმნილო სუტო ნათელო უნათლესო ნათელთაო:.

ცეცხლსა ღუთაებისასა გარე შემწველო. რომლისა მიერ კსენებით ცეცხლისაგან საუკუნოაჲსა. იგი მხოლოჲ შენ შორის ეგზებოდა მარადის. ხოლო შენ უვნებელად. ჰგიე უკუდავ მყოფელად სულთა ჩუენტა კუართო წმიდაო საღმრთოო:.

სანატრელო დედაო ნინო რომელმან მეხ დატეხილ ჰყვენ ბომონნი და ბაგინნი. და წარპრღუნენ ყოველნი. საპკურებელნი მათნი და გამოგვბრწყინვე ჩუენ. ნათელი ღუთაებისა. ბნელსა უმეცრებისასა მსხდომარეთა:.

მდესმე მგლოვარეო ქალაქო მცხეთისაო. ეშმაკთა სილოდასა*) და განცხრომასა შენ შორის. აჰა აწ იხარებდ. და დღესასწაულობდი ნაცვლად სილოდათა. მგალობლობენ შენ შორის. ეკლესიისა შვლნი სამარადისოდ:.

სიხარულო და სიქადულო ყოველთა მორწმუნეთაო. სამებაო წმიდაო რომელნი შეურევენელად. გულითა წმიდითა გადიდებთ და გიგალობთ. შიშით და ძრწოლით ღმერთო და გკცვენ ჩუენ მარადის. რომელნი ერთ ღუთაებად აღგიარებთ:.

მქროაჲსა პალტო წმიდაო რომელმან ცათა დაუტევნელი ღმერთი საშოაჲსა დაიტიე სძალო. შეუწველად დაცულო. გიხაროდენ დამცველო სულთა და კორცთა ჩუენტა ყოველისა ბოროტისაგან:.

ა^რ: გერი: გამოავლინე:

სამებისა მსახეებელთა სამ ნათელთა საუნჯეთა. საყოფე-

*) მახარობა, სიმღერა, როკვა, თამაშობა

ლსა ღმრთისასა ეკლესიისა გუამსა. კუართსა ღმრთისასა და სუტისა ცხოველსა. ნათელთა და მნათობთა სოფლისათა. უგალობდეთ ვადიდებდეთ და თაყვანის-ვსცემდეთ

ღ: გერი:

ღღეს საღმთოა და წმიდაა კუართი ანათობს და შეამკობს ეკლესიასა ღუთისასა. და სუტისა და წმიდაა და ცხოველი: ჰკრთების ელვის სახედ. და გამოსცემს სულნელებასა. რომელნი სარწმუნოებით ვიყნოსებთ. და მიროჰნსა უკუდავებისა წყაროდ ვიგვმებთ. თაყუანის მცემელნი სამებისა წმიდისანი:

ოკდონბერსა: ა: საკითხავი სუტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოა და კათოლიკე ეკლესიისა: მათა გვაკურთსენ:

საჭირო უკუც ვიდრემე იქმნა. ჩვენდა ჰ ღმრთის მოყუარენო. პირუელ გარდასრულთა ამათ მრავალ რიცხუბდთა წელთა ღუმილით თანა წარხდასა, აწლა საღმე მოკსენებად და განფრთხობად: რამეთუ უდებებით თანა წარმხდელთაა შემკობისა თვს კათოლიკე ეკლესიისა. და ყოვლად წმიდისა საუფლოა კუართისა, და მას ზედა ღმრთე აღმართებულისა სუტისა ცხოველისა ღღესასწაულსა: არა ვიდრემე უკუე ჯეროან ვჰგონე მიცემად დავიწყებისა: რამეთუ უკეთუ არა თუ მთავარნი საყუარელნი. და კელმწიფებისა შინანი: და დიდ დიდთაგანნი ვინმე: გარნა მდაბიურნიცა და უსახურნი. ვინათგან ფრიად ღუაწლ მრავლობენ ღღესასწაულობისათვის შვლთა თვსთასა და ნამეტაობითაცა აჩუნებენ შემსგავსებულსა ძალისასა გულსმოდგინებასა რაჟამს კორციელებრთა უკუე ქორწინებათა და სიხარულთა აღასრულებდენ: რაოდენ უფროა და უმეტეს საჭიროდ სათანადო არს ჩუენდა ბრწყინვალედ შემკობად ღღესასწაულსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და მას შინა ღმრთე აღმართებულისა ცხოველისა სუტისასა: რომელი იგი ღამე პრად ბრწყინვალედ. და ელვად ცეცხლისად ეგზების სამარადისოდ ნათელ მყოფელად ყოველთა ნათელთა უზეშათესა მას ნათელსა კუართსა ზედა მკსნელისა მაცხოვრისა ჩუენისა იწ

ქრისტესსა: . როგორცა ნეტარებით შეეცვა ნათელთა ყოველთა მფლობელი გუამი წმიდაჲ ცეცხლისა მის ღუთაებისაჲ: რამეთუ წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ: და კუართი უფლისა და მკსნელისა ჩუენისაჲ: და სუეტი განმაცხოველებელი: არა უკუტ ვიდრემე ერთ კერძოჲთა და კორციელებრთა სიხარულითა და ნუგეშინისცემითა მომატყუებელ გუეჰმენების ჩუენ: ვითარცა იგი შვლნი მშობელთაგან: და მშობელნი შვლთაგან: და ძმანი ძმათაგან; ურთიერთას მიიღებენ: არამედ მრჩობლთა უკუტ და ზოგადთა სიხარულთა მოგვანიჰებენ: აქათა ვიდრე მე ყოფადთა თვს; და მერმეთა გებადთა თვს უოხჰნოთა: რამეთუ სამნი ესე სამებისა წმიდისა მსახეებელნი; კათოლიკე ეკლესიაჲ. კუართი უფლისა და სუტტი ცხოველი: საუნჯესა უკუდავ მყოფელსა გუანაყოფებენ: მიჰრონსა წმიდასა ლმერთ მყოფელსა და ნათელ მყოფელსა გვწყაროებენ:

და სანოაგედ წმიდად უკუდავებისად გუაგემებენ: კედართაგან¹⁾ სიბნელისაჲთა გამოხსნილთა, ნათელ ცისკროვან გუყოფენ: კორციელებრთა უკუე სენთაგან და საეშმაკოთა ოცნებათა და მანქანებათაგან მცველ და მფარველ გუტჰმენიან და საუკუნესა ცხორებასა სასუფეველის მკვდრობისასა; მოგუატყუებენ ჩუენ: და ვინაჲთაგან: უკუე ესე ესრეთ; რამცა უკუე გინაჲ ვითარმცა, ანუ რაბამი ღირსი ჯერისაებრი ღღესასწაული და შესხმაჲ შევჰმზადეთ და მოვიპოეთ ნაცვლის საგებლად კათოლიკე ეკლესიისა, კუართისა საუფლოსა. და სუეტისაჲ წმიდისა და ცხოველისა, მიზეზთა მათსულთა ჩუენტა ცხოვნებისაჲთაჲსა: რამეთუ ტრფიალებით ვიდრემე მეძიებელნი საწუთოჲსა ყოფადთა თვს: მრავალ სახესაჲ რასმე მეცადინობენ გამოძიებასა: არა უკუე ვიდრე უცთომელობით მჰკრობულნი გზასა ჰეშმარიტებისასა: რამეთუ რაჲმს მიმომსტუმრობით მიმხედველნი განიცდიდენ დაბადებულთა: არლარა უკუე გულისკმისყოფენ დამბადებელსა სიტყვსა მისებრ ვითარმედ: დამბადებელი, დაბადებულთა მი-

¹⁾ ბნელი საჰმუნაფი.

ერ საცნაურ იქნებისო: რამეთუ რაჟამს ვხედვიდეთ შუენიერებასა არსთასა: არა უკუე ეგოდენ განკვრევილ ვიქმნებით რაოდენ ღირს არს განკვრევისა:.

რამეთუ ვინმე. გინა რომელმანმე ენამან გამოთქუას ცისა იგი შუენიერებაჲ რაჟამს ვარსკყლავებითა ფერად ფერადითა შემკობილობდეს ორთა მათ მთოვართა შორის მნათობთასა აელვებულთა შორის ცისა და ქუეყანისა: და მათ მიერ შეერთებითა ცეცხლებრ მგზებარეცა იგი სამყაროჲ განკვრევით ჰკრთებოდის; რომელთა სხივნი ელვებრ განტევიბულობენ კიდით კიდემდე ქუეყანისა: ამათ თანა კუალად ქუენიერნიცა იგი ფერად ფერადნი მცენარენი ყუავილთა და ნერგთანი შინაურთა და ველურთანი: რომელნიმე საგემებელად ხოლო რომელნიმე სასურნებელად დამატკობელად სასათა: და სურნელმოყფელად საყნოსელთა შეუმზადებიან ყოვლისა სიბრძნით განმგებელსა, დიდებაჲ სახიერებასა ღუთაებისა მისისასა: ხოლო სხვა ყოვლისა დამატკობელმან: ერთისაჲ მხოლოდ ვიდრემე მოვსენოა:.

რამეთუ იხილეთღა ერთისა მის მრავალთა თანაჲსა ნერგისაჲ: რომელ არს ვაშლი: თუ რასა საკვრეველბასა საცნაურ ჰყოფს: რამეთუ რაჟამს რეცა დამზადებელისა მისისა წმიდისა სამებისა სახესა დაგვსახვიდეს: ერთად რაჟამს სიტურფესა ზედა შუენიერებისასა განგუაკვრევიდეს: და მეორედ გემოს ხილვითა სასათა დაგვტკობდეს:

ხოლო მესამედ, სურნელებისა ყნოსითა სულთა შუევილ ჰყოფდეს: და უტყვ იგი უენოთა ბავითა ჩუენ მიერ დამზადებელსა კმაჲ მალლად აკურთხევდეს: ვის არა უკვრდეს კაცთმოყუარებითი ეგე სიბრძნე და განგებულებაჲ შენი მეუფსო და ღმერთო ყოველთაო: ხოლო არა ვიდრემე შეუძლებელ ვჰგონე უმეცრებისა ჩუენისაგან თითოეულისაჲ კელოვნებითსა ნასიბრძნსა წარმოჩენით საცნაურ ქმნაჲ: უკეთუმცა არა იძულებულ ქმნილ ვიყავ ფრიადისა აღწერილისა მამლოზობით შეშინებისა ძლით: არამედ უკუე შემძლებელსა და

სიბრძნით. განმხილველსა მას ყოველთასა მიუტევოთ ძალი წულოლად მეტყუელებისაჲ რომელისა დარწმუნებულ არს საცნაურ ქმნაჲ ბუნებისა დაბადებულთასა: ესე იგი არს: დიდი და ყოვლად ქებული ბრძენთა შორის საკვრველი ბასილი: რამეთუ ნამდვილვე მისთვის თქმულ არს ვითარმედ, ბუნება ექმნა დაბადებულთა ნებაჲ დამბადებელისაო: რომელმან თითოეულად მოწურილებით წარმოაჩინნა და გამოუცხადნა ზეცისა და ქუყანისა შორის მყოფნი: არამედ ქუესკნელისა და ზესკნელისა და უფსკრულთაჲა შინანი; რამეთუ რაჟამს ვინ წინა დაიდგას და კვლად მიიღოს წიგნი იგი ექუსთა დღეთაჲ მის მიერ ნასიბრზნი: ყოვლად განკვრეებულ იქმნების კაცობრივი ბუნებაჲ განღმთობილებაჲსა მის ზედა კაცისა მის ყოვლად საკვრველისასაჲ: არა რაჲ უკუე საკვრველ ზ საყუარელნო უკეთუ მცირედ წარტაცებითა სადევნათათა იძულებულ გუყვნა ჩუენ მიზეზმან ცხად ყოფისამან თუ რომლისა უკუე მიზეზისათჲს საჭირო იქმნა ჩუენდა წარმოთქმა პირველ კსენებულთა მათ სიტყუათაჲ რამეთუ უკეთუ არსთა ამათ თჲს. და დაუდგრომელად წარმომდინარეთა ნიეთთა რომელნი ცხორებისა ჩუენისა წარმავალობასა გამოგვსახვენ და საცნაურ გვყოფენ: ესრეთ იკვრებთან: და უფროჲსლა დამბადებელი მათი ესრეთ იდიდების და იკურთხევის მათ მიერ ჩუენგან: მათა უკუე რაჲმცალა ვინ შეუძლო გამოთქმად სულიერებრთა მათ საღმრთოჲდ განკუთვნილთა თჲს რომელნიცა საუკუნოდ გებადობენ. რომელთათჲს ღმერთი მოხარულობს: ესე იგი არიან: ეკლესიანი წმიდანი რომელთა საყდარი ღუთისა ეწოდების მათ შინა მარადის მკვდრ ყოფისა თჲს ღმრთისა რომელთ შინა პირუელი და დასაბამი თავი ცხორებისაჲ ჩუენისაჲ დაიწყების: აღბეჭდვაჲ ნათლითა ქრისტეს მიერითა რომლითაჲა გამოისახვის ჭეშმარიტებაჲ ქრისტეანობისაჲ: და ემბაზს შინა ნათლისასა წარღუნითა ცოდვათა ჩუენთაჲთა, დაინთქმის და შეიმუსრვის ძალი სამაელისი: და შდმდგომად ამისსა: მათ შინავე მოიგების წარმართებაჲ და კეთილად სლვაჲ ცხორე-

ბისა ამის განხრწნადისა და წარმავალისაჲ და უძლოურებათა-
განაცა კორციელთა კსნა ურთიერთარსითა დაცვითა და
ვედრებითა ღმრთისა მიმართითა: სიტყჳსა მისებრ იაკობ მო-
ციქულისა ვითარმედ: ულოცვედითო ურთიერთარს. რათა
განიკურნნეს: და კუალად შემდგომად სიკუდილისაჲცა მასვე
შინა მიიღებენ სულნი მიცვალებულთანი ღმრთისა და შენ-
ღობასა ცოდვათასა: და კსნასა სატანჯველთაგან, ქრისტეს
ღმრთისა ჩუენისა კორცისა და სისხლისა შეწირვითა: და ლოც-
ვთა და ვედრებითა მიმდემითა*) და მათ შინავე იდიდების
სახიერებაჲ ღმრთისაჲ მორწმუნეთა ერთა მიერ ფსალმუნითა
და გალობითა სამარადისოჲთა უხილავად შეერთებითა ზეცისა
ძალთაჲთა:

ხოლო უფროჲსდა საჭიროჲ უკუე ვჭგონე მათთვის რომ-
მელნიცა ეკლესიაჲთა მიზეზ გუექმნეს: და უფროჲსდა სულთა
ჩუენთა ცხოვნებისა მომატყუებელ: წარმოთქმა და მოკსენებაჲ
მათი: რამეთუ ესე ყოველთა უწყით უეჭველად რომელნიცა
ვჭგიეთ ჭეშმარიტებასა ზედა ქრისტესსა: ვითარმედ წმიდანნი
მოციქულნი აჩინა ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მნათობად
და სიმტკიცედ ეკლესიათა და რამეთუ ამით საცნაურ არს
რაჲჲს იგი თვთ თავადმან უფალმან უბრძანა თავსა მას მო-
ციქულთასა პეტრეს ვითარმედ: შენ ხარ კლდე და ამას კლდე-
სა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი. რომელსა ბქენი ჯოჯობე-
თისანი ვერ ერეოდინო: ამას უკუე ვინმცა გონებისა უფალი
უმეცარ იყო: რომელ ყოველნივე ეკლესიანი: წმინდათა მო-
ციქულთა ქადაგებითა და სიტყჳთა აღემართნეს და დაემტკიც-
ნეს ყოველსა სოფელსა შინა: ხოლო ამიერითაგან უკუე სა-
ჭირო არს ჩუენდა მოკსენებად ათორმეტთაგანისაჲ უკუე სა-
მის მეთაჲცამეტისა ჭეშმარიტისა მოციქულისაჲ: დედისა მის
ჩუენ ქართველთაჲსა ნინოჲსსა: რათა მცირედ რაჲმე შემოკ-
ლებულად და სულ მცირედ ზოგსრე წარმოვაჩინოთ თუ ვითარ

*) ყოველ დღე, ყოველ დღიჯრი

მიზეზ იქმნა ქართლებრთა ამათ აღმოსავლეთისა ეკლესიაჲთა სიმტკიცე და საცნაურ მყოფელ ნეტარებით მოკსენებულო იგი დედაკაცი და სულთა ჩუენთა გამოძკსნელ: სამაელისა მონებისა და ტყუპობისგან: ხოლო პირველად ესე საძიებელ არს თუ რაჲსა თჳს უკუე დედაჲკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მომართ: რომელი ესე გონიერად ისმინეთ უკეთუ ღმერთმან ინებოს გულის კხმის ყოფად ჩუენდა უგონიერთა განმაბრძნობელმან: რამეთუ თქმულ არს ესე ვითარცა უწყით ჭეშმარიტი და უცილობელი: ვითარმედ შემდგომად ვნებისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჲ ქრისტესსა: და აღდგომისა და ზეცად ამალღებისაჲ მისისა: ბრძანებითა უფლისაჲთა: კიდეთა ქუეყანისათა წარივლინნეს მოციქულნი ისრად რჩეულად და ელფად ნათლისად თითოეულსა აღგილსა ვითარცა სული მისცემდა: მას ჟამსა უკუე ყოვლად სანატრელი იგი და უფროსად კურთხეული დედაჲ ღუთისაჲცა სურვიელ იყო და მეცადინებდა წრსლვად ქადაგებად ძისა ღუთაებისა: და გულის თქმით წადიერ იყო აღმოსავალითუ კერძოთა მათ წარმოსლვად შესაბამობისა თჳს სახელისა მისისა ვითარცა თვთ ეწოდების აღმოსავალ მზისა სიმართლისა. ხოლო განმზადებული ამით გულის სიტყვთა ილოცვიდა რაჲ ზედ წარმოდგომითა ძემან და ღმერთმან მისმან და აყენა ამის საწადელისაგან.

მას ჟამსა შინა, ხოლო ვინაჲდგან იგი დედაკაცი იყო ყოვლად სანატრელი და კურთხეული უზეშთაესი იგი დედათა და მამათაჲ და ზეცისა ძალთაჲცა, ამისთჳსცა უკუპ უკანასკნელთა ჟამთა რაჟამს ღმერთმან ინება წყალობა ლ ცხოვრებაჲ ნათესავისა ჩუენისაჲ დედაკაცივე წარმოავლინა ვითარ ვჰგონებ მე გამოთხოითა და ხუაიშნითა დედისა ღუთისათა ძისა თჳსისათანა, ვინაჲდგან ნაწილიცა იყო დედისაჲ ღუთისა ამისთჳს უფროჲსლა საგონებელ და საეჭუელ არს ერთი ჭეშმარიტი და უეჭუპლი მიზეზი. ხოლო მეორე ლ ჭეშმარიტესიცა ესე არს ვინაჲთგან ყოველთა ნათესავთაჲსასა

უმძვნუარესნი და უველურესნი იყუნეს ესე ნათესავნი, ამის-
თვისცა დედაკაცი წარმოავლინა რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს
თვისცა დედაკაცი წარმოავლინა რათა უმეტეს საცნაურ იქმ-
ნეს ძალი ლუთაებისა მისისაჲ და არა ვისი ენაჲ კადნიერ იქმ-
ნეს ამაოესა მთხზველობისათჳს ცუდისა მეტყუპლგებად, ვითარ-
მედ სიმენეჲს და სიბრძნით ფილოსოფოსობამან, გინა ენა
რიტორობამან მის ვისმე მამაკაცისამან დააცხრო ბოროტ ბო-
რგნეულგებაჲ მათიო, ამისთვისცა უკუპ ლბილითა მით და
ნარნარათ მდინარითა წყლისა ნექტარითა დაშრიტა სიმძაფრე
საკმილისა მკურნალმან მან კელოანმან წინააღმდეგომითა
წინააღმდეგომთაჲთა: რათა სიტყუაჲ იგი უფლისა მოციქულისა
მიმართ თქმული აქაჲცა ჭეშმარიტებდეს ვითარმედ, ძალი ჩე-
მი უძღურებასა შინა სრულ იქმნებისო და ესე უკუე ამით
უჭეშმარიტეს არს ვითარცა მეცნიერ ვართ, რომელ ძალსა
ლუთაებისა მისისასა უძღურთა ზედა საცნაურ ჰყოფდა მარა-
დის: ამისთვისცა უსწავლელნი მეთევზურნი და მდაბიორნი
გამოირჩინნა და მათ მიერ მსგავსად ელვისა ცეცხლ შემწუპ-
ლობათთა ისართა ესროდა პირებსა ბრძენთა და ფილოსო-
ფოსთაჲსა: და მწყველელ ექმნებოდა გულგებსა რიტორთაჲსა, რა-
მეთუ არა ვიდრემე სხვლ ბარკალთა მამაკაცთასა სათნო ჩენს
ღმერთი სახიერი, არამედ მოშიშთა სახელისა მისისათა, ვითარ-
ცა იტყვის მივხედნეო გარნა მშჳდსა და მდაბალსა და რომელი
ძრწოდის სიტყუათაჲგან ჩემთა. ღა კუალად მსხუპრპლ ლუ-
თისა არს გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან
არა შეურაცხ-ჰყოს*. ღა კუალად ძუპლ ოდესმე გედეონის
ზე იგი ისრაელთაჲცა ღირს არს კსენებისა, რაჲჲმს ბრძანები-
თა ზეგარდამოჲთა მრავალ რიცხჳსა წილ მბრძოლისა: სამასისაჲ,
ხლოო ამცნო წარყუანებაჲ და მას მხოლოდ მცირედსა უძ-
ღურსა ერსა ზედა გამოაჩინა და საცნაურ-ყო ძალი ლუთა-
ებისაჲ მისისა: ამისთვისცა უძღურისაჲ ბუნებისა დედაკაცისა მი-
ერმოალბო ქედ-ფიცხელობაჲ უღმობელთაჲ მათ და უგლიმთა*)

*) უგლიმა — გულ-ქვავი

ნათესავთა და არა ვიდრემე, ხოლო აქამომდის ოდენ დადგების სიტყუა ჩუნი მეძიებლობით გამომაცხადებელი ქეშმარიტებისაჲ, რამეთუ ვინაჲთგან უკუღ დედაკაცისათჳს არს კსენებაჲ.

მკჳქეშმარიტეს უკუღ ვჰგონე სხუადეა საძიებელი ღირსებისათჳს დედათა პატივისა: რამეთუ განმაცხოველებელსა მას აღდგომასა ლუთისა და მაცხოვრისა ჩუნისა იესო ძრისტესა დედანივე ღირს იქმნნეს ზეშთა ნეტარებისა დიდსა პატივისა ხარებისასა: ამისათჳს უკუღ დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამაკნინებელი: ქადაგებისა და მოქცევისა ჩუნისათჳს, ბუნებისა მიერ დედობრივისა, არამედ უფროჲსად და უმეტესად ვმოხარულობდეთცა და ვმოქადულობდეთ მაყუღდრებელთა მათ ჩუნთა მიმართ უგუნურების მომზრახთა: ხოლო ვინაჲთგან იძულებით თანა წარმავლინა ჩუღნ ქამის შესაბამობით მცირედ მოხსენებითა გამოჩინებად სიტყუასა ნეტარისა დედაკაცისასა: ამიერითგან უკუღ ქამი არს საქმითცა გამოხატუად გასახულსა მას და ზოგსარე ქეშმარიტებით ჩუენით საცნაურქმნაჲ, მსგავსებისაებრ უძლოურებისა ჩუღნისა ზოი საყუარელნო!

რამეთუ უკეთუ ვინ გამოწულილვით მეძიებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოჲსსა, წიგნი იგი კელად მიიღენ აღწერილი მოწურილებით მოთხრობისათჳს ქართულთა ცხოვრებისათჳს, და მისგან გეუწყოს ყოველივე აღმავსებელად ჩუღნისა ნაკლულევანებისა. ხოლო ჩუღნ შესაბამად წმიდისა ამის დღესასწაულისა: მხოლოდ აღმავსებელად კმა საყოფელი რეცა სულმცირედ შემოკლებული თხრობითი მოხსენებაჲ ნინოჲსიცა აღვსწეროთ:

და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ ყოველივე ჯეროანი გამოსაჩენელი და საცნაურ მყოფელი სუტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებაჲ უგუნურობისა ჩუღნისაგან შესაძლებელი. რამეთუ ვითარცა მოიწია პირულულად განგებულებითა ლუთისათა კელართა ჯავახეთისათა

წმიდა ნინო: პირსა დიდისა მის ტბისათა, რომელ არს შარავანისაჲ, წარმოემართა უკუტ მუნითცა გამოცხადებითა ლუთისათა: და შეუდგა მუნით გამოვალსა მდინარისა დიდისა თავსა, რომელ არს ტიგროს (მტკუარი). და ეგრეთ მოიწია დედასა მას ქალაქთასა, რომელ არს მცხეთაჲ. და აჰა ესე რახულისა დღე: კმა იყო ოხრისაჲ და საყვრისაჲ ფრიად: რომელსა გამოყუა ერი ურიცხვ მსგავსებისაებრ ცისა ვარსკულავთასა, ხოლო ვითარცა გამოვიდა მეფე შირიან საოცრებითა მიუთხრობელითა: ჰკითხა უკუტ წმიდამან ნინო დედაკცსა ვისმე ჰურიიასა ვითარმედ უკუტ „რაჲ არს სახილავი ესე განსაკრთომელი: ხოლო მან ჰრქუა მას, ვითარმედ ღმერთი ღმერთთაჲ არმაზ, ერსა ამას, რომელ ჰხედავ წინაშე მისსა მოუწესს: მყის უკუტ შეუდგა წმიდა ნინო და წარვიდა ხილვად: ხოლო წმიდამან ნინო შეისწრაფა პირუტლად საკერპოსა მას შინა: და მდგომარე იყო მახლობელად კერპისა მის: და ხედვიდა საკრველსა მას ეშმაკთაგან წარტყუნილობასა კაცთასა: და ამისთვის მწარედ სულთქმით ტიროდა: და ვითარცა მიხეჰდნა იხილა რაჲ დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ და ტანსა ეცუა ჯაჭვ ოქროსაჲ და ჩაბალახი მყარი თავსა მისსა: თუალნი ეყარნეს ერთი ზურპუხტისაჲ და მეორე ბივრითი და კელთა ეყარა კრმალი ბრწყინულე ვითარცა ელვაჲ და იქცევდა კელთა შინა თვსთა: და ძრწოლით თაყუანის-ჰსცემდეს ყოველნივე იგი ერნი: და შიშისაგან შეხებად ვერ იკადრებდნენ: და კუალად სხუაჲ კაცი დგა მარჯვენით მისსა სრულიად ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი: და მარცხენით მისსა უდგა სხვაჲ ვეცხლისაჲ და სახელი მისი გაამ: რომელნი უკუტ იგიცა ღმერთად უჩნდეს ერსა მას დაბნელებულსა ძართლისასა: მაშინ უკუტ უმეტესადღა ელმოდა შეიწუბოდეს შინაგანნი ნეტარისა ნინოჲსნი და ტიროდა ფრიად ტყუტ ქმნილობისათვის ერისა მის უგულისხმოსა: მაშინ უკუტ აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად და თქუა.

„შვალო ღმერთო მრავლითა ძალითა შენითა გეცრუე-

ნეს შენ მტერნი შენნი: იხილე შთალო და ნუ დასდუმნები: და ქმნულსა ხელთა შენტასა ნუ უგულვებელს ჰყოფ: მოიხილე, შთალო მალლით შენით წმიდით: იკსენ მკლავითა შენითა ერი შენი: შეისმინე შთალო ლოცვსა ჩემისაჲ და ვედრებისა ჩემისაჲ ყურად იღე: და შთაკადე კერპნი ესე რისხვთა შენითა ქუსსკენელთა ქუსსე ქუსყანისათა: რამეთუ არა არს მათ შორის ქეშმარიტებაჲ, რამეთუ განხრწნეს ერი შენი ავაზაკთა ბოროტთა უხილავთა გამოსტაცენ ესენი კელთაგან მგელთა განმრყუნელთაჲსა, რამეთუ შენი არს სუფევად და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე ამენ:.

და ვითარცა აღასრულაჲ ლოცუაჲ ესე წმიდამან ნინო მყის დასავალით უკუტ ჰაერნი და ქარნი სასტიკნი შეიძრნეს: და ელვანი და ქუხილნი საცნაურ-ჰყოფდეს რისხუასა ლუთისასა: და მოილო ქარმან დასავლისამან სული ბოროტი ჯერკუალისა რასაჲმე მყრალისაჲ; მაშინ უკუტ შიშისა და ზარისა მისგან საშინელებისა, ლტოლვილ იქმნა ყოველი კაცი ქალაქად და მეყუსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი მწარე და სასტიკი.

და მოილო სეტყუაჲ განსაკრუსბელად დიდ დიდები ლიტრისა სწორი: და კერპნი იგი დააწულიონა: და დამუსრნა და უჩინო ყვნა: და ვითარცა დაარღვინა და შთაბნინა კლდეთა მათ ზღუდენი იგი ქარმან მან სასტიკმან; წმიდაჲ ნინო დაშთა მშვდლობით აღდილსა მასვე სადა პირველ შევიდა. ხოლო დღესა მეორესა, გამოვიდა შირიან მეფე ყოვლისა ერისა თანა და ეძიებდეს ღმერთთა მათ მათთა ვინაჲთგან უკუტ ვერ პოვნეს: შიში და ძრწოლა დიდი დაეცა მათ ყოველთა ზედა: და განკვრდეს და ვერა რაჲ იცოდეს რაჲმცა თქუს გინაჲ ქმნეს, ხოლო მასვე დღესა რომელსა დასცხრა სეტყუაჲ იგი და ქარი სასტიკი, გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნახრალისა ზე პოვა თუალი იგი ბივრითი აღილო და წარმოვიდა წინ კერძო დასასრულსა კლდისა მის ცხვრისასა, სადა ყოფილ იყო ძულლ ციხე და მუნ დგა ხე ერთი ბრინჯისაჲ შუტნიერი და ფრიად

შალალი და რტოჲ მრავალი სადა ყოფილ იყო ბარტამ მეფისა საგრილი და განსასუსნებელი: მოვიდა უკუტ ქუტშე ხესა მას და გამოსახა სახე ჯუარისა და ილოცვდა მუნ ექუს დღე და მადლობდა ლმერთსა ევედრებოდა რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა, იქნეს ეშმაკისა საცთურთაგან: ამისა შემდგომად წარმოვიდა მუნით და მოვიდა ქალაქად კარსა სამოთხისასა რომელი იყო მეფისაჲ.

ღა შევიდა სახლსა სამოთხის მკუტლისასა: ხოლო იხილა რაჲ დედაკაცმან ვინმე სახელით ანასტო: მეყუსეულად აღდგა და მოეხზა და შეიტკბო სიყუარულით ვითარცა მეცნიერი: და დაჰბანნა ფერკნი და სცხო ზეთი და მიაართუასაზრდელი: და იყო მისთანა ცხრა თუტ: ესე უკუე ანასტო და ქმარი მისი იყუნეს უშვლო და ზრუნვდეს ფრიად: იხილა უკუტ წმიდამან წინო ჩუტნებასა: შინა: რამეთუ მოვიდა კაცი ნათლის ფერი და ჰრქუა: შევედ უკუე სამოთხესა მაგას ნაძუთა ქუტშე, რომელ არს ბაბილოჲ, მცირე მიწა უკუტ აღიდგე მის აღგილისაგან შეაჰმე კაცთა მაგათ და უეჰველად მიეცეს შვლი, ხოლო წმიდამან წინო ბრძანებისაებრ ჩუტნებისა მის ესრეთ ყო: და ჰრქუა მათ: სახელითა და ძალითა ჰრისტეს ლუთისა დაუსაბამოჲსათა, რომელი თანა მოსაყრდრე არს მამისა და სულისა წმიდისაჲ და ესნისათჳს ჩუტნისა განკაცდა: ჯუარს ეცუა და დაეფლ- და აღდა მესამესა დღესა: ამლღდა დიდებით და დაჯდა მარჯუტნით მამისა: და კუალად მოსვლად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა: მან უკუტ თავადმან მოგანიჭოს გულის-კმის-ყოფაჲ კეთილი: და ვითარცა ესე თქუა აუწყა გზა ჰეშმარიტებისა და მეცნიერებისა.:

მაშინ უკუე კეთილთა მათ მეუღლეთა აღიარეს ჰრისტე ლუთად ჰეშმარიტად ზ დაემოწაფნეს ფარულად: ხოლო წმიდამან ზ ნეტარმან წინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით პოვნა მცირედნი რაჲმე მაყუალნი და მათ შინა შეიმზადა საყოფელი ვრცელთა პალატთა წილ, ნამდვლვე მოწაფემან მან ჰეშმარიტმან მისმან, რომელმან იგი თქუა: მელთა კურელები უჩნს: ზ მფრი-

ნველთა ცისათა საყოფელი: ხოლო ძესა კაცისასაჲ არა აქოს
 სადა თავი მიიდრიკოს: **ღა** რაჲ უკუე საკვრველ არს უკე-
 თუ არცა ამას ნეტარსა უცხოსა ამას დედაკაცსა აქუნდა: ხო-
 ლო მას მცირესა უნდოსა საყოფელსა შინა: შეიმზადა ჯუარი
 ნასხლევისაჲ და აღმართა იგი წინაშე მისსა და მარადის ილო-
 ცავნ ნეტარი იგი დღე და ღამე დაუცხორომელად: და განკვრ-
 ვებულ იყუნეს მეუღლენი იგი სამარადისოსა მას ლოცუასა და
 მარხუასა მისსა ზედა: და ღუაწლთა და შრომათ დაუცადე-
 ბელთა: რამეთუ მხოლოდ იგინი ოდენ იყუნეს მისსა მიმავალ
 და მსახურ ფარულად: მრავალ გზის უკუ მოვიდის ჰურიათა შო-
 რის წმიდაჲ **ნინო** ძიებისაჲთჳს საუფლოჲსა მის კუართისა: რამე-
 თუ **იპრუსალიმი**თვე მეცნიერ იყო მცხეთას წარმოღებისათჳს:.

ღა გულს მოდგინედ გამოიკულებდა და იწულილვიდა
 რათამცა რაჲ საცნაურ ექმნას სადაობაჲ კუართისაჲ, ხოლო
 ჰოვა ჰურია ერთი სახელით აბიათარ: და უქადაგა მას და ასულ-
 სა მისსა სიდონიას: და ჰრწმენა მათ ორთავე შუალი **იესო**
ქრისტე ძედ **ლუთისად** ცხოველისა და **ღმერთად** ქეშმარიტად:
 და დაემოწაფნეს იგინიცა თჳნიერ ნათლისღებისა: რამეთუ
 მაშინ უკუე ჯერეთ მღუდლისაგან უღონო იყვნეს:

ხოლო შემდგომად ამისა სხუანიცა ექუსნი დედანი და-
 ემოწაფნეს ჰურიანი და იყუნეს ყოველნივე ფარულად მოწაფე
 შისა: **ხოლო** წმიდაჲ **ნინო** ჰყოფდა კურნებათა და ძალთა დიდ
 დიდთა სახელითა **იესო ქრისტესითა**: გარნა ჯერეთცა არა
 ვიდრემე ცხად-ჰყოფდა ვინაჲთგან. შერ შემძლებელ იყუნეს
 საზრდელისა მტკიცისა მიღებასა, ვერცა თუ სძისა შემწყნა-
 რებელნი: არამედ რეცა მიზეზითა წამალთაჲთა ჰკურნებდა და
 ესრეთ იქცეოდა ქალაქსა მას შინა სამ წელ.

მოთხრობაჲ აბიათარ მღდელისაგან კუართისა თჳს სა-
უფლისა თუ ვითარ მოგუენიჭა:

იტყოდა უკუე აბიათარ მღდელი ვითარმედ, რომელი
 წერილთაგან უწყი: და მამის დედისა ჩემისაგან სმენილ არს

სასმენელთა ჩემთა, რომელი მათ ასმიოდა მამისაგან თვისსა: მეცა უკუე გამოვაცხადო და ვსთქუა ჰეშმარიტი და უეჭუ-
ლი: რამეთუ რაჟამს იგი მეფობდა **ი**სრუსელიმს ჰეროდე: გუ-
სმა უკუე ვითარმედ **ი**სრუსალიმი სპარსთა დაიპყრესო: ამის-
თვს უკუე იქმნა გლოა და წუხილი ფრიად ჰურიათა შორის:
ქართველთა: მცხეთელთა: მკვდრთა: ბუდელთა მღდელთა
ძოდისწყაროელთა; მწიგნობართა: და სუბის ძანანელთა თარ-
გმანთა: ესე უკუე ყოველნი აღიძრნეს სიელტოლად: ხოლო
შემდგომად მკირედთა დღეთა: მოიწია უკუ სხუაჲ ლაღადისი
ნუგეშინის-ცემისაჲ ვითარმედ სპარსნი არა ვიდრემე დაპ-
ყრობად მოვიდეს **ი**სრუსალიმსა, არამედ მოგუნი მეფენი მო-
ვიდეს ძღუნითა სამეფოთაჲ, რამეთუ ოქროჲ, მური და გუნდრუ-
კი აქუნდა და ყრმისა ვისმე ეძიებდეს შობილსა ძისა **ღ**ავითისსა:
ხოლო ვითარცა პოვეს დედაკაცი მკირესა რასმე ქუაბსა შინა მხო-
ლოჲ მხოლოჲსა ყრმისა თვისსა შობილისათანა. მოვიდეს უკუე
და თაყუანიჰსცეს შიშით და ძრწოლით და შესწირეს ძღუ-
ნი იგი სამეუფოჲ მწირად შობილისა მის მეფისა ყრმისა და
ვითარცა უკუეს ესე საცნაურ გუტქმნა იქმნა: სიხარული დი-
დი ჰურიათა შორის ამისთვს რომელ არა მიეცა **ი**სრუსალიმი
სპარსთა: ხოლო შემდგომად ამისა ვითარ გარდაკდა ოც და
შეათე წელიწადი:.

მოწერა ჩუენდა მომართ მამის მამისა ჩემისა **მ**ლიოზისსა **ა**ნა
მღდელმან **ი**სრუსალიმით: ვითარმედ რომლისათვს იგი სპარ-
სნი მეფენი ძღუნითა მოვიდეს, იგი უკუეს ჰასაქსა სისრული-
სასა მოწევნულ არს და თავსა თვისსა ძედ **ღ**უთისა იტყვს: და
სხუასა რასმე ახალსა ჰსჯულსა გვქადაქებს: მოვედით უკუეს
ყოველნივე მოსეს ჰსჯულისა თანამდებნი: რათა შჯული მა-
მათა ჩუენთაჲ შეუცვალებელ ვყოთ და დავამტკიცოთ: და მცნე-
ბაჲ მოსესი აღვასრულოთ რათა ახლითა მით სჯულითა რო-
მელ რასმე გვქადაგებს: არა შეაცთუნნეს უმარტივესნი ვინ-
მე სჯულისა ჩუენისანი: ხოლო სიკუდილითაცა მისითა შუ-
რი ვიძიოთ: მაშინ უკუეს წარვიდა აქაჲთ მამის მამაჲ ჩემი

ელიოზ კაცი მოხუცებული: ხოლო ესუა მას დედაჲ ტომი-
საგან ელი მღდელისა: და კუალდ ერთი დაჲ: ხოლო წარმა-
ვალსა მას ევედრებოდა დედა ძესა თვისსა ვითარმედ წარვედ
უკუე შვილო საყუარელო წოდებასა მას მეუფისასა და
წესსა სჯულისასა: გარნა ესე ხოლო რომელსა გამცნებ შენ
დაიმარხე: ნუ უკუე შეერთეინ ცნობაჲ შენი განზრახვასა მას
მათსა ბოროტსა: და ნუცა ვიდრემე ეზიარები დათხევასა
სისხლისა მის მართლისასა: ნუ შვილო ჩემო გვედრები ნუ:

რამეთუ უეჭველად უწყოდე ვითარმედ იგი არს სიტყ-
ყუაჲ წინასწარმეტყუბლთა რომელსა პირველითაგანვე მოას-
წავებდეს: და წარვიდა ელიოზ მცხეთელი, და ლონგინოზ
კარნისელი: და მუნ დახუდეს ჯვარცმას უფლისასა: ხოლო
რაჟამს იგი ისრუსალიმს დამსჭუალვიდეს უფალსა: ცემასა მას
კუპრისასა სამსჭუალთა ზედა, მყის მეგრ მასვე ჟამსა მცხეთას კმაჲ
ესმა დედასა ელიოზისსა: ხოლო მან საშინელითა კრჩხიალები-
თა *) დაიზახნა და თქუა: მშვიდობით მეუფებო ისრაელთაო
რამეთუ უგუნურებით მოჰკალთ უბადრუკნო და წარწყმე-
დულნო უფალი და მაცხოვარი ყოველთა: და იქმნენით ბო-
როტად მკლველ შემოქმედისა თქუენისა: ვაჲ თქუენდა უბად-
რუკნო: ვინამცა უკუტ იპოა ეგე ვითარი გლოაჲ: რომ-
ელსა თქუენ ღირს ხართ:.

ხოლო უფროდესა ვაჲ ჩემდა რამეთუ პირველ სიკუდილისა
ჩემისა მსმენელ იქმნეს ყურნი ჩემნი ყოვლისა მწუხარებისა
სასმენელსა: და მყის ამას სიტყუასა ზედა: მეყსეულდ უკუტ
შეისუბნა დედაკაცმან მწუხარებასა და გლოასა შინა ფრიად-
სა და მიუთხრობელსა: ხოლო კუართსა მას ზედა უფლისასა
წილ იგდეს უღუთოთა ჰურიათა ჯუარცმასა უფლისასა: და
განგებულებამან ღისამან მიახუბდრა მცხეთელთა ჰურიათა:
არა თუ კეთილთ მოქმედებისა რაჲსა თჳს მე ღირს იყვნეს
უღირსნი იგი: გარნა იგივე ღმერთი განგებულებით წინას-

*) კრჩხიალება—დაცთა კვიელი.

წარვე განაგებდა რომელი ცხორებისა თვის ჩუპნისა ქუცყნად გარდამოკდა: რამეთუ წინასწარვე განეგო სახიერსა მას ამისა სამეფოასა: ერად საზეპუროდ შემზადება: და ვინაათგან ნაწილიცა იყო ყოველად წმადისა ღმრთის-მშობლისაჲ ამის-თვის უფროასლა ღირს იქმნაჲ ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი: *

ამისთვისცა უკუტ წინაჲსწარვე წარმოავლინა მადლი ღუთაე-ბისაჲ მისისაჲ: რათა პირველადვე დაიწინდოს¹ კუართითა მით და მადლითა ღუთაებისა მისისაჲთა: ხოლო ამისიცა უკუტ ვიდ-რემე სათანადო არს თქმაჲ: რათა თვთ მებრ ეშმაკნიცა მთავ-რისა მის და მამისა მათისა თანა ძარ შექრილ და მობრყ-ვლებულ იქმნენ: პირველვე უკუტ ამისთვის წარმოივლინა წმიდაჲ იგი კუართი ნათელი ნათელთა ყოველთა მულობე-ლისა ცეცხლისა მის ღუთაებისა გუამსა შემწველი და დამ-ფარველი: რათა უკუტ დედასა მას ქალაქთასა საშუალ მდე-ბარეობითა: ვითარცა ცეცხლი მუცელსა შინა შთაგდებული მძაჳრად უწყალოდ სწუვიდეს სამაელსა:

და წინასწარ მგრძნობელობით აუწყებდეს სრულიადსა სიკუდილისა მისისა მოწვევასა: ნამდვლვე სამეუფო არს განზრახვაჲ ესე შენი მეუფსო და ღმერთო ყოველთაო: დიდებაჲ სახიერებაჲსა შენსა: რამეთუ რაჲჲმს უკუტ მეფენიცა ქუცყ-ნიერნი მირავიდლოდიან რომლისაცა სამეფოასა და ქუეყანისა დაპყრობად: წინასწარვე წარავლენენ ძალსა ძლიერებისა მათისასა რათა წინა აღმდგომნი იგი დაპყრობადნი ზარტეხილ და შეგინებულ იყვნენ: რათა რაჲჲმს თვთ თავადნი მივიდენ, თვნიერ ბრძოლისა და საქურველთა კმარებისა: ანუ თუ ივლ-ტოდინ, გინა თუ შევრდომით და ემორჩილნენ და დაემონ-ნენ: ხოლო ეშმაკნი ერთგვის განვრდომილნი და რისხვეულ ქმნილნი პირისავან ღუთისა ოდესმცალა შეწყალებულ იქ-მნენს გინა ვითარმცა შეინანეს შეუწანებელთა სრულიად

*) კედარი — ბნელი საქმუნავი.

წარწყმედულთა მათ: . გარნა კუართისა მის საღმრთოჲსა პირველვე მოსლვამან: ზარტეხილ და შეძრწუნებულ ყენა უბადრუკნი იგი და წყეულნი: . ხოლო რაჟამს სიტყუაჲ ლუთისაჲ თვთ თავადი რომელ არის სახარებისა ქადაგებაჲ მოილო მოციქულმან მისმან: სრულიად ლტოლვილ იქმნეს და განიბნინეს და განქარდეს: ხოლო კუართი იგი წმიდაჲ ვითარცა მოილო ელიოზ მცხეთას მყის წინა უკუე მიეგებაჲ დაჲ იგი მისი გოდებით და ტირილითა საშინელითა ცრემლით შესუარული: და მოეხვა ყელსა სასურველისა მის ძმისასაჲ:

ხოლო ვითარცა იხილა უსასიყუარულესი იგი ყოველთა სასიყუარულეთა კუართი მკსნელისა ჩუენისაჲ მყის წადიერებით უკუე და სურვილით შეიტკბო მკერდსა თვსსა: მეყსეულად სულნი წარჰკდეს ნეტარსა მას დედაკაცსა სამ სახეთა ამათ მიზეზთათვს: პირველად უკულ უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისა თვს: მეორედ რამეთუ ეზიარა ძმაჲ იგი მისი სისხლსა უფლისსა: ხოლო მესამედ ვინაჲთგან მოეყსენა დედისა თვსისა იგი მწუხარებით სიკუდილი: ვინაჲთგან უკულ ყოველივე მწუხარებაჲ ერთბამად შემოუკრიბა: ამისთვისცა ძლეულ იქმნა ბუნებისაგან კაცობრივისა და სიკუდილი დაესაჯა ღმობილსა მწუხარებათაგან ფრიადთა: . მაშინ უკულ საკვრველი იგი საქმე დიდი: განისმა ესე ყოველსა მას ქალაქსა შინა: და ვითარცა საცნაურ ექმნა მეფესაცა და ყოველთა მთავართა და ყოველსა ერსა: ყოველთა ერთბამად და უკვრდა საქმე იგი საშინელი: .

ხოლო ვითარცა იხილა ადერიკ მეფემან (კუართი იგი სთნდა უკულ ფრიად შეენიერებისა თვს მისისა: ხოლო საკვრველებისა მის თვს რომელი იგი იქმნა: არღარა უკულ ინება გამოძიებად მკერდისაგან მკუდრისა მის: . ხოლო ელიოზ დაჰმარხა დაჲ იგი მისი, სანატრელითა დამარხვითა: რამეთუ ერთბამად ვითარცა აქუნდა მკერდსა თვსსა ზედა კუართი იგი ეგრეთვე დაჰმარხნა: ხოლო არის ადგილი იგი სადაცა ღმერთმან უწყის მხოლოდ მხოლომან: ხოლო ესეცა განგებულებითა სათნო

იჩინა ღმერთმან ნეტარისა მის დედაკაცისა მკერდსა შეტკობა და ეგრეთ სიკუდილი: რამეთუ უკეთუმცა ესე არა ქმნილიყო ვინაჲთგან მას უსჯულოჲსა მეფესა სთნდა სამოსელი იგი: უეჭულადცა შეიმოსა წმიდაჲ იგი კუართი შეგინებულსა მას და არა წმიდასა გუამსა მისსა: ხოლო აწ ვინაჲთგან ამით მიზეზითა ვერღარა მიემთხვა სასურველსა თვისსა: სიტყუჲცა იგი მის ფილოსოფოსისაჲ სარწმუნო იქმნა: ვითარმედ არა წმიდისაჲ: წმიდისა შეხებად, ნუ უკუტ და არა უცთომელებჲჲ მგონისოჲ:

ხოლო აწ წმიდაჲ იგი კუართი არაწმიდისა მის მეფისა გუამისა შეუხებელი: წმიდადვე უკუტ დაშთა და წმიდადვე ჰგიეს ვითარცა პირველვე მის საღმრთოჲსა გუამისაგან განწმენდილი და წმიდაჲ ქმნილი ნეტარი იგი: ხოლო შემდგომად წელიწადთა მრავალთა ესმა ძმის წულსა ადრიკ მეფისასა საქმე ესე: და ძიება ყო მეფემან ამაზაელსამოსლისა მის თვის ჰურიათა თანა და რაოდენიცა გულს შოდგინებაჲ აჩუპნა ძიებისა თვის: გარნა ვერ შეუძლო პოვნად: რამეთუ დაუბრკუმეს თუალნი მათნი რათა ვერ ხედვიდენ სიტყვსაებრ წინასწარმეტყულისა: ხოლო ადგილი იგი არა ვინ ცნა მიერ ჟამითგან ვიდრე დღესამომდე ჩუენდა სადა მდებარე არს წჲ იგი კუართი: გარნა მაშინ მათგან დაფარული: აწ სადმე და ნუ უკუტ საცნაურ არს ჩუენდა რათა უეჭულად ნათელნი ურთიერთას მეზობლობით მახლობელობდენ: და ნათლისა კუართსა სამარადისოდ ბრწყინულედ ზედანთებოდის, რომელი ესე უკუტ ესრეთ უცილობელი არს სათქმელადცა და საგონებლად უკეთუმცა სხუაგან სადმე მდებარე იყო და არამცა სუსტსა ქუტშე.

ხოლო წმიდამან ნინო იხილა ჩუპნებაჲ ესე ვითარი მას ჟამსა შინა მათვე მაყუალთა შინა, რამეთუ ერთგზის მირულებასა შინა ღამისასა რეცა მოვიდიან მფრინულნი ცისანი მუკლთა ზედა წმიდისა ნინოჲსათა ფრთითა შავნი: და შთავიდიან მდინარესა მას შინა,

განიბანნიან და განსპეტაკნიან მოისთულებდიან და ყუაველსა ძოვდიან: და რეცა წმიდისა ნინოსასა მოკლედ შევრდომასა აჩუბნებდიან და ჟღივილით გარემოადგიან და რეცა შესცხრებოდნიან ნარნარითა რაათმე და მყუდროოთა შეთქრომითა. ხოლო იგი სიტკბოებით და წადიერებით შეიწყნარებდა, ხოლო ჩუბნება ესე მოასწავებდა ერისა მის შავისა დაბნელებულისა ნათლისღებისა მიერ ცოდუათაგან განსპეტაკებასა, რომელიცა ესე მცირედთა დღეთა შემდგომად უფალმან საქმით გამოაცხადა, რამეთუ ყოველი იგი ერი წმიდისა ნინოჲს მიერ წყლისაგან აღმოშობითა განსპეტაკენს და ჩუბნებისა იგი მოსწავებაჲ სრულ იქმნა. ხოლო წმიდა ნინო მათვე მაყუალთა შინა მყოფი მით ნახსლევისა ჯუარითა იქმოდა სასწაულთა საკვრუბლთა და განჰკურნებდა ყოველთავე უძლურებათა. რომელითაცა ვინ შეპყრობილ არნ სნეულებითა და დღითი დღე გამოაჩენდა ღმერთი წმიდისა ნინოჲს მიერ ქეშმარიტებასა ქრისტეანობისა და მართლისა სარწმუნოებისასა: და რამეთუ ჰყვეს მოწაფენიცა ფარულად შუდნი დედანი ნათესავით ჰურიანი: სიდონია ასული აბიათარისი და კუალად სხუანი ექუსნი და სამოთხისა იგი მკუბლნი ცოლქმარნი, ხოლო აბიათარ მღდელი კადნიერ იყო ვითარცა პავლე და უშიშად ჰქადაგებდა და ყოველთა საცნაურ ჰყოფდა მართალსა სარწმუნოებასა ქრისტეანობისასა, ხოლო აბიათარს ეცადნეს ჰურიანი რათამცა ქუა დაჰკრიბეს და მოკლეს მხილებისათჳს მათისაჲ:

ხოლო მეფემან განარინა იგი, რამეთუ არა უმეცარ იყო ჰსჯულსა ქრისტესსა მირიან მეფე, ვინაჲთგან თვთმებრ აწლა საბერძნეთით მომავალ იყო და ასმიოდეს სასწაულნი ჰქრისტესმიერნი და თრდატისიცა იგი ასმიოდავე ეშუად გარდაქცევაჲ და არათუ ოდენ არა აყენებდა არამედ უფროჲსლა სურვიელცა იყო ქრისტესთჳს სასწაულთა ხილვად.

და არა ვიდრემე დააბრკოლებდა წმიდასა ნინოს და მოწაფეთა მისთა ქადაგებისათჳს, არამედ ფრიადი აქუნდა ფლობაჲ: ხოლო

ნანა*) დედოფალი ცოლი მირიანისი გულ ფიცხელიყო სასტიკად და შეურაცხ-პყოფდა ქადაგებასა მას ნინოაჲსსა. ხოლო წმიდაჲ ნინო იყოფოდა და განკრძალულ იყო ლოცუასა და მარხვასა შინა. ფრიადსა: და დაჰყო ესრეთ მაყუალთა შინა ვითარ საბი ოდენ წელიწადი, მას ჟამსა შინა უკუჲ ვინმე იყო ყრმაწული სენითა მძიმითა შეპყრობილი და მიმოაქუნდა იგი დედასა თჳსსა წიაღითა, რათამცა პოა ვინმე მეცნიერი და შემძლეველი კადნიერებისაჲ, ხოლო ყოველთა მკურნალთა წარუკუჲტეს სასოებაჲ კურნებისაჲ და უკეთუ ვინმე აუწყის მისგლად დედისა მის ჩუპნისა სანატრელისა ნინოსსა ყოვლადვე არა შეიწყნარებენ არცათუ სმენად, რამეთუ წარმართი იყო ნათესავით და ფრიად ბოროტი გონებითა, ხოლო ვითარცა სრულიად სასო წარკუჲტილ იქმნა მკურნალთაგან მძვნუარებისაგან სენისა იძულებული იქმნაჲ.

მაშინ უკუჲ მოვიდა წმიდისა ნინოსსა და დავარდა წინაშე მისსა ვითარცა იტყჳს წინასწარემტყუპლი, ვითარცა ჳიმიტა და აღვრითა უქცინე ლაწუნი, მათნი რომელნი შენ არა მოგეახლნენო, ხოლო შიშით და შევრდომით ევედრებოდა მსწრაფლ კურნებად ძისა მის თჳსისა საწყალობელისა, რამეთუ ესე მხოლო მივისო: მაშინ ჰრქუა მას წმიდამან ნინო ჰოი დედაკაცო კურნება კაცობრივი ჩემგან შეუძლებელ არს, ხოლო, რომელი შესაძლებელ არს ღუთისა ჩემისა სახელისდებითა იგი უშურველ ვჰყო: და ვითარცა ესე თქუა წმიდამან ცხედარსა მას ზედა მოღუაწებისა მისისასა მიაწვიანა უძღუერი იგი და კნინლა მკუდრად საგონებელი. ხოლო იგი დადგა ვედრებად ღუთისა მიმართ. ცრემლით ხალოდა სახელსა უფლისა იჲჳ ქრისტესსა: ხოლო მასვე ჟამსა ნექტარიტა მით ცრემლთაჲთა მოიზიდა მსწრაფლი შეწევნაჲ ღუთისაჲ განკურნებად მის ყრმისა და განცოცხლე-

*) მეუღლე მირიანისა დედოფალი ნანა იყო ასული სახელოვან პონტოაჲს მხედართ-მთავრის ნიკატორის, — მან აღმართა მკხეთას კერპი ვენერიოსა და ტაძარი მისი აღაშენი.

ბული მხიარულებით მისცა დედასა თვსსა და ადიდებდა ღმერთსა: ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე ღუთად ჭეშმარიტად და ძედ ღუთისა ცხოველისად და თქუა, არა არს სხუად ღმერთი თვნიერ მისსა, რომელსა ესე ქადაგებს უცხოად დედაკაცი: დაემოწაფა წმიდა ნინოს მიერ დღითგან: მას ჟამსა შინა უკუღ დედოფალიცა ნანა შევარდა სენსა მძვნვარესა და ფრიად სასტიკსა, რომლისა კურნებად შეუძლებელ იყო ყოველთავე მკურნალთაგან, რამეთუ ყოველთავე კელოანთა და კურნების გამოცდილთა წარმოაცალიერნეს ყოველნივე ღონენი მეცნიერებისანი და უღონო და სასოწარკულთილ იქმნეს: და არა მცირედსა ურუხასა შინა იყვნეს მეფე და ყოველი ერი ამის მიზეზისთვის: ხოლო უკანაჲსკენელთა აუწყეს დედოფალსა და ჰრქუს ვითარმე უცხოსა ამის დედაკაცისაგან ჰრომისა, რომელსა ეწოდების ნინო მრავალნი უკულ განკურნებულ არიან სენითა მძვნვარითა და სასტიკითა შეპყრობილნი, რომლისასა უკულ ვგონებთ ვითარმედ შენიცა ვიდრემე ადვილად შეუძლოს ლოცუითა მისითა.

მაშინ უკულ იძულებულმან სენისა მის მძვნვარებისაგან, დაღაცათუ არა ენება ეგრეთცა ბრძანა მსახურთა მიერ მოყუანება ნეტარისა მის: და ვითარცა მივიდეს მსახურნი იგი დედოფლისანი აღსრულებად ბრძანებულისა, ჰპოვეს უკულ წმიდა ნინო მაყუალთა მათ შინა რამეთუ ილოცვიდა ჟამსა მეექუსესა: ხოლო ვითარცა აუწყეს ბრძანებად დედოფლისა, ჰრქუა წმიდამან ნინო მოვლინებულთა, არა მათ ვიდრემე ბრძანებულ არს ჩემდა რათა, აქაჲთ განვიდე ვინაჲვე, ხოლო უკეთუ ნებად ღუთისაჲ არს დედოფალი უკულ აქა მოვიდინ საყოფელად ჩემდა და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტეს ღუთისა ჩემისათა, ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოჲსი.

მაშინ უკულ დედოფალმან ბრძანა შემზადება ცხედრისა მიყუანებად მისსა: რამეთუ სენნი მეფეთაცა ვიდრემე დამამდაბლებელ ექმნებიან: მაშინ უკულ წარიყუანეს და თანა წარ-

ჰყუა ძეცა მისი რევი და სხუაჲ სიმრავლე ერისა: და ვითარ მივიდეს საყოფელსა მას ნინოჲსსა მასვე უკუტ სარეცელსა მოღუაწებისა მისისსა მიაწვინა იგიცა მსგავსად ჩუტულებისა მის და მყუარ ჟამს ილოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა და მოილო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა და შეახო თავსა და ფერკთა და მკართა სახედ ჯუარისა: და მეყუსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული: და ჰრწმენა ქრისტე ღუთად ქეშმარიტად: და ყოველნივე იგი ერნი დედოფლისათანა და ძისა მისისა რევისა მოხარულნი აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს ქეშმარიტად, არა არს სხუა ღმერთი თვნიერ მისსა, რომელსა ესე უცხო დედაჯაცი ჰქადაგებს: ნამდვლვე უეჭუტლად ესე არს ქეშმარიტი ღმერთი:

მიერთგან უკუტ დედოფალმან ნანა წმიდაჲ ნინო მეგობრად თვსად და შინაურად: და მარადის ჰკითავენ და მკურულად გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესსა: და სწავებდეს წმიდაჲ ნინო აბიათარ მღვდელი და ასული მისი სიღონია, რამეთუ სთესვიდეს თესლსა მას ღუთის-მსახურებისასა, ქუტყანასა კეთილსა და იქმნა დედოფალი სრულიად მორწმუნე და იცნა ღმერთი ქეშმარიტი.

ჰკითხვდა უკუტ დედოფალსა მეფე, თუ რომლითა სახითა გინა ვითარ ესრეთ მეყსა შინა განიკურნა: და მიუთხრობდა დედოფალიცა ქეშმარიტსა და უფროსლა ერიცა იგი დამტკიცებდა, რომელთა ეხილვა და რომელნი დამხუდარ იყუნეს ძისა მისისა თანა რევისსა: მაშინ უკუტ მეფე განკვრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალ გზის ჰკითხვან ჰურია ყოფილსა მას აბიათარს ძუტლთა და ახალთა წიგნთასა; ხოლო იგი კელოვნად აუწყებნ და განუმარტებნ ყოველსავე და წიგნიცა, რომელი აქუნდა მირიან მეფესა *) ნებროთისაგან, რომელი იგი მაშინ აღწერა ნებროთ მეფემან, მის მიერცა უკუტ მიიღებდა წამებასა.

*) მეფე ნებროთი ახლო შთამომავალი ნოესი იყო მან ქალაქი ბაბილონი (შუამდინარისა) აღაშენა.

რამეთუ ესრეთ წერილ იყო აღშენებასა მას გოდლისასა *) ვითარმედ კმაჲ იყო ნებროთის მიმართ ზეცით, რომელი იტყოდა: „მე ვარ მიქელ, რომელი დადგინებულ ვარ ლუთისა მიერ მთავრობაჲსა ზედა აღმოსავალისასა, განვედ უკუტ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი დაჰფარავს, ხოლო უკანაჲსკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფს იგი ზეცისა, რომლისა შენ გნებვსა ხილვა, შეურაცხ იქმნეს იგი ერისა შორის შეურაცხისაჲ და საძაგელისა: ხოლო შიშმან მისმან განაქარენეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა: მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნეს შენ“ ამით უკუტ გულის ხმაჲ ჰყოფდა მირიან მეფე, რამეთუ ძუტლნი იგი წიგნი ახლისა მის სჯულისა ქადაგებაჲსა ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და ამისთვის შეექმნა სიყვარული ქრისტეს ჰსჯულისა **).

ხოლო მტერი იგი და მბრძოლი ნათესავისა ჩუპნისა დამაყენებელ ექმნებოდა აღსარებად ქრისტესა: და დაჰყო მეფემან დედოფლისა მოქცევისამან წელიწადი ერთი ორგულებასა შინა; ხოლო ვინაჲთგან მაცილობელ და წინა აღმდგომ არცა ვინ ერთი იყო წმიდისა ნინოჲსსა და: დაუცხრომელად ასწავებდა ერსა და ჰქადაგებდა კადნიერად:

და არავის გამოუცხადებდა თავსა თვსსა, თუ ვინაჲ ანუ სადაჲთ მოველ: არამედ ტყუტდ იტყოდა თავსა თვსსა. ხოლო შემდგომად ამისა იყო მთავარი ერთი ნათესავთაგანი მეფისათა სახელითა ხუარა: ესე უკუტ იყო მოგვ კელოანი და შეპყრობილ უკუტ იქმნა იგი სულისა მიერ უკეთურისა და იგუტმებოდა ბოროტად ესოდენ რომელ მყის მახლობელობაჲ სიკუდილისაჲ მოესწავებოდა: და ამისთვის არა მცირედი ურუჲ

*) გოდლი, ანუ ფრიად დიდი ფართო სტეტი, რომელიც იწყეს შენება შემდეგ მსოფლიო წარღუნისა ბაბილოვანთა.

***) წიგნისა ამის, რომელიც იქუნდა მეფე მირიანსა არა ვინ უწყის, თუ რა წიგნი იყო იგი, მოიკსენება წიგნი ესე კუალად ვახტანგ-გორგასლანის ცხოვრებაშიცა.

და მწუხარება იხილვებოდა მეფისა და დედოფლისაჲ: რომლისა-
სათჳსცა ფრიად ევედრებოდეს წმიდასა ნინოს განკურნები-
სათჳს მისისა უკეთუ ყოვლად შესაძლებელ არს: ხოლო მეფე
ჯერეთცა ურწმუნოებითა შეპყრობილი ეტყოდა წმიდასა
ნინოს, მითხარ უკუჲ ზოი ნინო ქვემარტი, თუ რომლისა
ღუთისა ძალითა იქმ ესე ვითართა კურნებათა: ანუ ნუ უკუჲ
ხარ შენ ასული არმაზისი გინათუ შული ზადენისი და მათ
მიერ მიგენიქა ძალი იგი კურნებათა; ხოლო აწ გეტყჳ და
განგაზრახებ შენ უმჯობესსა ნინო, უკეთუ კეთილად ისმინო
და ყურად ილო ჩემთა სიტყუათაჲ: ფრიადი უკუჲ და სანა-
ტრელი ცხოვრება და დიდებაჲ დაუუნჯო თავსა თჳსსა და დი-
დი პატივი მოატყუა: რამეთუ აჰა ღმერთნი დიდნი და საკ-
ურუღნი სოფლის-მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წკმისა
უშურველად მომცემელნი ქუტყანით ნაყოფთაგან გამომზ-
რდელნი ქართლისანი არმაზ და ზადენ ყოვლისა დაფარული-
სა გამომძიებელნი და ძუღლნი ღმერთნი მამათა ჩუწნთანი
გაცი და გაიმი იგი უკუჲ იყვნეს დასარწმუნებელად კაცთა მი-
მართ: ამის თანა უკეთუ განჰკურნო მთავარი ესე განგამდიდრო
შენ უფროჲს ყოველთა პირუღლთა და შემდგომთა. და გყო შენ
მკვდრ მცხეთას შინა მსახურად პატიოსნად არმაზისსა. დიდ
არს უკუჲ არმაზ, დაღაცათუ ჰაერთა სეტყუათაგან მოიწია
შემუსვრა მისი: რამეთუ არმაზ ეგე და ღმერთი იგი ქალდე-
ველთაჲ ირთუჯან ყოვლადვე მტერ არიან: და ამან ზღუა შე-
მოადგინის მას ზედა: და კუალად მან ამას ზედა ესე ვითარი
ბოროტი მოაწია, რომელი ესე თვთ თვალთაგანცა შენთა
არავე უხილავ არს: რამეთუ ესე ჩუტულებაჲ ღმერთთაჲ სა-
მარადისოდ ესრეთ არს: და ესრეთ საკვრველთ მოქმედებენ,
რამეთუ სოფლის-მპყრობელნი არიან და არა რაჲ საკურუღლ
არს უკეთუ ქუღლის მოქმედებენ: და ესე უკუჲ ჩემგან კმა-
გეყავნ: ხოლო შენ უკუჲ გონიერად და სიბრძნით მომიგებდ პა-
სუხსა სიტყჳსასა: ხოლო წმიდამან და ნეტარმან ნინო მიუგო და
ჰრქუა: სახელითა უფლისა ჩემისა ივესო ქრისტესითა და ვედრე-

ბითა ყოველად წმიდისა დედისა მისისათა და ყოველთა წმი-
დათა მისთათა, ღმერთმან ყოვლისა დაბადებულისა ცისა
და ქუჩყანისა ხილულისა და არა ხილულისა შემოქმე-
დმან ყოველად დიდებულისა მის დიდის და აურაცხელი-
სა მრავალ მოწყალებსაგან მოგივლინენ შენ ჰოი მეფე ვი-
თარცა საკმილისაგან მძაფრისა ნაბერწყალი მადლისაჲ მისისაჲ
რათა ჰსცნა და გულის კმა ჰყო სიმაღლე ცისაჲ და ნათელი
მზისაჲ: სიღრმე ზღვსა საძირკუელისაჲ: და სივრცე ქუჩყანისა
და საფუძველი მისი და რათა საცნაურ იქმნეს და გამოცხად-
ნეს შენ ზედა ქეშმარიტად: თუ ვინ შემოსნის ცანი ღრუბ-
ლითა, ანუ ვინ გამოავლენს ელვა ქუხილთა ჰაერთაგან: და
იძრვინ ქუჩყანაჲ სიმძაფრითა მისითა და სასტიკად რბიან მე-
ნის ტეხანი და სულსა შინა მათსა ეგზების ცეცხლი გულის
წყრომითა მათითა: ანუ თუ რაჟამს უკუტ შეიძრის ყოველი
ქუჩყანაჲ ვითარცა ფურცელი ხისა მცირისაჲ ვიდრემდის უკუტ
დაიძრვან მთანი და კლდენი მყარნი ქუათა თანა, ამას ყო-
ველსა ზედა უკუტ მეცნიერ გყავნ შენ ღმერთმან მიწვენად
და გულის კმის ყოფად, ვითარმედ ღმერთი უხილავი არს ცა-
თა შინა თავადი იგი ყოველთა დაბადებულთაჲ: ღმერთი ღმერ-
თთა და უფალი უფლებათაჲ და რომელსა ესე მე ვქადაგებ ივესო
ქრისტესა, ძე არს მისი მისგან უკუტ მხოლოდ შობილი მა-
მისაგან და უმამოდ შობილი დედისაგან: რომელი იგიცა თა-
ნა დაუსაბამოჲ არს მამისა ღუთაებითა: რომლისა მიერ შეიქ-
მნნეს ყოველნივე არსნი ხილულნი და არა ხილულნი: რო-
მელი იგი ქუჩყანად გარდამოკდა და კორცნი შეიმოსნა ესე
ჩუტნნი, რათა ჩუტნ ღუთაებაჲ შეგუმოსოს, ვინაჲთგან ეშმაკი-
საჲ და დამონებულ ვიყვენით: თჳნიერ ამისსა სხუებრ არა ეგე-
ბოდა განთავისუფლებაჲ ჩუტნი უკეთუმცა თავი თჳსი არა
დაემდაბლა: ხოლო ვინაჲთგან იგი წყეული მტერი ნათესავი-
სა ჩუტნისა სამოელი სიამპარტაენითა და ზუაობითა ბორო-
ტად დაეცა, ეგრეთვე ჩუტნცა თავკედლობისა მიერ სიამპარ-

ტავნით: განდგომილებითა ღუთისა და შემოქმედისა ჩუპნისათა დაგვმონნა:

ამისთვისცა უკუპ სიმდაბლით ბრძოლითა ჯერ იყო დაცემა სატანაჲსი რათაჲ წინა აღმდგომნი წინა აღმდგომითა განიკურნენს სიტყვსაებრ წერილისა: ხოლო იგი ჩუპნისა ცხოვრებისაჲ და გამოქნისათჳს, იგუემა ინერწყუა: ყურიმაღს იცა: კიცხვაჲ და ბასრობაჲ თავს იღვა უღმრთოთა მათ და უსჯულოთა კაცთაგან: და ესე ყოველი ნებისით თჳსით. და დასარულსა ჯუარს ეცუა: და მოკუდა ქეშპარიტად კაცობრივ კორცითა და არა ღუთაებითა შეუხებელ და უვნებელ არს: და მესამესა დღესა აღდგა ვა და ზეცად ამაღლდა დიდებით: რომელი იგივე კულად მოსვლად არს ქუწყანად განკითხუად ცხოველთა და მკუდართა, გარნა წიაღთაგან მამისათა ყოვლადვე განუმორებელ არს სამარადისოდ: და ჩუპნ შორის უხილავად მყოფ არსვე დაღაცა თუ მხოლოჲ იგი მაღალ არს: არამედ მდაბალთა ჰხედავს და მაღალნი იგი შორით იცნის; ზოი მეფე ახლოს არს მიახლებაჲ შენი ღუთისა ცხოველისა რათა შემდგომად მცირედისა თვთვიდრესიტკბოებისა კმაჲ მაღლად მქადაგებელ იქმნე: მეგებელი დაღაცათუ ჯერეთ ყოველივე უცნაურ არს შენგან და ამას თანა რამეთუ რომელი არს ამას ქალაქსაჲ შინა: ზოი მეფე უცნაურ ხარ საუნჯესა მას ღუთივ-ბრწყინუალესა ძალსა მას და საკვრუტლებასა მისსა: რამეთუ ღმერთმან ყოვლისა სიბრძნით განმგებელჲან წინასწარვე განგებულებით მოანიჭა სამოსელი ძისა მისისა ქალაქსა ამას და მეფობასა შენსა დაუმარხა: რათა შენ მიერთითა სათნო ყოფითა შენთა დღეთა ზე საცნაურ ქმნით იქადაგოს და ნუ უკუპ ჰგონებ ზოი მეფე თუმცა რასმე ღმერთი ქალდეველთა ითრუჯან გინათუ არმაზ ღმერთი იგი შენი, ანუ თუ გაცი და გაიამ რაჲსმე შემძლებელ იყვნენ ურთიერთას ვნებად ანუ შეწევნად ნუ იყოფინ, რამეთუ იგინი ქუანი და ძელნი არიან უსულონი: და სხუანი ნივთნი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ კელითა კაცთაჲთა შემზადებულნი რომელითა შორის დამკვდრებულ არიან ბოროტნი

ეშმაკნი: რომელთა უკუღთავისა თვისისა შეწევნაჲცა და კელის-
აპყრობაჲ ვერ ძალ უკ: და აჰა მცფე ამით უკუღ ვიდრემე
საცნაურ გეყაენ: რამეთუ რაჟამს ღმერთმან ჩემმან: და ენებოს
მას მხოლოდსა რომელ თვთ შენ მანცა: იესო ქრისტემან: რაჟამს
იგი უკუღ ღრუბელთა და სასტიკთა ჰაერთა მიერ მეხის ტე-
ხითა დასტეხნა: და დაარღვნა და განანქრინა ქარსა ბოროტსა
და სასტიკსა: ვითარ უკუღ არა შეეწინეს თავთა თვისთა უბა-
ღრუენი. და უკეთუ რასა შემძლებელ არიან ნამდვლვე ღმერთნი
იგი შენნი დიდად საქადულნა შენი დიდებული არმაზ გაცი და
გამ: აწ უკუღ ვიდრემე აღუპყრიან კელი თავთა თვისთა მე-
ყუსეულად აღმართენ და კულად აგენ თვისსავე მას დიდე-
ბაჲსა და შუწნიერებაჲსა ტაძარნი მათნი ვითარცა იგი პირუტლი
იყუნეს: და რამეთუ ესე უკუღ არა ვიდრემე უცხო არს და
არცა შეუძლებელ ღუთისაგან ქეშმარიტისა და უფროსლა
ღმერთთაგან ვინაჲთდგან მრავალთა მიერი უმეტეს საცნაურ არს
შემძლებლობაჲ ვიდრელა რა მხოლოდ ერთისაჲ და რამეთუ ნამ-
დვლვე ესე ვითართა საკვრუსლებათა მოქმედებაჲ ქეშმარი-
ტისა ღუთისა ოდენ არს, ვითარცა იგი ღმერთმან ჩუნმან
იმოქმედა: რაჟამს იგი ცანი და ქუსყანაჲ და ყოველნივე არს-
ნი ხილულნი და არა ხილულნი წამის ყოფით შექმნა და
დაჰბადნა; გინა თუ ესრეთ გამოაჩინონ ძალი და ძლიერება ღუ-
თაებისა მათისაჲ. უკეთუ ნამდვლვე ქეშმარიტნი ღმერთნი
არიან: და უკეთუ ესე სადმე შეუძლებელ არს ზეშთა ბუნები-
სა საგონებლობით უსუსურობითა მათითა; აჰა ესერა მცირედ-
ცა, რომელი უკუღ ადვილცა და სათანადო არს მათათვს შე-
საძლებლობაჲ ვინაჲთგან თქუნ შორის საცნაურ ქმნულად
გამოაჩინებელნი და მადიდებლნი მათნი ეშმაკნი აშფოთებენ
ჰგუსმენ სულსა ამის მთავრისასა: გამო უკუღ იყუანონ და გაჰნ-
კურნონ ესე ბრძანებით: ხოლო უკეთუ ესე არა აღიარეთ
ვიდრემე უკუღ თქუნდა, ღმერთთა თქუნთა ძლეულებაჲ
და უძლეურობაჲ:

და მე ხოლო უძლურმან დედაკაცმან განვკურნო სახელის დებითა ქრისტეს ღუთისა ჩუწნისათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა: ვითარცა იგი ნანა დედოფალიცა განიკურნა სენისა მისგან მძიმისა და მძუნუარისთა“. ხოლო მეფე ვითაცარ პირუტყვ ღვა და ისმენდა სიტყუათა ნინოჲსთა ტკბილად და ლმობიერად, ხოლო იტყოდა ვერა რას ვინაჲთგან არა უწყოდა რაჲმცა პასუხი უგო მეტყუებლესა მას მისსა: არამედ ესე ხოლო მხოლოდ ოდენ თქუა ვედრებით ნინოჲს მიმართ: ღინაჲთგან ნეტარასა უკუტ ჩუწნ ვერ შეუძლეთ დიდთა და დიდებულთა საქმეთა კელ ყოფად ნამეტნაობისათჳს ძალისა ჩუწნისა: ჟამისად უკუტ დაუტოვენ გრძელნი ეგე მოთხრობანი და განკურნე მთავარი ესე ჳოი ნინო რამეთუ ჩუწნ ფრიად გუტლმის მისისა მის კირუტულობისა თჳს:

ხოლო ეგრეთუტ და უფროსდა დედოფალიცა ნანა ევედრებოდავე და შეუძლებლობასა მათთა ღმერთსა კმა მალლად აღიარებდა; ხოლო წმიდამან ნინო უბრძანა მოყუანებაჲ მის მთავრისაჲ წინაშე მისსა და მოიყუანეს სამოთხესა შინა ხეთა მათ დიდთა ნაძუთა ქუტსუე: და დაადგინა იგი აღმოსავლით: და მეფე და დედოფალი და ყოველი ერი შემსჭუალულ იყო ხედუასა მისსა თურაჲ ძი იქმნას: რამეთუ აღიპყრნა კელნი ზეცად წმიდამან ნინო და ტირილით ილოცვდა და ევედრებოდა ღმერთსა მყუვარ ჟამ: მერმე მოიქცა და ათქუმევიანა კაცსა მას სამგზის ესრეთ, ვიჯმნი შენგან ეშმაკო და ყოველთა საცთურთა შენთაგან და შეუვრდები ქრისტესა ძესა ღუთისასა: და მყის მასვე ჟამსა განვიდა ბოროტი იგი ეშმაკი სული: ხოლო მთავარი იგი განცოცხლებული წარმოადგინა წინაშე ყოველთაჲსა: და მეფე და დედოფალი ყოველისა მის ერისა თანა სიხარულით აქებდეს და აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს: ჳეშმარიტად იგი არს ჳეშმარიტი, რომელსა ესე წმიდაჲ დედაკაცი ჳქადაგებს და ამას ესე ვითარსა საკვრუტლებასა სხუა ღმერთი ვერვინ შემძლებელ არს რომლისა არს დიდებაჲ უკუთა (უკუდავთა).

უწეებად სიდონიანს მიერ დედაკაცისა დაბნელებისათვის და მოქცევისა მიზიანს მეუისა და ჰატიონისა ჯუარისათვის და სასწაულთა თვის რომელნი იქმნეს ნი-
ნოას მიერ.

იყო უკუპ დღესა ერთსა ზაფხულისასა; თუჲსა ივლისსა ოცსა (კ) დღესა შაბათსა: განვიდამეფე მიზიანს ნადირობად მუხრანით კერძო: და მოუკდა უჩინო იგი ზოგადი ყოველთა მტერი და მბრძოლი ეშმაკი და შთაუგდო გულსა მისსა სიყუარული კერპთაჲ და ცეცხლისაჲ და იგონებდა ყოველითურთ მსახურებასა მათსა: და მოწყუპდასა სატანჯუპლთა მიერ ყოველთა ქრისტიანეთასა: და ეტყოდა მეფე ოთხთა ვიეთმე თანა მზრახველთა თვისთა და ნების მყოფელთა; ნამდვლვე უკუპ ღირს ვართ ჩუპნ ღმერთთა ჩუპნთაგან ბოროტისყოფასა ფრიადსა: რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებისაგან მათისა და ნების მყოფელ ვიქმნენით ჩუპნ ქრისტიანეთა ამათ გრძნეულთა ჰსჯულსა ქადაგებად: რამეთუ უეჭუპლად გრძნებთა ჰყოფენ რაოდენსა რას იქმან საკვრუპლებასა: აწ უკუპ ესე არს განზრახუა ჩემი რათა ბოროტად წარვწყმიდნეთ ყოველნი მოსავნი ჯუარცმულისანი: და მცირელი ესე უდებებით ნაკლულევა-ნებაჲ აწ კულად ვიდრემე ფრიადითა გულს-მოდგინებითა სრულ ვჰყოთ ქუპლის მოქმედთა ჩუპნთა ღმერთთა მიმართ: მჰყრობელთა და შესავედრებელთა ქართლისაჲთა და მხილებით ვამხილო ცოლსა ჩემსა ნანანსაცა რათა შეინანოს აქამომდისი უგუნურებით ცთომილებაჲ: ხოლო უკეთუ ურჩ მექმნეს: დავივიწყო უკუპ მისიცა თანამდები სიყუარული და მივჰკადო ჰატიფი ღირსი ურჩებისაჲ და მათ თანავე იგიცა ბოროტად წარვწყმიდო: ხოლო განზრახუასა მას მისსა თანა ეწამნეს და უფროდსლა და უმეტეს დაუმტკიცეს თანა მზრახუპლთა მათ მისთა ვინაჲთგან თვთ იგინი უფროდს

სურვიელ იყუნეს: ხოლო მეფემან მოვლო უკუტ ყოველი იგი სანახები მუხნარისაჲ და აღვიდა მთისა ზედა თხოთისასა *),

და განვიდა თხემსა მის მთისასა მოხილუად კერძოთა იმიერ და ამიერ: და შუა სამხრის ოდენ მყის ანაზღაჲთ დაბნელდა მზე მათ ზედა: და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი და უკუნი: და დაიპყრნა ბნელმან არენი იგი და ადგილნი და განიბინეს კაცადი თვისა ადგილსა ჭირისა მისგან და ურჯსა: და დაშთა მეფე მხოლოდ მარტოჲ და მიმოვიდოდა მათათა მათ ზედა შეცთომილი და შეშინებული და შეძრწუნებული: ხოლო ვინაჲთგან უღონო იქმნაჲ ვინაჲვე წარსლვისაგან განა. თუ კაცთა მიერისა შეწევნისაჲ და წინა ძლომისა: დადგა უკუტ ერთსა ადგილსა სასოწარკუტთილი და იგონებდა თუ რაჲმე მოიწია ჩემ ზედა უბადრუკისა და საწყალობელისაჲ ამის: ნეტარ მე ჩემ შორის ოდენმე შემთხუტულ იქმნა ესე საშინელი საქმე უბადრუკისა: ანუ თუ ზოგად ყოველსა ქუტყანასა ზედა იქმნა: გინა აწ ესე ვინა მაუწყოს მე ვინაჲთგან ყოველითურთ უღონო ვარ, ვიეთცა მიმართ კითხუად და განზრახუად: და ვითარცა იგონებდა ამას თავსა შორის თვისსა და იტყოდა და თქუა.

აჲჲ ესერა მოხედნა ღმერთმან წყალობით ვითარცა პირუტულ პავლეს და მოეგო თავსა თვისსა და თქუა: ვინაჲთგან ესერა ვხადი ღმერთთა ჩემთა და ვერა რას უკუტ ლხინებასა ვჰპოვებ: და უფროჲსლა თვთ მებრ მათისა პატივისა განზრახუასა და განგებასა შინა შემემთხვა ესე ბოროტი და ესე ვითარი ჭირი: ნამდვლვე უძლურ თურე არიან და ბოროტ და არა რას კეთილის-მოქმედ ვითარცა უცხოჲ დედაკაცი ნინო განაქიქებს უძლურებასა მათსა.

*) მთა თხოთი ანუ თოხათი, მუხნარის-სოფლიდამ დასაეღეთით არს, ვიდრე ათი რუსული ვერსტი აქუს სიშორე — აქამომდე თხემსა ზედა თხოთისასა ჰსდგას მცირე ეკლესია წმ. ნინოსი აღშენებული მეფე მირიანისაგან, ადგილსა მას, რომელსა ზედ დაუბნელდა სინათლე (დაბრმავდა) მეფესა.

აწ უკუტ რომელსა იგი ჰქადაგებს ივესოს ჯუარცმულსა: და სახელითა მისითა ჰყოფს საკრუტლთა კურნებათა, ვევედროლა უკუტ მეცა სახელსა მისსა: ნუ უკუტ და მეცა ვიდრემე მივემთხვო საკრუტლებით ლხინებითსა კურნებასა ამის მოწვეწულითა ქირისასა: რამეთუ ვარ მე უბადრუკი ესე ცოცხალივ ჯოჯობეთს შინა: რომელსა უკმარ მექმნა ყოველი დიდებაჲ და ცხოვრებაჲ ჩემი:

და ოკერ ვიქმენ მონათა და ერისა ჩემისაგან: ქალაქთა და ციხეთაგან: და თვთ თავადისა მეფობისა ჩემისაგანცა: და ესე არა რაჲვე უწყით თუ ყოვლისა ქუსყანისათვს იქმნა ესე მოსაწვევარი ანუ თუ ჩემთვს ოდენ მხოლოდ უბადრუკისა: და ვითარცა ესე თქუა: დადგა და კელნი აღიპყრნა და ტირილით და გოდებით იტყოდა კმითა მალლითა ივესო ძეო ლუთისაო რომელსა დედაკაცი იგი ნინო ღმრთად ქეშმარიტად გქადაგებს: უკეთუ ნამდვლვე ღმერთი ხარ ქეშმარიტი და ძე ლუთისაჲ მიჩუტნემე ნათელი შენი ნათელსა მამასა თანა ზოგადსა ჩუტულებითსა: და მახილვე მე საყოფელი ჩემი, რათა ვცნა ქეშმარიტი მეცა ვითარმედ: შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფლებათაჲ და რათა აუვარო სახელსა შენსა წმიდასა მეცა უკუნისამდე და გაქებდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისაჲთა: და უკეთუ ისმინო კმისა ლოცვსაჲ ჩემისაჲ აღვა შენო სახლი შენი წმიდაჲ და ვყო იგი სალოცველად ჩემდა და ერისა ჩემისა, რათა იდიდებოდის და თაყუანისიციემებოდის სახელი შენი წმიდაჲ მას შინა უკუნითი უკუნისამდე: ჰე ძეო ლუთისაო ივესო ქრისტე ნუ გარე მიმაქცევ სირცხვლეულსა უკეთუ ძალგის ქეშმარიტად შეწვეწნად: მოიხილვე ჩემ ზედა საწყალობელისა ამის და უკუ მაძარცუტ მოხუტული ესე ჩემზედა მდებარე უკუნი სიბნელესი: ხოლო ვითარცა ესე ილოცა მიმყოვრებულად. წარმოსტქუა მეცსა შინა, მყის უკუტ ნათელი მოეფინა ყოველსა ქუსყანასა ჩუტულეებისაებრი: და მზე გამობრწყინდა დიდებითა თვისითა: ხოლო მეფემან კუალადცა განიპყრნა კელნი თვისნი ცად მიმართ და თქუა: უფალო ღმერთო ცისა და

ქუცყანისა შემოქმედო, რომელი უკუ უფლებ ზესკნელთა ცათა შინა: და იპყრობ ქუცყანისათა: ნამდვლვე შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფლებათაჲ რომელსა გაქუს კელმწიფებაჲ ნათელსა ზედა და ბნელსა: და შენ ხარ მეუფსო რომელი მოავლენ კაცთა ზედა განსაცდელსა უმჯობესისა თვს: და აწ უკუ მეუფსო უფალო ცისა და ქუცყანისა ვითარცა ვიყავ კორციელსა ბნელსა შინა უფროჲსლა სულიერსა: და ვითარცა განმინათლენ კორციელნი თუალნი:

მგრეთუ (და) განმინათლენ თუალნი სულისანიცა: და უკეთუ მცირედსა ამას სიბნელესა ვერ უძლე აქავე დაჲმენად: და ყოვლითურთ უღონო და სასოწარკუთილ ვიქმენ ვითარ უკუ დაუთმოთ და მოთმინე ვიქმნეთ უბადრუკნი ესე და საწყალობელნი მის საუკუნოჲსასა მას დაუსრულებელსა ბნელსა მას გარესკნელსაჲ ღრქენასა კბილთასა: და მატლსა მას დაუძინებელსა: და ცეცხლსა უშრეტსა, რომელი განმზადებულ არს ჩუენ უბადრუკთა ცოდვლთა თვს, რომელიცა გუქადაგების უცხოჲსა მის დედაკაცისა ნინოჲსაგან: შენ ხარ უკუ უფალო და მეუფსო ყოვლისა სიბრძნით განმგებელი: და ვითარ მესმის, არა ვისი გნებაჲს ნამდვლვე სიკუდილი ცოდვლისაჲ: არამედ ყოველთა სინანული და ცხორებაჲ:

და აწ მეუფეო, შემინდევ ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი, რომელნი აქამოდვე ვცოდენ უგუნურებით: რამეთუ ამიერითგან მეცა შეუდგე ბრძანებათა და მცნებათა შენთა: და მორჩილ უკუ ვექმნე სიტყუათა ნინოჲსთა, რომელი გუასწავებს მცნებათა შენთა: რამეთუ ნამდვლვე შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ და შენი არს დიდებაჲ და ძლიერებაჲ უკუნი თი უკუნისამდე ამენ:

ხოლო ადგილი რომელსა ნათელი გამოუბრწინდა, იყო მის მთისა მწუპრვალსა ზედა და გულსა დაიდუჲა რათა ძელი ჯუარისა აღმართოს მას ადგილსა: და წარმო უკუ ემართა მით ადგილით: იხილა უკუ ყოველმან ერმან რამეთუ მათცა გა-

მოუბრწყინდა ნათელი ქვეშარიტი და შეიერთნეს მეფენი და ყოველი იგი ერი განბნეულნი.

ხოლო მეფე კმითა მალლითა ღალადებდა: მიეცით უკუ ღიდებაჲ ღმერთსა ნინოჲსსა, რამეთუ უეჭუსლად ნამდვლვე იგი არს ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფლებათაჲ: ხოლო ყოველმან ერმან ზოგად კმა-ყვეს: ღიდებაჲ ღმერთსა ზეცათასა, რომელსა ნინო ქადაგებს: რამეთუ მას უკუ მხოლოდ მხოლოესა ჰჴუნისა ღიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ:

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა: რამეთუ ყოველთა ასმიოდა, რომელი იგი იქმნა საკრუსლებაჲ მეფესა და ერსა ზედა: მაშინ უკუ ყოველი იგი ქალაქი ერთობით მიეგებნეს შორს ქალაქისაჲ: და ყოველი ერი იგი იხარებდეს საკრუსლსა მას სასწაულსა ზედა ერთბამად აღიდებდეს ღმერთსა: და უფროსდა ნანა დედოფალი იხარებდა: უწყოდა განგებითა მით საღმრთოთა რომელი მის შორის დანერგილი იყო, რომელ ღმერთმან განგებულებით ყო რა იგი ყო მეფესა ზედა ცხოვნებისათჳს მეფისა და ყოველისა ამის სამეფოჲსა: ნამდვლვე სიტყუაჲ იგი სარწმუნო იქმნა, რომელსა იტყვს ვითარმედ: „სახლუარი განსაცდელისა შემეცნებაჲ იქმნა უადრესისა“; ხოლო ნეტარი ნინო მასვე უკუ საყოფელსა შინა მისსა მაყუალთა მათ შინა ლოცუასა შინა განკრძალულ იყო ჩუსულებსიაებრ:

და ამის თანა იყო მისგან მოქცეული ორმოც და ათასული მეგრ მას ჟამსა შინა: და იყო უკუ ვითარცა მოვიდოდა მეფე იძროდა ყოველი იგი ქალაქი და კმითა მალლითა ღალადებდა მეფე: სადა უკუ არს უცხოჲ იგი დედაკაცი დედაჲ ჩემი: ვითარცა ეუწყა მაყუალთა მათ შორის ყოფაჲ *) მიუქცია მეფემან

*) აქ ნუსხურის კელით ესენი უწეოია ქვემოთ აშიაზედ:
„მით. მოსემ: ნახა: უწველად: მაყულისა: ცეცხლის: კიდება:
მგრეთვე: აქ: ეს: მაყული ჩვენთვინ: საუნჯედ: იდება:
ქართველთ: მით: ქრისტეს: მიმართეს: ქნეს: არმაზისა: რიდება:
და მით: კამს: მღთის: მადლის: მიცემა: ქება: პატივი: ღიდება:
ეს ლექსები იგუმან (?) პავლეს (?) ივლიანის (?) ძის ნათქმია:“
რედაქტ.

ყოველისა მის ერისა თანა და მყის გარდახდა უკუტ მეფე ჰუნისაგან თვისისა და ეტყოდა წმიდასა ნინოს: „აწ უკუტ ღირს ჯარ სანატრელო დედაო თუ ღმერთსა ენებოს სახელის—დებად სახელსა ლუთისა შენისასა და ნამდვლვე მკსნელისა ჩემისასა; ხოლო წმიდა ნინო ცრემლითა მხურუალეთა დამოდინებითა მადლობდა და აღიდებდა ღმერთსა: და მეფესა წურთითა საღმთოჲთა განამტკიცებდა და საცნაურ-ჰყოფდა ჰეშმარიტებასა ქრისტეს ლუთისა, ვითარცა მისცემდა სული იგი წმიდა მის შორის მყოფი, რომელი დამკვდრებულ იყო:

მაშინ უკუტ იქმნა საკრულელი და სახარულევეანი ტირილი და ღმობიერებაჲ ყოველისა მის ერისა რაჟამს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლით ღმობიერად მგოდებელთა; რამეთუ ღირსნი ყოველისა ნეტარებისანი ცრემლნი დამოსდიოდეს ყოველთა მიმყოვრებით განგრძელებას მას სწავლისასა წმიდისა ნინოს მიერ: ხოლო ვითარცა მოვიდეს ქალაქად, ხულისა დღე მყის წარავლინნა მოციქულნი მირიან მეფემან საბერძნეთად დიდისა კონსტანტინესსა: რამეთუ მას ჟამსა იგი იყო ნეტარებით მოკსენებული და მიწერა წიგნი წმიდამან ნინო ელენე დედოფლისა მიმართ: *) ხოლო მირიან: მეფისა მიმართ: და აუწყეს ყოველი ესე სასწაული ქრისტეს ლუთისა მიერი რომელი იქმნა მცხეთას ქალაქსა შინა: ხოლო ძალი ებისტოლისა მის ესე ვითარი იყო რომელ: „უწყებულ არს ჩუენდა ვითარცა შეჰგვანდა შესაბამობასა ჟამისა მის ახალ ნერგთასა:

მაღალსა უკუტ და ზეშთა ჭიდრემე აღმატებულსა ყოვლად ბრწყინულესა და უფროჲსად დიდებულსა მეფესა მე-

*) აქ გვერდზედ მშენიერის ნუსხურის კვლით აქვს ეს ტაეპი ლექსად წარწერილი:

„მ: აქ: ქრისტეს: სჯულზედ: მოსული: მეფე: შეიქნა: მირიან:—ნ: დღეს: აქნობამდის: გასინჯეთ: თუ: როგორი: სჯული: მირიან:—ნ: უჯობდათ: სჯულსა: პირველთა: მოლა: ჰყოლოდათ: მირიან: და მღუთის უცნობლობა: კერპთ: ზორგაჲ: არა რად: გაიკვი რ—ია—ნ:“
მირიან მეფისაგან მიწერა—სტანტინთან. რედ.

ფეთასა: და ნათელსა ყოველისა ქრისტიანობისასა, წდისა და ყოველად უაღრესისა ყოველთა ქალქთაჲსა, სახედ მზისა განმანათლებელსა ღუთივ-ბრწყინუალისა სამეფოჲსა კრისტანტინოპოლისა თვთმპყრობელსა მეფესა დიდსა კრისტანტინეს: აღმოსავალისა უკუტ კერძოჲთაჲთ: საქართუტლოჲსა ყოველისა მეფე მირიან: აწლა სადმე წყალობითა სახიერისა ღუთისათა ძლით უკუტ განფრთხობილი სიმთვრალისაგან უმეცრებისა: და ვითარცა საშოჲსაგან დედისა სიბნელისაგან ახლად ვიდრემე ნათლად გამოსრული, ქრისტეს მიერსა გიხაროდენსა მიგიძღუანებ: რამეთუ რომელსა იგი არავისი ნებაჲს სიკუდილი ცოდვლისაჲ: არამედ ყოველთა მოქცევაჲ სინანული და ცხოვრებაჲ ვითარცა მესმის: მან უკუტ სახიერმან არცაღა ვიდრემე ჩემი სათნო იჩინა უფსკრულსა შინა სიბნელისა და დავიწყებისა და შთორმაჲ: და იგი ვითარცა ოდესმე შენ: და კუალად შენსა უწინარესრე ვითარ იგი ქადაგი ქრისტეანგთა ცხოვრებისა ნეტარი პავლე მოგინადირა ვითარცა უწყებულ ვარ: ეგრეთუტ უკუტ მანვე სახიერმან და მეცა ღირს მყო ნათელსა ღუთაებისა მისისასა მსგავსად თქუტსნავე: და ნათლისა საღმრთოჲსა მომატყუტბელითა მადლითა განმანათლა და არა ღირსი წყალობისა, ღირს-მყო თქუტნ ღირსთა თანა ქებისათა ღირს-ყოფად კსენებისა სახელსა ღუთაებისა, რომლისთვისცა უკუტ გამოქენეობ წმიდისა მეფობისა შენისა შიმართ. რათა ღირს მყუნე სრულიადსა ნათელსა მიმთხუტვად, ყოვლისაგანვე უღონო ქმნილნი, რომლითა გამოისახვს ქეშმარიტი უცთომელი ქრისტიანობაჲ, ესე უკუტ იგი არხ, მღუდელი სამღრთო მსახური ქრისტესი, წმიდა და წმიდა მყოფელი მირონი და რომელსა ზედა ჯურას ეცუა ცხოვრებისათვს ჩუტნისა ძელი ქეშმარიტი: სახარება და სხუა რაოდენი სახმარ არს საჭიროდ ჩუტნდა, რათა ყოველთავე თანა შენ მიერ განათლებულთა, ჩუტნცა უკუტ ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა: ღუთივ გვრგვნოსა-

ნო ყოვლად ბრწყინულო თვთ მპყრობელო წმიდაო მეფე დიდო კონსტანტინე ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი: ერსა მას შორის ქადაგებდეს დაუცხრომელად. ასწავებდეს გზასა ქეშმარიტებისასა, ვიდრე მოსვლამდე მღუდელთა და მოციქულთა საბერძნეთით და მკურვალებაჲ ფრიადი იყო ყოველთა შორის საღმრთოჲსა შურისათჳს. ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა მეფესა მესწრაფების მე ზოი მეფეო აღშენებისათჳს ტაძრისა ღუთისა: ჰრქუა მას მეფემან ესე ქეშმარიტად უწყისანატრელო დედაო, რომელ რაჲცა ოდენ შენ სათნო გიჩნს უეჭუსლად ნებაჲ არს ღუთისაჲ: და ვითარცა განაგოს შენმან სიწმიდემან ეგრეთცა ვჰყოთ: ჰრქუა წმიდამან ნინო: სადა უკუჲს ჰნებაჲს მეფობასა შენსა: ჰრქუა მას მეფემან სადაცა ღმერთსა და შენ სათნო გიჩნს ქეშმარიტი ესე არს: ხოლო უკეთუ ჩემსა ნებასა დაემორჩილებით ფრიად უკუჲს საყუარელ არიან ჩემდა მაყუალნი შენისა მოღუაწებისაგან განშუშნებულნი, რომნლნიცა ცრემლთა შენთა ნარწყაობისა მადლსა კმა მადლად ჰქადაგებენ: რომელნი იგი უკუჲს უპატოხსნესად გამოაჩინნეს ოქრო ქანდაკებულთა პალატოჲსა ღუაწლთა შენთა სიმრავლემან: მე უკუჲს მუნ მნებაჲს: გარნა არა ვიდრე მე დავამტკიცო ნებაჲ ჩემი: არამედ უკეთუ სათნოჲ არს შენდა: და უფროჲსღა ღუთისა: არა ვჰრიდო ყოვლად სამოთხესა ამას ჩემსა სამეფოჲსა შუშნიერებისა თჳს მისისა და ფერად ფერადობისათჳს ნერგთა და ყუავილთა სულნელთასა და სიმაღლისათჳს ნაძუთასა და ნაყოფიერებისათჳს ბაბილოთასა: ქეშმარიტად უკუჲს სამოთხე ესე კორციელი და წარმაჯალი შეგუეცვალოს ცხოვრებად საუკუნოდ და წარუვალად: და მუნ აღუაშენოთ ტაძარი ესე ღუთისა სალოცველად ჩუშნდა ვიდრე მოსვლამდე მღუდელთა საბერძნეთით: და მეყუსეულად მოიღეს იგივე საგებელი და იწყეს შენებად სახელსა ზედა ღუთისა: და ასწავებდა ხუროთა, რამეთუ რომელმან იგი ბესელაფელ აღავსო სიბრძნითა: იგივე ღმერთი იყო ამის ნეტარისა განმებრძობელდი: ხოლო ნაძუნდი იგი და საშინელ-

ნი დიდნი მოჰკუტნეს: რომლისაგანაცა შემზადნეს შუდნი სუტნი ეკლესიისანი: ხოლო ექუსნი იგი უკუ სუტნი აღმართნეს სადაცალა უკუ ინება აღგილმან თვს თვსად: ხოლო უდიდესი იგი სუტი რომელი საზარელი იყო უფროჲს მათ სხუათაჲს მათ საშუალ ეკლესიისა აღსამართებელად განაწესეს და ვითარ შემზადნეს ყოვლითურთ აღმართებისათვს ეცადნეს: გარნა ცუდ იყო შრომაჲ: ვინაჲთგან ყოვლად ვერ შეუძლეს: აუწყეს უკუ მფფესა საკრველი ესე საქმე:

მაშინ უკუ მოვიდა სიმრავლითა ერისაჲთა და მოიხუნეს მრავალ ღონენი მანქანანი: და სიმრავლითა ერისაჲთა და სიმარჯჯთა ძალისაჲთა ეცადნეს აღმართებად:

და ვერცა ვიდრემე ვგრეთ შეუძლეს: არამდ ვგრეთცა ცუდ და ამაო იქმნებოდა შრომაჲ მათი: და იყუნეს დაკრვებულ მეფე და ყოვლისა ერისაჲ სიმრავლე და იტყოდეს ურთიერთას ყოველნივე, თუ რაჲმე არს უცხოჲ ესე სახილავი: და ვითარ შემწუხრდა წარვიდა უკუ მეფე ფრიად შეწუხებული პალატად და ყოველი იგი ერი სახილ თვს თვსად: ხოლო სანატრელი ნინო და ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი დაადგრეს სუტსა მას თანა ლამე ყოლ; ხოლო ნეტარი ნინო გოდებდა ფრიად და ნექტარსა კრემლთაჲსა დამოადინებდა ლამე ყოლ: და განზოგებასა ოდენ ლამისასა იქმნეს ესე ვითარნი ოცნებანი (ჩვენებანი) რამეთუ ორნივე ესე მთანი იმიერ და ამიერ არმაზისა დაზადენისაჲ რეცა თუ წარმოიქციეს და შთამოირლუსს და დააგუბეს ორთავე მათა წყალი და გარდამოხეთქეს წყალთა მათ ქალაქსა ზედა და რეცა წარსარლუნელად და წარსაწყმედელად იხილვებოდა ქალაქი: და შეიქმნეს კმანი და ქუხილნი ტირილნი და გრგვინიანი: ორთავე მათ მდინარეთა გარდამოხეთქასა ზედა: ხოლო მოწაფენი იგი დედანი შეშინდეს და შეძრწუნდეს და ლტოლვისათვს განმზადებულ იყუნეს:

ხოლო ნეტარი იგი ნუგეშინის სცემდა მათ და ეტყოდა, ნუ შეძრწუნდებით დანო ჩემო საყუარელნო: არა რაჲ არს

ესე სხუაჲ თჳნიერ საოცრებაჲ ეშმაკთა ბოროტთაჲ: რამეთუ მთანი უკუტ ადგილთავე თჳსთა ჰგიან და მდინარენი ეგრეთვე დიან: და ერსა ყოველსა მშჳდობით სძინავს: ხოლო საოცრებით ჩუწნებული ჰსე ჭეშმარიტად უკუტ დარღუტვაჲ არს ურწმუნოებისაჲ: მთაჲთა ღ წყალთა დინებისა დაყუდებჲა გამომსახველ არს სისხლისა მის ყრმათაჲსა რათა დასცბრეს ამიერითაგან დინებაჲ იგი დაკოულთა მათ ჩჩულოთა ყრმათა სისხლისაჲ ორ-თქლოთანი: ხოლო კმა ესე ტყებისა ეშმაკთა სიმრავლისაჲ არს:

და სამართლად რამეთუ იგლოენ თავთა თჳსთა უბადრუტენი ვინაჲთგან იოტებიან ამათ ადგილთაგან რომელთა შინა იხარებდეს სისხლითა კაცთაჲთა: რამეთუ ეძვნების სასტიკად თჳსთა საყოფელთაგან ჴანსხმა, ხოლო თქუტნ ძალითა ქრისტესითა განძლიერებულნი მოიქეცით და ილოცვედით და ესე ვითარცა თქუა: დადგა ნეტარი ნონო აღმოსავლით კერძო: განიპყრნა კელნი ზეცად მიმართ და ილოცვიდა ლუთისა მიმართ რათა არა დაეხრწიოს საქმე ესე ეშმაკთა მიერ რომელსა წარმართებულ არს მეფე და ყოველი ერი: და მეყუხეულად დასცბრეს კმანი იგი მასვე ეჲმსა: ხოლო ამისსა შემდგომად კუალად (ჩვენება) იქმნა ვიდრე არა ეყიფლა ქათამსა: სამთავე კერძოთა ქალაქისათა ზარი შეექმნა ლაშქრისა ფრიადისა: დაღეწნეს კარნი და აღივსო ქალაქი ლაშქრითა მბრძოლთაჲთა: და იქმნა ზარი და კმაჲ საშინელი და განსაკვრუტბელი: და იყო ზახილი და კოცა კაცთაჲ: და აღივსო ყოველი იგ ადგილი სისხლითა: და დადნებოდეს ყოველნი შიშისაგან და ზარისა: და ისმოდეს კმანი, რომელნი იზახდეს ძლიერად: ვითარმედ მეფე სპარსთაჲ ხუარა ბრძანებს: და მეფეთა მეფე ხუარან ხუარა: ყოველი ჰურიიჲა განარჩნეთ პირისაგან მახვლისა: ესე უკუტ რაჲ ესმაჲ დედათა მათ: და მოახლებულ იყუნეს მახვლოსანნი: და რეცა გარემოჲს სრვიდეს და ჰკვლიდეს: მყის ისმა კმაჲ ძლიერი: ვითარმედ მირიან მეფე შეიპყრესო: ხოლო წმინდამან ჰრქუა „არა რაჲ უკუტებრალების უბადრუტთა იმათ, რომელ ესრეთ ქირუტლად

იხახიან, რამეთუ დიდათ ჰსჭირსთ, ვინაჲდგან მოახლებულ არს ეამი წარწყმედისა მათისა და ამათ ნათესავთა მათგან განთავისუფლებისა და ამის აღვილისაჲ დიდებისაჲ.“

და ნუგეშინისცემდა ნეტარი ნინო დედათა მათ ვითარცა მკნე მოღუაწე: მიექცა უკუტ ერსა მას მომსერელსა და ეტყოდა: სადა არიან წყეულნო მეფენი სპარსნი ხუარა და ხუარან-ხუარა ანუ საბასტინით მოვიდეს მეყსა შინა: წარგუაღეთ ბნელთა მათ ღ გარესკნელთა თქუენთჳს განმზადებულთა: ხოლო ვითარცა დასწერა ჯუარი ნეტარმან მან, მეყუსეულლად უჩინო იქმნეს ოცნებანი იგი ყოველნივე საეშმაკონი და დედანი იგი აღიდებდეს ღმერთსა: ხოლო მოახლებასა ოდენ ცისკრისასა მიესრულა დედათა მათ. ხოლო მე სიდონია მღუძარე ვიყავ და წმიდა ნინო ლოცუად ჰსდგა კელ გაპყრობით და აჰა მყის ვითარცა ელვა გამობრწყინდა და ზედა წარმოსდგა ქაბუკი ყოვლად ნათლითა შემკობილი, შემოსილი ცეცხლისა ზეწრითა და რქუა რაჲ სამნი სიტყუანი წმიდასა ნინოს: ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა საშინელეზისა მისგან, რომელითა იხილუებოდა სახე მისი საკვრუპლი: ხოლო ქაბუკმან მან მიჰყო კელი სუტტსა მას დიდსა და აღამაღლა სიმაღლესა შინა ზე ჰაერთა:

ხოლო მე ყოვლად განგრუნვებული და განცკბრებული სიდონია მივეახლე: და ვარქუ ესრეთ შიშით: დედოფალო ჩემო: ზოი რაჲმე არს: ესე ხოლო მან შრქუა ესოდენ: მოიდრიკე თავი ქუსყანად და მღუშარე იყავ: ხოლო იწყო ტირილად ფრიად ზარისაგან და საკვრუპლებისა მის სახილავისა: და შემდგომად მცირედისა აღდგა თვთ იგი და აღმადგინა მეცა და განვეშორენით მის აღვილისაგან:

ხოლო დედანი იგი ვითარ იყუნეს კიდერე; აჰა იხილეს მათცა სუტტი იგი ცეცხლის სახედ შეცეუალეზულ იყო და შთამოვიდოდა რეცა ძრვით სიმაღლისაგან ზე ჰაერთასა:

და შთაშოვახლა ხარისხსა მას და დადგა აღშორებულად ქუცყანით ვითარ ათორმეტ წყრთა: ნელიად ნელიად ჩამოი-
ცვალეობდა ხარისხად თვსად მონაკუტსთა ძირისა მას თვისისა-
სა დამართებით: ვითარ მოვახლა ორწყრთა ოდენ, დადგრა
უკუტ ეგრე სახედ თვნიერ მიახლებისა ვინაჲვე რომელიცა
ჰვიეს ვიდრე უკუნისამდე და საცნაურ არს ყოველთა მიერ
ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე:

ხოლო რიჟურაჟუს ოდენ ჟამსა განთიადისასა აღდგა
უკუტ მეფე გულდებული ურვათაგან მწუხარებისათა, მიჰხედ-
ნა სამოთხისა კერძო დაწყებულსა მას ეკლესიასა და იხილა
ნათელი, რამეთუ ჰკრთებოდა ვითარცა ელვაჲ ხოლო აღწევ-
ნილ იყო ქუტ სამოთხით ვიდრე ზეცაჲმდე: ხოლო ფრია-
დითა სიხარულითა იწყო მეფემან სრბით მისლვადა მკვრ-
ცხლ შეუდგა ყოველი სიმრავლე ერისაჲ ქალაქით და
გარემოთა მისთაგან: და ყოველნივე მორბიოდ ეს: ხო-
ლო ვითარცა იხილეს მრჩობლ თრკერძოვე საკვრუსლი და
საშინელი უცხოჲ სახილავი: ნათელი უსაზღვროჲ და მიუ-
წდომელი და თუალთ შეუდგამი: და სუტტი ცეცხლის სახედ
შეცვალებული და განბრწყინებული: და თვნიერ ნიეთთაჲსა
ზე ჰაერთა საკვრუსლად დამოკედებული: და კელთაგან კა-
ცობრივთაჲსა შეუხებელი: ვისნიმცა უკუტ თუალნი არა ნეტარ
იყუნეს, მის ჟამისა ყოველთა მხედველთანი: რამეთუ მეფე
და ყოველი იგი ერი და სპა შიშითა და სიხარულითა აღავსე-
ბულნი, ჰმადლობდეს და აღიდებდეს ღმერთსა მომქმედსა სა-
კვრუსლებათასა: და დიოდეს ყოველთა შორის საკვრუსელნი
ცრემლთა ნექტარებისა უფსკრულნი: და იყო სიხარული სა-
კვრუსლი და გამოუთქმელი, რომლისა საცნაურ ყოფაჲ
ულონო და შეუძლებელ არს ჩუხნგან აღწერთ: ხოლო
იქმნეს სასწაულნი დიდნი და საკვრუსლნი მას დღესა ში-
ნა: რომელნიცა ფრიადისაგან კნინოდენნი რაჲმე წარმოვა-
ჩინენით რეცა მიზეზითა სრულიად დაუწყებლობისათა რომ-
ელნიცა: აჰა ესერა საცნაურ ვყვნეთ:

სასწაულნი სუტისანი: ა

პირუტლად უკუტ მოვიდა ვინმე ჰურია შობითგან ბრმაჲ: შეიხალა უკუტ სასოგებით სუტსა მას წინამძღურობითა კაცთაჲთა და თქუა ესრეთ: ღმერთო და ძეო ღუთისაო იესო ქრისტე, უკეთუ შენ ხარქე შმარიტად ძე ღუთისა, რომელსა ესე დედაკაცი უცხოჲ*) გქადაგებს: და წინასწარმეტყუტლნი ჩუტნნი: წინათვე შოგასწავებდეს: და რომელმან გამოგვიჩინე სუტტი ესე წმიდაჲ ნათლისაჲ რომელი იხილვების უცხო სახედ ყოველთა შიერ დაღაცათუ მე ოდენ მხოლოჲ დაშთომილ ვარ უბადრუკი ხილვისაგან ნათლისაჲ მზისაჲ მწუხარებისათჳს სიბრმისაჲ ჩემისა: მომეც უკუტ ნათელი ნათელი მამისაო და ყოვლინა სოფლისაო: მომეც შობითგან ბრმასა ამას დაბნელებულსა მწუხარებითა შეპყრობილსა: ვინაჲთგან ამას უცხოჲსა სახილავსა მზისა ბრწყინუალებისაგანცა უსაწადელესსა ზედა ყოველნივე იხარებდენ: მე უკუტ უბადრუკსა რაჲ სიხარული მაქუნდეს ვინაჲთგან უღონო ვარ განცდად ბრწყინუალებამსა ნათლისა მამისასა დაღაცათუ ყურთა მესმის მეუფეო ესე აწ გამოჩენილი შენ მიერი საკურუტლი და უცხოჲ ახალი დიდებულებამჲ, გარნა ვერ სწორსა მიიღებენ გემოჲსა სიტკბოებისასა სასმენელნი და სახედველნი, რაჲ უკუტ შეესწორების ხილვით განცდასა დაბადებულთა შენთასა:

და უფროჲსდა: აწ ამის უცხოჲსა ახლისა ნათლისა სახილავისასა, ნუ დამაკლებ მე სხუათავე ყოველთა თანა ნუცა მე მეუფეო ღმერთო ყოველთაო: შეისმინე ყედრებამჲ ცოდვლისა ამის უბადრუკისა დაბნელებულისაჲ: უშურუტლ ჰყავ ჩემთვისცა საწყალობელისა ხილუჲა ამის ნათლისაჲ და უკეთუ სადაცა

*) ამის გასწორივ გვერდით მიწერილია ეს ტაეპი
 ქ: აჰა: გასინჯეთ: მკითხველნო: სასწაულები ხვეტისა:
 და დაჯერება ერისაგან: უსჯულღოს მეტის მეტი—ა:
 პირუტყვებრ—უგუნურისა: უსწველელისა ხეტის—ა:
 და მძქვან: ამოსკვნით: სურვილი: მაშინ: სასწაულთ: ქვრეტისა:

უღირს ვარ მიღებად ნათლისა ცოდვათჳს ჩემ ზედა მდებარე-
თა ესოდენ ხოლო ღირს მყავ: რათა მეგრ საკვრუტლისაჲ
ნათლისა წუთ ერთ მიმხედუტლმან: შეცა ვადიდო ყოველ-
თავე თანა ახალი ესე საკვრუტლო მოქმედებაჲ ღვთაებისა
შენისა. ხოლო შემდგომად ნებავე ღუთაებისაჲ შენისაჲ იყავნ
თუალთა ჩემთა ვითარცა პირუტლოვე: ხოლო ვითარცა ამას
ვედრებოდა გოდებითა რაჲთამე საშინელითა და საწყალო-
ბელითა ყოველთა მოიზიდვიდა გოდებად და წყალობად და
ვითარ ყოველნი ხედვიდეს, მყის ანაზღაჲთ ნათელი გამოჰკ-
რთა სუტისა მისგან და მასვე ჟამსა შინა მხედუტლო იქმნა
და სიხარულით ჰმადლობდა და აღიდებდა ღმერთსა: ვითარ-
ცა იგი უკუტ პირუტლოვე ვაკსენეთ: რაჟამს იგი გამოვიდო-
და მეფე მირიან საოცრებითა საშინელითა და ყოველისა ერისა
სიმრავლე მისთანა: რომელსა ჟამსა იხილეს სუტტი იგი
ნათლისა: მაშინ უკუტ ვინმე შემძლებელ იყოს საცნაურ
ყოფად ვითარ დაუტევნელ იყუნეს ყოველნი ადგილნი:
გზანი და ფოლოცნი და სრულიად ყოველი იგი ქალაქი სი-
მრავლესა მას ერისასა რომელნიცა სრბით მოვიდოდეს სახილა
ვისა მის სურვილითა.

სასწაული მეორე ბ:

მაშინ უკუტ იქმნა საკვრუტლი სასწაული: რამეთუ რაჟამს
იგი გამოვიდოდა ყოველი სიმრავლე დიდსა მას ხიდსა საზოგა-
დოსა, რომელიცა იყო თავსა ქალაქისასა: იყო უკუტ სიმრავ-
ლესა მას თანა ერისასა ლ დედაკაცი ვინმე ჰურიაჲ წარმართისა
კაცისა კერპთ მსახურისა მეუღლე, რომელსა ჰყვა ერთი მხო-
ლოდ შობილი ძე ვითარ ოთხისა წლისაჲ: რომელიცა უკუტ
მთვთ მეგრ მას ოდენ ჟამსა კელთა ეპყრა რაჟამს იგი გამოჰ-
დოდა ერისა მის შორის ხილვად სასწაულისა მის: ხოლო რაჟამს
იგი გამოვიდოდა ერისა მის შორის ხილვად სასწაულის მის:
ხოლო რაჟამს იგი ხიდსა მას შესაკრებელსა ყოველთასა: ჯარი
შეიქმნა დედისა მის გლახ საწყალობელისა ლ ძისა შორის შემოს-
ტქრა ჯარი მძლავრებითა სიმრავლისათა: ლ მყის განაგდე ძე იგი

საწყალობელი უბადრუკისა დედისაგან და შთავარდა მდინარესა მას შინა, რომელი იქცეოდა კლდეთა მათ შორის უფსკრულისა სახედ: ხოლო ამისსა შემდგომად რაჲღა სხუად გარნა თუ დედაჲ საწყალობელი საწყალობელისა შვილისაჲ მივეცემის შვილსა თანა სიკუდილად ესრე სახედ: რამეთუ სასტიკად დაიზახნა კმითა საღმობიერითა და საზარელითაჲ: და ძესავე თვსსა თანა შთაიგღო თავი: ამისმან ოდენ, მხოლოდ მეტყუპლმან ვითარმედ ვინაჲთგან ჟამი არღარა იყო სიტყუათა მრავლობისაჲ ვითარმედ ჭოი! უცხოო და ახალო სახილავო, ვინაჲთგან სიხარულად მოგელოდე: აჰა უკუე მიითვალე უბადრუკებითი უცხოჲ სიკუდილი დედისაჲ ძითურთ: ხოლო ვითარ შეჰგვანდა შესაბამობასა ჟამისასა: ყოველი იგისიმრავლე ერისა აღშფოთნა და განცვბრებული და განგრუნვებული მიხედვიდა საშინელებასა მას საქმისასა: ხოლო იხილეს ყოველთა, რამეთუ რაჟამს შეაერთნა მან წყალმან დედაჲ და ძე ერთბამად ეჰა უცხოჲ და განსაკვრვებელი ახალი სასწაული გარნა კაცთაგან ოდენ და არა ლუთისაგანცა, რამეთუ ძე უბადრუკებით შთავრდომილი: ხოლო დედაჲ ძისა მიმყოვრვებულადლა შთამდგები თავისაჲ, მყის ერთბამად მსწრათლ შეიერთნეს ორნივე ზოგად: და ძე წიაღთა მშობელისათა მჯდომარე იხილვებოდა: ხოლო დედაჲ წყალსა მას ზედა ყოველად უღმობელი მჯდომარე იყო: და ვითარცა მიჰყვანდეს მდინარესა ნძვნუარესა: ორნივე განსუპნებით მავლობდეს ვითარცა ხავითა რაჲთმე ყვანებულნი: და თავსა მათ ორთასავე ნათელი რაჲმე ჩამოდგომილ იყო ილიქტრიონის სახედ: და ესრეთ უკუპ იყვანებდა ნათელი იგი, რომელ დელვათაგანცა და კლდეთა მიახლებისაგან, ყოველად ყოველითუთრ უვნებელ და შეუხებელ იხილვებოდეს:

ხო ყოველნი იგი ერნი მხილველნი მათნი განკვრვებასა შეეპყრნეს, რამეთუ დაღაცათუ ფრიადნი მეცადნნი შეწევნისა თვს მათისა შთამოვიდოდეს იმიერ და ამიერ, გარნ

ყოველივე უკუს ცუდ იქმნებოდა შრომაჲ ვიდრემდის მიიწივნეს პირისპირ თვთ თავადსა მას ადგილსა სამოთხისასა, სადა იგი ეკლესია და სუსტი იყუნეს: რამეთუ მეგრ მასლა ოდენ მხოლოდ ადგილსა ნაპირად განიყვანა განგებულებით მან ძალმან საღმრთოჲმან: ხოლო ვითარცა გავიდეს დედა ძითურთ: ყოველისა უკუე ერისა თვალით მხედველობასა შინა: ნათელი უკუე იგი, რომელი ილიკტრონის სახე იყვანებდა მათ საკვრულეებით: წარვიდა და სუსტსა მას ზედა აღმართებულსა ზედ დაადგა: რომლისა ამის ხილვამან ყოველნი განკვრევაჲმან შეიპყრნა.

ესრეთ ვიდრემე ჰგიეს მოდღეინდელად დღედმდე: რამეთუ ურიცხუნი და უფროაჲსნიღა სასწაულნი მაშინცა იქმნეს რაჟამს იგი მოსდეს გუამსა მას სუსტისა ცხოველისასა და შემდგომითი შემდგომად არა ოდეს მოკლებულ არიან სასწაულნი და დიდებულებანი სუსტისა ცხოველისანი: სამარადისონი უკეთუმცა რაჲ ვის ყოვლად ჰქონებოდა გულის კმის ყოფა მგონებლობით აღწერაჲ უმჯობესისათჳს სათანადოთა მრჩობლ ორკერძოთავე საცხორებელთა პირველსხეულობითთა: შემდგომობისათჳს ჟამისა სახარულევეანად სულთა სასუფეველის ტრფიალთა: რათა შემდგომნი ნათესავნი წარკითხვითა მათითა ნათელ მყოფელსა სულისასა ნუგეშინისცემასა მოირეწოდენ: ვითარცა უკუპ არს სახე და ჩუშულებაჲ ბერძენთა ნათესავისაჲ: რამეთუ იგინი ესე ვითარცა კინოდენტაცა არა თანა ვიდრემე წარმკდელნი რაჲსავე სასწაულთაგანისაჲ ახარებენ გულთა და ანაყოფებენ სულთა ყოველით კერძოვე მიმდემად მოსთულებითა სათანადოთა უსაჭიროეს უკუპ და სათანადო ვიდრემე ვჰგონ ჰოი საყუარელნო: საცნაურ ყოფისათჳს სადა მდებარეობასა კუართისათჳს ცხოველისა მის ღუთაებისა გარე შემკუსტლისა: რომელი ესე უკუპ მრავლით კერძო, გუსწავების და საცნაურ არს: რამეთუ ჯეროვან და ქეშმარიტ ესრეთ არს: რათა სადაცა საღმრთოჲ საუნჯე მდებარეობდეს: მუნცაჲ ზედა მიმდემად საღმრთო: ნათელი დაუვსებელად მნათებიარობდეს და ცეცხლისა სუსტი ელვის სახედ სამარადისოდ ზედა ეგზებოდეს: ურწმუნოთა ვიდრემე გულებსა შემწველად: ხოლო მორწმუნეთა ნათელ მყოფელად ამას თანა უკუპ გუაქუს სხუაჲცა სასწაული საცნაურ მყოფელად გამომაცხადებელ სუსტისა ცხოველისა უეჭუტლად ქუსშემდებარეობისა თჳს: რამეთუ ნესტვი იგი რომელი ჩრდილოეთით ყოველთა მიერ სახილულ არს: მრავალ გზის უკუპ კდილან უმეცრებით და ყოფისა მის ნესტუსასა კირითა გინა ცარცით რომელი უკუპ მასვე ჟამსა აღმოხეთქის რაჟამს ვინ კელ ყვის დაყოფად რამეთუ ესე საქმე უეჭუტ-

ლსა და ცხადსა მუნ მდგომარეობასა მოასწავებს: უკეთუ არა სხუა რამეცა იყო მიზეზი ნესტვსა მის დაყოფისა არ თავსმდებელი.

ხოლო უკეთუ სუსტისა თვს საექუსლ ვჭგონოთ: მაშა სუსტი იგი ზე ჰაერთა დამოკიდებულობს ვითარცა ყოველთა უწყით: ხოლო ესე სასწაული კუართისა მის საუფლოსა არს უექუსლი და უცთომელი: ხოლო ესეცა უკუს ვიდრემე სათანადო არს: რამეთუ უკეთუ ვინმე მკლებიერობდეს სასწაულთა თვს კუართისა საღმრთოესათა: ესრეთ უკუს უწყოდენ ესე ვითარისა მეძიებელმან: რამეთუ ვითარცა მამა და ძე ერთ არიან დიდებითა და ყოველივე მოქმედება მამისა და ძისა და ყოველივე მოქმედება მამისა და ძისა არს: და ყოველივე მოქმედება ძისა და მამისა არს: ესრე სახედვე უკუს სუსტისა ცხოვლისა: უექუსლად კუართისა საუფლოესად შეჰრაცხეთ და კუართისა ვიდრემე სუსტისა ცხოვლისად და ვითარცა იგი მამა და ძე ერთ არიან განუყოფელად ლუთაებითა: ვერეთვე უკუს სუსტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოესა დიდებულებანი და საკვრუსლებანი განუყოფელ და ერთ არიან:

და თვთ მებრ კუართი წმიდასა საუფლოსა საჩინოდ არავე ყოფილ არს: ესეცა არს მიზეზ: ნუ უკუს და ამასაც ვინმე მეტყუსლებდეს: თუ აწ ვითარ არღარა იქმნებიან სასწაულნიო: გონიერად უკუს ისმინეთ და განკრძალულად გულისკმა ჰყავთ ესე ვითარისა მეძიებელთა: წერილ არს უკუს სასწაულნი ურწმუნოთა არიან და არა მორწმუნეთა თვსო:

და ნუცალა უკუს ვიდრემე აქამომდის დადგების სიტყუაჲ ჩუენი არამედ თვთ მებრ აწცა ქეშმარიტად მრავალნი და ურიცხვნი სასწაულნი და ფრიადნი საკვრუსლებანი ქმნილ არიან და იქმნებიან ჟამთა ამათცა შემდგომთა ჩუენისა ნათესავისა ზე: რამეთუ არა თუ საკვრუსლებათა ლუთისათა უდესმე მოაკლდების გინათუ დასცხრებიან: გარნა სასოებათა ჩუენთა ნაკლულევანება და შემცირება და უყოფს მღინა-

ჩეობითსა პირსა სასწაულთაჲსა: ხოლო უკეთუ დლით დღეცხ
 იქმნებოდინ ვითარცა პირუტლცა და მრავალ გზის მითქუამს:
 არავის უკუტ ჰქონებიეს ამის გულს მოდგინებაჲ: რათამცა
 საუნჯედ კეთილად მომავალთა ნათესავთა თჳს დამარხვა აღწე-
 რილად ძეგლად: ხოლო ჩუტნ ზოგსრე სასოებით მეცადინთა
 სურვილთა წადიერებისათა ვიწყოთ მცირედ წარმოჩინად:
 რომელთამე უკუტ თვთ ჩუტნ მიერ ხილულთა: ხოლო
 რომელთამე სმენილთა სარწმუნოთა და ქეშმარიტსა კაცთა
 მიერ:

სასწაული მეხუთე (სვეტის ცხოველისა)

ხოლო პირუტლ და ვიწყოთ პირუტლ ქმნულთავე და
 შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ შესაბამი ქმნილებისა:
 რამეთუ თქმულ არს ესე ვითარმედ პირუტლთავე მათ ჟამთა
 დედოფალი ვინმე ყოფილ არს სახელით სუჯის და ქუტმოთა
 უკუტ კახეთისა ქუტყანათაჲთ მომავალი: ამის მდინარისჲ
 პირსა მოსრულ არს: რომელ არს არაგვი და საკვრუტლი
 რაჲმე განძვინებაჲ ჰქონებია მას ჟამსა შინა უკუტ უმეტეს
 ჩუტულებისა: და ერი და ჯალაბი მისი მრავალ სახედ მრავ-
 ლისა ღონის ძიებითა ცდილა გამოსლვასაჲ: ხოლო ვითარცა
 უქმქმნილ არს ყოველი გულს მოდგინებაჲ მათი: შემდგომად
 დედოფალი იგი ღუთისმოყვარე სასოებითა კეთილითა
 ჰუნისაგან თვისისა გარდამოსრულ არს და მუკლთ მოყრით
 ცრემლითა მკურვალითა ვედრებულ არს სუტისა ცხოველი-
 სადა: ესრეთ უკუტ სარწმუნოებითა მტკიცითა სასოებაჲ შე-
 მოსილი წყალსა მას შთამოსრულ არს ჰუნესავე ზედა აღმკე-
 დრებული:

და მსგავსად პირუტლისა მის ჩუტულებისა საკვრუტლე-
 ბისა: მასვე ღმერთსა აქაც უკუტ უჩვენებიეს სუტისაჲ ცხო-
 ვლისა მიერ: რომელ იგი ძუტლ ოდესმე ისრაილთა ზედა
 საკვრუტლთ მოქმედებდა: რაჟამს იგი მისვე სუტისაჲ წინა
 მძღრობითა მოგზაურობდეს:

რაჟამს იგი ზღუასა მეწამულსა განვიდეს და წყალი იგი
 ექმნეს ზღუდე მარჯუნით და ზღუდე მარცხენით: მაშინცა

უკუტ ესევე სუსტი ნათლისა წინა უძლოდა: რომლისა-
მიზეზითა და სასოებითა აწ ამან დედოფალმან რაჟამს ამას
მდინარესა საკვრუსლად განცოფებულსა იგივე უკუტ შეკდე
მულემა თავს იღვა და აქცაჲ ექმნა ზღუდე მარჯუტნით და
ზღუდე მარცხენით: ვიდრემდის იგი თავადი და ყოველი ერი
შისი წიაღკდეს ამიერ დაულტოველად და ყოველი იგი ერნი
და რომელთა ესმა და რომელთა იხილეს დედოფლისა თანა
ადიდებდეს ღებრთსა და სუსტსა ცხოველსაჲ:

ესე უკუტ სასწაულნი საყუარელნი: ისრაილთა მათ
ზედა ქმნილისა სასწაულისა არა რაჟთ უკუტ უმცირეს არს:
არამედ კინლა და უმეტესა ვჭონე: ვინაჲთგან იგი მდოვრად
მდგომი ზღუდა იყო ხოლო ესე მქნარედ მავალი ვითარცა
მგელი განძვინებული: ხოლო ორივე ღუთისა მიერი იყო:

სასწაული მეექვსე

ხოლო უკუტ ესე სასწაული რომლისა აწ მგულვებნისა წა-
რმოთქმა ა: კინლაღ ყოველთაგან სეცნეურ არს ვინაჲთგან ყო-
ველთა შორის სმენილ არს რაჟამსუკუტ იგი მიშუტბითა ღუთი-
სათა თურქნი შემოვიდეს ქუტყანასა ამას ჩუტნსა მთავრისა მის
შათისა სულტანისთანა წინა მძღობითა ბელიარისათა და
კოდვათა ჩუტნთა გარდარეულებისა ძღრით: მიეცა უკუტ
ნათესავი ესე ჩუტნი მიშუტბითაჲ ღუთისაჲთა და ვითარცა
მოვიდეს: შემოკდეს ამას კათოლიკესა ეკლესიასა შინა:
ბარბაროზებრივითა მით უფროსლა მკეცებრივითა მძვნარე-
ბითა და შემპყრობილნი ჩუტნთა ნათესავთაგანის კაცისა:
ჰკითხვიდეს უკუტ თუ რაჲ არს კონქსა ამას შეკრძალულისა
შინა: ხოლო იგინი მოუგებდეს ვითარცა უწყოდეს სუსტისა
შესაბამად ქეშმარიტებასა: ხოლო ვინაჲთგან დიდებულებანი
ღუთისანი ურწმუნოთა შორის ისაკვრუსლთამოქმედებიან:
ამისთვისაც უკუტ ზოგსრე განიფრთხო სულტანმან და მოე-
გო ცნობასა მას და გულისკმა ჰყო უექუსლი დიდებულებაჲ
ღუთისა დაფარულსა მას გოდოლსა და ყოველად შეუხებელად
და მიუახლებელად ღტოლვრლ იქმნა და მიჰმართა ზემო კე-
რძო ქართლისა: და არა უგნურებით გულის კმის მყოფელმან

კაცთა დაუტევა მკუტლად ეკლესიისა რამეთუ ყოვლისავე
შუშნიერება რა განიცადა ეკლესიისა და პალატისა არა
თვნიერ მოქმედებისა ლუთისა შერაცხა: ხოლო ვითარცა
წარვიდა სულტანი: შემდგომად მისსა მოვიდაჲ მეუღლე
სულტანისა შაჰრი-სათუნ: და შემორავიდა შორის ეკლესიისა:
საცნაურ უყო ყოველთავე დატევებულმან მან ებგურმან
სულტანისამან შაჰრი-სათუნს: ხოლო ვითარცა უწყით ყოვე-
ლთა გულის-პობაჲ დედათა და უკადნიერესად კელ ყოფაჲ
ყოველთავე მიმართ მოქმედებათა: ამისთვისცა უკუ ურწმუნ-
ნობებით დაბრძობილმან მან ურწმუნობად და სიჩქურად
შერაცხა ყოველივე სიტყუათა მისთა მეტყუტლებაჲ: რამეთუ
ჰგონებდა უბადრუკი იგი საუნჯესა დიდძალსა დაფარულსა
ნამდვლვე საუნჯესა მას ფას დაუდებელსა:

ხოლო ვინაჲთგან ესრეთ მმეკუტლეობდა დრკუჲ იგი მოს-
წრაფებით უბრძანა უბადრუკმან მან განხილვად საუნჯისა
მის: ზეცისა ძალთაგან ოდენ მისაახლებელსა: ხოლო სიტ-
ყუასავე თანა შემზადნეს კიბენი აღსაფალნი განსახილვად და
ვითარცა მეცადინეობდეს შესლვისა თვს: ეჰა სასწაული საკვ-
რუტლი: რამეთუ მყის გარდამოკრთა სუტტისა მისგან ცეც-
ხლი რისხვისა ლუთისა და რაოდენნიცა პოვნა ძირსა მის
სუტტისასა ბარბაროზნი უწყალოდ შექამნა: უწყალონი იგი
და სრულიად განხრწნა: ხოლო ყოველნი იგი: რომელნიცა
იყუნეს სირცხვლეულნი და კდემულნი მართლ უკუნ იქ-
ცეს: რამეთუ რომელთა იხილეს შიში და ძრწოლა შეედვა
და ლტოლვილ იქმნნეს არღარას მკადრენი შეხებად რასათვსვე:

ხოლო დედაკაცი იგი უკეთური უფროსლაჲ განძნდა
მხილებისა და სინანულისა წილ: ვითარცა ძუ ლომი: ზოი:
სიმძნვარესა უბადრუკისა მის დედაკაცისასა: რამეთუ მყის
მოიკუთა შურმან უღმრთოებისამან და აღივსო გულის წყრო-
მიტა და უბრძანა ცეცხლისა წილ შურისეგება ცეცხლითა:
და კაცთადა დაწვისა წილ დაწვაჲ ტაძრისა მის პა-
ტიოსნისა და წარწყმედა შუშნიერებას მას მისსა საკვრუტ-

ლსა: ვინაჲთგან განსახილველისა მისგან სასოებისა სირცხვი-
ლელელი კუბულ იქმნა; ხოლო იხილეთ აქაცა ნაცვლისგება
შურისგებითი ღუთისა საბაოთისა თუ ვითარ არა ჰყენა სასჯე-
ლმან შურის მეძიებელსა მას ზედა ღუთისა საკრულღება-
თასა: რამეთუ მყის მასვე ეამსა ეწია რისხუა ღუთისა ზეგარ-
დამო და შემაკადრებელსა მას სუტისა ცხოველისასა ცეც-
ხლი შევედვა ნაწლევთა და ყოველთავე შინაგანთა მისთა
უწყალოდ შემქამელი და მყის ლტოლვილმან სპარსეთადვე
მგზავრ სრბოლობასაჲ შინა: შევედრა სული თვისი მის მიერ
სათნო ყოფილსა სატანასა: რამეთუ ვერცა სულტანი მოეს-
წრა ცოცხალსა მას უბადრუკი და სულტანიცა და ლაშქარი
მათი ყოველნი ლტოლვილ იქმნეს ღუთისა რისხვისაგან
მერტნი: რამეთუ ვითარ მცენიერ ვართ! მცირედნილა განე-
რნის: რომელნი მიიწიენეს თვისსა ქუსყანასა: ხოლო ნათესა-
ენი ჩუხნი დაშთომილნი სიხარულით აღიდებდეს ღმერთსა
და სუტსა ცხოველსა რამეთუ ესე ყოველთა მიერ უეჭულ
საცნაურ არს: რომელ მრავალთა და რიცხუთა და სმენილ
არს გალობა: საღმრთოთა რამეთუ სიტკბოებითა შეზავებული
ანგელოზთა მიერი უხილავად:

სასწაული მეშვიდე

და ეკლესიისა გუმბადი განღებულთა ხილულ არს: რა-
მეთუ ბერი ვინმე იყო მონაზონი სახელით კოზმან: რომელი
იგი თვთ შეცაჲ ვიხილევ: კაცი ყოვლად ქეშმარიტი და ყოვ-
ლად უზაკველი: იგი უკუს იტყოდა ქეშმარიტებით ესრეთ:
ვითარმედ ერთ გზის უკუს ვიყავ რაჲ ეკლესიასა შინა, მყის ანა-
ზდაჲთ გრგვნვაჲ შეიქმნა, და ქუეყანა შეიძრაჲ საკრველად:
რომლისა საშინელებისა და ზარისა მისგან ლტოლვილი რაჲ
დენ მეძლო: ვარე გამოვედ სრბობითო; ხოლო ვითარცა გა-
მოვედ: ვიხილევ საკრველი რამეთუ ნათლისა სუტი ცეც-
ხლის სახედ ცადმდე აღწევნული და ეკლესიისა გუმბადი
სრულიად განღებული, და ეკლესიასა შინა ჩამოდგომილი
ვიხილევ საშინელი იგი და საზარელი სუტი: ხოლო ვითარცა
ვცან რომელ არცა ძრვაჲ ყოფილ იყო: და არცა რაჲ ვის

ყოვლად გრძნობაჲ ჰქონებოდა კაცთაგანსა; მაშინლა უკუტ მოვეგე გონებასა, და გულის კმაჲ ვყავ ძალი დიდებულებისაჲ ღუთისა: და კელთა მიერ აღპყრობილთა: ვადიდე ღმერთი და სუტტისა ცხოველისა საკვრველებო:

სასწაული მერვე

კულაღ სხუჲ ბერი იყო მნათე ამის ეკლესიასაჲ: რომელსა მეორედად უკუტ სახელად ეწოდებოდა კეთილი: რომელი იგიცა ფრიად ჰეშმარიტებისა მეტყუტლი იყო და კაცო სარწმუნოჲ: რომელიცა იტყოდა ესრეთ: ვითარმედ მოწმობითა ღუთისათაჲ უწუველად (უტყუტლსა) ვიტყვ: რამეთუ რიცხვი ყოვლად არა უწყა თუ რაოდენ გზის ღამით მისრულსა კართა ზედა ეკლესიისათა რეკისათვს ჟამსა ლოცვისასა: შიგნით სუტტსა მას გარემო საკვრუტლითა რაჲთმე სიტკბოებითა შეწყობილი გალობაჲ შემსგავსებული ანგელოზთაჲ ვითარცა შეჰგავს ნამდვლვე ანგელოზთაჲსა; მრავალ გზის და უფროსლა ღამეთა მომისმენისო: და თვთ შინა ჩემსა კელანსაცა მისმიესო: და ესე ხოლო არა უკუტ მისოდენ არამედ და სხუთაგანცა მრავალთა მოსმენილ ვისწავე უკუტ რომელთა მრავალ გზის მოესმინა: ესე უკუტ ჰეშმარიტი და უტყუტლი გვთქუამს:

სასწაული მეცხრე

ხოლო ერთ გზის თვთ რომელ მე შემემთხვა სათანადო უკუტ ვგონე იგიცა არა დატევებად თვნიერ მოკსენებისა: ჟამსა მას სიყრმისა ჩემისასა; რაჟამს იგი ნეტარი მამის ძმაჲ ჩემი სვმონ: პირუტლ პატრიაქობისა მისისა: მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბასსა არმაზს: მაშინ უკუტ მე კახეთით მოვიდოდი და ერთი კაცი თანა მყუანდა ცხენისა თანა ღვინისა მიერ დატვირთულისაჲ:

სასწაული მეათე

ხოლო კაცი იგი იყო ყოვლად საწყალი ადგილისა მათისაჲ: რომელსა ყოვლადვე მდინარე წყალი არ განეგლო ოდესცა: ხოლო ჟამი იგი იყო გაზაფხულისაჲ: რომელსა შინა იქმნების მდინარეობაჲ წყალთა ფრიადი: და ვითარცა მოვიწიენით სოფელსა მას მახლობელსა არაგვისსა წიწამურს: შემწუხრებულ იყო ესრეთ: რომელ ყოველ არლარა ჩნდა:

ხოლო ვითარცა პირსაჲ მდინარისასა მოვიწინით: მივხედენ
 კაცსა მას და მთოვარისა მიერ ვიხილევ რაჰეთუ თვალნი და-
 ეწუხნეს ყოვლად და ვითარცა ბრმაჲ მჯდომარე იყო ცხენ-
 სა ზედა: და ვითარცა ვჰკითხე მიზეზი: მომიგო ეს-
 რეთა: ვითარმედ: რაჲმსცა მდინარესა წყალსა ვიხილავ მყის
 დაბრუებული ცხენისაგან გარდამოვიქრები: უსასო ქმნილო
 ცხორებისაგანო: ხოლო მე ვითარცა მესმა ესე: ფრიად
 შეშინებულ ვიქმენ: რამეთუ მდინარე იგი ვითარცა ზღუაჲ
 უფროს ზომისა გარდაცემულ და განდიდებულ იყო და
 მდიდროოდა საკურსლად, გარნა ვინაჲთგან სადავე ყოვლი-
 თურთ დგომისაგან უღონო ვიყავ: მოვჰმართე სასოებითა
 სუსტისა ცხოველისაჲთა: ხოლო წყალსა ამერით მდგომარენი
 კაცნი: მთოვარისა მიერ მხედვიდეს და რაოდენ შეეძლო
 მაყენებდეს ზახილითა ფრიადითა და ესრეთ კმაგუცემდეს;
 ვითარმედ ღდეს მრავალნი და ურიცხენი მეცადინნი გამოს-
 ლვისა თჳს უქმად შექცეულ არიან: და რამეთუ ცხოვრები-
 საგანცა კუბულ უქმნიანო: ხოლო მე იძულებულმან ვინაჲვე
 დგომისაგან: ხოლო უფროჲსდა სასოებითა განმტკიცებულმან
 სუსტისა ცხოველისაჲთა: მოჰვმართე და ზე გარდამოსრულმან
 ცხენისაგან მუკლნი მოვიდრიკენ და ცრემლით შეუვრდი
 სუსტსა ცხოველსა და ჯუარსა პატიოსანსა, და წყალთა ზე-
 და განვხედენ ნათელსა მთოვარისასა, და სადა უკუს რეცა უფ-
 როჲ ერთ პირად შეიყრებოდა წყალი; ცხენი უკუს დავაუღლენ
 ურთიერთარს და შთამოვედ სასოებითა და მინდობითა
 სუსტისა ცხოველისაჲთა; სხჳსა ყოვლისაგნვე უღონო ქმი-
 ლი: და არა რაჲ უწყი ქეშმარიტებაჲმან ღუთისამან
 თუ ვითარ გამოვედ: ესე ოდენ უწყი მხოლოდ თუალნი
 და გონებაჲ ჩემი სუსტსა ცხოველსა და ჯუარსა პატი-
 ოსანსა შემსკუალულ იყუნეს: და არა რაჲ უწყი ქეშმარი-
 ტებაჲმან ღუთისამან, თუ ვითარ გამოვედ, ესე ოდენ უწყი
 მხოლოდ, რომელ თვალნი და გონებაჲ ჩუნი სუსტსა
 ცხოველსა, და ჯუარსა პატიოსანსა შემსკუალულ იყუნეს,

არა რაჲ უწყი ღუთისამან მხოლომან უწყის თუ ვითარ გამოვედით: რამეთუ ყოლად ვერა რას ვაგრძნობდ, ვერცა ცურვასა ცხენთასა: ვერცა აერბასა ფრკივ; არცა დაბრკოლებულარან არცაჲ გამრუდებულ არან: ესე უწყი რომელ ყოვლად ყოვლისავე ურვისაგან უღმობელნი გამოვედით მშჯლობით და უგრძნობელად რაჲსავე ჭირისა ცნობრსაგან: გარნა თუ ვითარ გამოვედით: კუალადცა ვსთქუა არა რაჲ უწყი: ღმერთმან უწყის: და ესელა რომელ ცხენნი ესე ზომ საწყალნი იყუნეს: რომელ კმელადცა დაუბრკოლებლად თითოეულსაცა ნაბიჯსა ზედა ვერ მავალობდიან: ხოლო ვინაჲთგან ქეშმარიტისაჲ ჯერ არს თქმაჲ ვთქუა მიზეზიცა უღმობელად წიაღმყვანებელისაჲ ჩემისაჲ: რამეთუ ვიდრემდის წყლისა იმერთ ვიყავ ნათელსა მთოვარისასა ვჰხედვედი: ხოლო წყლისა რა შთამოვჰკედ არღარა მთოვარისასა ვხედვედი არამედ სხუასა რასამე ნათელსა ვხედვედი უკლესიასა ზედა მდგომარესა საკვრუპლითა რაჲთამეღ უცხოჲთა ბრწყინულებითა აელვებულსა ცეცხლის სახითა სხივითა: ვიდრემდის წყლისა მის მდინარესა შინა ვმოგზაურობდით: ესრეთ იხილვებოდა: ხოლო ვითარცა გამოვედით: იგივე ჩუპულებისაგებრი ნათელი მთოვარისა იხილვებოდა: ხოლო მე გულის კმა ვჰყავ ძალი ჩუპნებისაჲ უცხოჲსა ამის ნათლისა თუ რაჲ იყო მიზეზი ნათლისა მის და ჩუპნისა უღმობელად წიაღმყვანებელისაჲ და რაოდენ ჩემგან ჯერ იყო შესაბამად ეამისაჲ მის კუალადცა ზე გარდამოსრულმან და დავრდომით თაყუანისმცემელმან სახიერებაჲ ღუთისაჲ: სუტტი ცხოველი და ჯუარი პატროსანი ვადიდენ და ყოველნი რომელთაცა უკუტ ესმა ადიდებდეს ღმერთსა:

ხოლო ამისიცა უკუტ სათანადო არს საცნაურ ყოფაჲ და უფროჲსლა ყოვლისასა: რამეთუ ესე სუტტი წმიდა და ცხოველი მრავალ გზის უკუტ ხილულ არს მრავალთაგან გარნა თუ ვითარ სახედ: აჲა ესე რა განვაცხადოთ, რამეთუ თვთ ვითარცა სახელიდების ყოველთაგან სუტტად ნათლი-

სად და ცეცხლისად ესრეთ მრავალთაგან ხილულ არს: და უფროდსდა დასაბამითგანვე იხილვების რაჟამს იგი ძულს ოდესმე ისრაელთა წინა უძლოდა: არამედ აწ აქა უფროდსად სახედ ბერისა კაცისად იხილვების ყოველთაგან: ხოლო თუ რაჲ წარმოჩენაჲ არს: სახისა ამის წარმოჩენა ზე გამოსახუაჲ: ძალისაებრ ჩუწნისაჲ საცნაურ ვჰყოთ და გამოვაცხადოთ სიყუარულისა თქუწნისა მომართ უკეთუ მისვე სუტისა წმიდისა ნათელმან განაბრძენს გონებანი ჩუწნნი გულისკმის ყოფად: რამეთუ რომელნიცა ჰეშმარიტნი ქრისტიანენი ვართ: ყოველთავე უწყით სამებისა წმიდისა ძალი: რამეთუ მამა, ძე და სული წმიდა, დაღაცათუ სამ არს გუამოვნებითა: გარნა უეჭუწელად ერთ არს ღუთაებითა სამივე იგი: ერთი ღმერთი: ერთი ძლიერებაჲ: ერთი ნათელი: სამი ნათელი: და სამივე ესე ერთი ნათელი ერთითა მით ღუთაებითა:

ესე სუტტი წმიდაჲ ნათლისაჲ ერთ ნათლად შეერთებულრ სამებისა წმიდისა სახედ ერთ ნათელად გამოშახველად შემოკრბების უეჭუწლად: და სახედ ბერისა კაცისად ხილვაჲ ესრეთ გულისკმა ვჰყოთ. ვითარცა მოასწავებს და საცნაურ ჰყოფს წინასწარმეტყულო დანიელ. მეორედ მოსვლისა თჳს: ძულსა დღეთასა: ვითარცა მაშინ სამებისა წმიდისა ერთ ნათელი ძულლი დღეთა მოვალს: ესრეთვე აწ სამებისა წმიდისა ერთ ნათელი, ესე სუტტი ნათლისა: ვითარცა ძულლი დღეთა იხილვების, და ეჩუწნების მათ რომელნიც ღირს არიან ხილვისა მისისა; და ვითარ მე ვჰგონებ ესე არს ჰეშმარიტი და უეჭუწლი გზაჲ საძიებელისაჲ: უკეთუ არა; მაშა რადმცა იყო საყუარელნო სხუაჲ სუტისა ცხოველისა ხილვაჲ სახედ მიწხუცებულისა: რომელთა მრავალ გზის უხილვს, ვითარცა ყოვლადვე ვთქუ: ხოლო აწ ესეცა წარმოვაჩინოთ. თუ ვითარ ანუ ვიეთგან: განა ოდეს ხილულ არს ესრე სახედ ესე სუტტი წმიდაჲ: რამეთუ იგივე პირულო ესენებულნი ბერნიცა კოზმან და კეთილი იტყოდეს მრავალგზის ხილვასა სახედ ძულლისა დღეთაჲსა, რომელსა მე ეამსა

თავსა სუტისასა მჯდომარედ, და ოდესმე ეკლესიასა შინა მყოფად და სხუასა ჟამსა სუტისა წინა მჯდომარედ: გარნა უფროჲს ხოლო სუტისა თავსა ზედა მჯდომარედ:

დავით მეფის (აღმაშენებელის) მიერ ნახული ჩუწება სიზმრად:

რამეთუ დიდი იგი მეფეთა ხოლო სანატრელი დავით: სხუაჲსა ყოველსა ზედა უფროჲს ყოველთა კაცთაჲსა მსასოებელი ღუთისაჲ და მკურვალედ ტრფი-
ალი ღუთის მსახურებისაჲ: გარნა უკუ სოლო ზმის სუტისა ცხოველისა მიმართ მხოლოდ ვანდრე-
კილოდა: რეცა გონებით და ესრეთ ორგულეებით მეტყუესობ-
და ვითარმედ: რაჲ უწყი თუ რაჲ არს კონქსა იმას შინა ანუ რაჲსა თაყუანისცემო: და ესე იქმნა ბირებითა მისითა, რომელი იგი მბრძოლი არს დაუცხრომელი ნათესავისაჲ ჩუწ-
ნისა: და უფროჲსლსა წმიდათა და ღუთის მსახურთა კაცთაჲ ხოლო ერთ გზის უკუ ქუშმოჲთა კერძოთაჲთ აღმომავალი ესე ღუთის მოყუარე მეფე, შემოვიდა ეკლისიად და თანა წარკდა სუტისა ცხოველისა, წინაშე ლოცვისა: მითვე დაბ-
რკოლებითა გონებისა ქონებითა და ვითარცა ეკლესიაჲ მო-
ილოცა წარვიდა; ხოლო მას დამესა მირულებულსაჲ ეჩუწნა ესე სახედ. ვითარმცა ამას სუტისა ზედა, ზე თავსა ზედა მჯდომარე იყო მოხუცებული ვინმე სახედ ძუძლისა დღეთასაჲ და ბრწყინვალეებისაგან ნათლისა მის: რომელ შანთნი ცეცხ-
ლისანი ჰკრთებოდეს ქლვის სახედ: თუალნი კაცობრივნი ვერ შემძლებელ იყუნეს განცდად პირსა მისსა ყოვლადვე: და ვი-
თარ განკრძალულ იყო ხილვასა მისსა მეფე შეშინებული: კმაჲ უყო მან ზედაჲთ სსშინელებით და ჰრქუა: დავით ხო-
ლო მან შიშით მიუგო და ჰრქუა: ვინ ხარ შენ უფალო: ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: დავით: არა უწყია თუ ვინა ვარ მე ვარ აქა შინა; რომელსა ესე მხედავ: და ესე უწყოდე შენ და ყოველთა: რამეთუ რომელსა აქუნდეს სასოებაჲ ჩემდა მო-
მართ მტკიცე არა ოდეს სირცხვილეულ იქმნეს: და ნუ ურ-
წმუნოვებ ჩემდა მომართ ყოვლადვე: რამეთუ რომელნიცა ურ-
წმუნოვებდენ მიიღონ თავისა თვისისა სასჯელი: ხოლო და-

ვითს მეფესა ვითარცა განუჰკრთა ძილი: შეშინებულ იყო ფრიად და მეყუსეულად აღსდგა ცხედრისაგან რომელსა, და ამკედრებულ იყო ჰუნესა ზედა თვისსა ღამე ყოლ, მოიწია ცისკრისა ღოცვასა კათოლიკე ეკლესიად: ხოლო იხილა იოანე პატრიაქმან და ყოველთა მცხეთისა მოყუასთა უყამოჲ იგი და უცხოჲ მეფისაჲ მოსლვაჲ: ყოველნი განკვრდეს და შეძრწუნდეს: მოვიდა უკუ ს დავით მეფე წინაშე სუსტისა ცხოველისა: დავრდომილი პირსა ზედა თვისსა ცრემლითა იატაკსა და აღტობდა და ითხოვდა მკურვალედ შენდობასაჲ პირუსლთა ცთომათა თვის და ურწმუნოებისა: ხოლო იოანე პატრიაქი იკითხვდა მეფისაგან თუ რაჲ იხილეო; ხოლო მეფემან მიუთხრა იგი მისდა ჩუწნებული ზედ მიწევნით და მეფე პატრიაქისა თანა და ყოველივე ერთობით ზოგად აღიდებდეს ღმერთსა და სუსტსა ცხოველსა:

ფიცი ეპისკოპოსთა წინაშე სუსტის ცხოველისა და კურთხევაჲ მათი.

ხოლო შეუდგინო ესეცაჲ: რამეთუ*) დღეთა მათ პატრიაქობისა ჩემისათა რაჲმს ვიკურთხე: მას ეამსა შინა უკუ ვინებე ებისკოპოსთა სხუათაცა კურთხევაჲ: რომელ იცა უკურთხეველად ვჰპოვენ: ხოლო ერთი მათ თანა ებისკოპოსი უკურთხეველი იყო რუისისა საყდარისაჲ: ხოლო საყდრისა მის ზრუნვაჲ და საურავი: კელეყო დედოფალსა ბურდუხანსა: ხოლო ვითარცა არს წესი და ჩუსულეობაჲ დასაბამითგან ამის კათოლიკე ეკლესია: არა ვიდრე მე ვგრეთ მომიკდა მის მრუელისა ებისკოპოსისაჲ ტიმოთეს კურთხევაჲ: ზამთრისაცა სასტიკებისაგან: და დედოფლისაცა იძულებითა: არამედ წინა უკმო ვჰყავ: რამეთუ თვთ თავისა საყდარსა შინა ვაკურთხე დედოფლისაცა სხუაშნითა: და მიზეზითა ზამთრის სიმძნვარისაჲთა: რამეთუ წესი და ჩუსულეობაჲ ამის კათოლიკე ეკლესიისა: ესე ყოფილ არს დასაბამითგან რათა კურთხევადნი ებისკოპოსნი წინაშე სუსტისა ცხოველისა მოვიდოდინ და აღთქმასა ჰყოფდენ მარდონისა

*) ამის გასწვრივ ესე სწერია: „ქ. რუის: კათალიკოზმან; მროველი: აკურთხა:“

სარწმუნოებისა თვს და ერთგულებისა თვს კათოლიკე ეკლესიისა და თავსა და სულისა დადებისათ თვს ვიდრე სისხლთა დათხევადმდე პატრიარქისა თვს და სღმრთოთა წესთა დაცვისა თვს: და ესრეთლა კურთხევა ამას თავადსა საყდარსა შინა: ხოლო ესე წესი მე უკუტ და ვკსენ უმეცრებით: იმით ზემოათ წერილითა იძულებითა: რამეთუ ვითარცა ვაკურთხე თვსსა საყდარსა შინა მყის მასვე ეამსა ღუთის მოყუარესა ვისმე სარწმუნოსა კაცსა: თავადსა საყდრისა შვლსა ეკლესიისა ქადაგსა: მას ღამეს ძილსა შინა ეჩუტნა სუტტი ცხოველი სახედ მოხუცებულისა ბერისა კაცისა: მიუთხრობელითა რაათმე ბრწყინვალეებითა და ესრეთ ჰრქუა მას: ვითარმედ აწ რომელი ესე ყო ნიკოლოზ ქართლისა კათალიკოზმან: თვნიერ წესისა და ჩუტლებისა ქმნილი ესე კურთხევაჲ: აწ სულგრძელებით თავსმიც უმეცრებისათვს თქუტნისა და თანაწარვიკდი კაცთ მოყუარებით აწინდელსა ცოომასა: ხოლო კუალად ნუმცალა ოდეს კანნიერებულ არს: რათამცა ვბისკოპოსი თვნიერ: თვნიერ საყდრისა ჩემისა: ეგრეთ იკურთხა და დიდებაჲ სახელისა ჩემისაჲ კიდე გენებულ იქმნა: ანუ ვითარ ჰგონებთ შეურაცხებასა საყდრისა ჩემისასა, ღუმილით თანა წარკდასა: ესე უწყოდეთ: რომელს ამიერითგან არღარა ოდეს დავიდუმო და არცა თავს ვიდვა: ყოველთა ამის საქმისა მკადრებელთა თვს: ხოლო ჩუტნ ვითარცა გუტსმა ესე შეშინებულნი ვადიდებლით ღმერთსა და სუტტსა ცხოველსა:

ესე უკუტ საცნაურ მყოფელმან ზღვსა ვითარებათა: მან მკირდნი ვიდრემე წუტინი ვიპე ვშუენ; რეცა გამომსახველმან პელაგონისა ვრცელობისამან და უსაზღვროობის მქონისა უფსკრულისაგან: რაბამობანი უკუტ ვიდრემე სიმდიდრისა მისისანი: კნინითა ცუარითა წარმოვაჩინენ: რათა კეთილად მრწმუნებელთა გუტსა დაუწყუტდელად ღუარებრ მოდენითა: სამარადისოდ უშურველად ნეკტაროოდის; ხოლო ურწმუნოთა თვს კაპან ნაპრალობით: კლდეა უღაღ, ტქმნებოდის: შემშთვართა სიცხისაგან ურწყულობათაჲსა: რამე

თუ საცნაურ უკუპ ვიდრემე არს ვითარმედ, ყოველსა სულსა გონებასა ურწმუნოების მქონსა ესე ვითარი სიყმილი შეემთხუცვის. ორკერძოთავე კეთილთაგან მოკლებულსა: აწ უკუპ საყუარელნო: კეთილ ვიდრემე არს საყუარელ ღუთისა კრთომაჲ ჯეროვანთა კეთილთა თვს: გარნა არავე უაღვროდ: რათა არა კაპანთა შორის შთაგუპრდებულთა: მრჩობლ ორკერძოვე და ქირვებაჲ ზღვევის გამომსახველა შეგვემთხვოს:

რამეთუ*) სილაღით უკუპ მეცადინთა ყოველთა რაჲსავე მოქმედებათა თვს უეჭუტელად უაღვროება საცნაურ ყოფით: საბასრობელ ჰყოფს: ხოლო სასოებით მეძიებელთა ტრფიალების მქონთა თვს ფრიალცა სამადლობელ ვითარ ვჰგონებ: კეთილ მისათუალველობით ღუთისა მიერ. და ესე ოდენ ვიდრელა თიკისაგან შენიფთებული სხეული გონებისა ტრფიალებითა: სიყვარულით რაჲ მეცადინობდეს: ეთერთა განკუტბელობით აღქუერვალობასა ღეთისამი სიტკბოებით უკუპ განუხუამს წიაღთაჲ წყალობისათჲ. და თანა ღმობით მოწლოებითა სიყუარულთა მიერ ურცხვნელობით სახარულევან ჰყოფს სულსა ყოვლად სახიერი იგი. და უშურველად მავემებლობით ზეციერთა კეთილთა შორის, სამარადისოსა მკვდრობასა მიანიკებს: დიდებაჲ სახიერებასა მისსა: ხოლო მე უზომოჲსა სასოებისა მქონებელი არა განუხილველად ვიდრემე კელმყოფელი ვერ შეძლებისაჲ კადნიერ ვიქმენ და არცა ვიდრემე შემრველობით: განმხრწნელ ვიქმენბი სასოებასა კეთილსა სილაღითა ბოროტებისაჲთა: არამედ უკუპ ზეშთა: ზომისაჲცა სასოებამან და ტრფიალებამან სიყუარულისამან, აღმძრა კინი სიტყუაობით კელ ყოფად უნიფთოჲთა ჰევშვთა რწყვად

*) ამის გვერდით ეს სწერია: „ზოი ქალწულო: და განმანათლებლო: ყოველთა ქართველთაო: და მომსრველთაო: და დამთარგუნველო: არმაზ: გაცი: და: ზადენისო: გამომზრდელი: ქრისტეს: სასწაულისაო: მქადაგებულო: გზისა: ქეშმარიტისაო: დედის: ღმრთის: რათა: მეოზ: მეყოს: წინაშე: ძისა: თვისისა: ამენ.“

შუენიერებასა რაბამთა სამოთხეთასა. და, არა ვიდრემე აქამომდე დაყენებულ ვიქმნე კეთილ საგონებლობით ჯერეთა ცა ტრფიალებით მეცადინევე უსრულესისა შემმატებლობით. არამედ კუალადცა მცირედ ვმეტყულებდევ ვინაჲთგან უკუ სარგებელსა სიტყუსა ჩუენისასა; აღვრ ვასხნით უსუს სურობითა მორბედებისათა:

მოვედით უკუ კუალადცა შემოკერბით საკრველითა სიყუარულისათა შეერთებულნი ქრისტეს მიერ წოვნილობითა წმიდისა მიპრონისათა აღზრდილნი ეგე ერნი მორწმუნეთანი და სანოვაგისა მის წმიდისა უკუდავ მყოფელისა. სულთა ჩუენთასა გემებისა წილ: კინოდენი რაჲმე ნაცვალ ვაგოთ ჩუენცა შესხმითა სიტყუაჲთაჲთა მსგავსად ძალისა: რეცა შესაჲ ნელებლად სახედ სულნელთა მაშუსებლობით სულთა მაყნოსებლად: რაჲმეთუ რაჲმცა ვინ ღირსი ჯეროვანი ქებისაჲ ისიბრძნისმეტყუელა მეცადინობით ტრფიალმან შესხმისა თვს: სუსტისა ცხოველისა, საუფლოსა კუართისა და კათოლიკე ეკლესიისა:

რაჲმეთუ რომელი თვთ თავადისა ღუთისა-ნათლით მფლობელისაჲ მიერ ნათლითა უსაზღუროჲთა ნათელ ცისკროვნობით ეღვარედ განშუენებულობდეს: და რომელი ცეცხლისა მის ღუთაებისა გუამსა ნთლისა საგრაგნელ ქმნილ იყოს: და რომელსა შინა თვთ იგივე თავადი ღმერთი მარად მკვდროჲ ღლის; რაჲმცა ვინ უკუ შესხმაჲ მოიპოვას ხეულთაცა უვადრესობის მქონებლობით მდებველმან სულისამან: ზემთა გონებისაცა თუ ჰკრთებოდისევე: გარნა თუ ვინაჲთგან ძალი-სა ებრსა სიყუარულ ყოფასა ღუთისასა ვმჰვრობლობით მსახობებლთა უკუ კაცთ-მოყურისამი: აღვძრნეთვე ორღანონი და საქანელნი მეტყულებისანი, და უხუცებით უკუ წარმოაცენებდენ ნამუშავეთა გულისათაჲ ენაჲ ბაგეთა შორისობით მადინებელსა მას ნეკტარსა. მაგემებელსა სულ სასმენელთაჲსა მხიარულებით და ვიტყოდით სიტყუათა შესხმისაჲთ ესრებთ:

გიხაროდენ ზოი: კათოლიკე ეკლესიაო: რამეთუ პირ-
ულდ უკუპ შენდა მომართ იყო დაწყებაჲ სიტყვასაჲ: ვინაჲთ-
გან პირმშობეჲ შენ შორის საცნაურ იქმნების მოწმუნეთა
ერისაგან: რამეთუ შენ შორის შემოსელ ვიქმნებით ნათელ-
სა მას ქრისტეს მიერსა: და ღმერთი მარადის შენ შორის
მკვდრ არს: ვითარცა იწოდებიცა საყდარი ღუთისა და წმიდა
წმიდათა: რომელი მხოლოდ ესე ოდენ უკუპ უეჭუსლად
ყოველთა მიერ კმა არს შესხმად და ქებად დიდებისა შენისა
სანატრელისა: რაჟამს უკუპ ღმერთი შენ შორის განსუსნე-
ბულობდეს: მიმდემად:

გიხაროდენ ზოი: სუსტო წმიდაო ცხოველო და ცხო-
ველს მყოფელო: რომელი ნათელმან უსაზღვრომან ნათელ
მფლობელმან ძემან ღუთისამან: ნათლად ვლვარედ და სუს-
ტად ცეცხლისად აღგმართა: ნათელ მყოფელად გულებსა
ქართუსლთა ერისასა: დაბნელებულსა კერპთა საცთურისა-
გან: ხოლო ურწმუნოთა ცეცხლებრ უწყალოდ შემქმელად
ღირსად მისაგებელად ლტოლვისა თჳს წმიდისა ნათლისა შე-
ნისა: ზოი: სუსტო წმიდაო და ცხოველო:

გიხაროდენ ზოი: კუართო საღმრთოო ნეტარებით შემ-
ცველო გუამსა ცეცხლისა მის ღუთაებისასა: რამეთუ
ყოველთა შორის ისაკრუსლების შენ მიერი ეგე სასწაული:
რაჟამს ცეცხლისა მის ღუთაებისასა: რამეთუ ყოველთა შო-
რის ისაკრველების შენ მიერი ეგე სასწაული. რაჟამს ცეც-
ხლსა მას ღუთაებისასა მობლარდნილ იყავ და შეუხებე-
ლად გებული სასოდ და სიმტკიცედ ნათესავისა ჩუპ-
ნისა: ჰგიე დღეინდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდეცა
და უეჭუსლად მისივე იყო ძალი: უცნაურად დამკუსლი
სიწმინდისა შენისა: ზოი: სამ გზის სანატრელო კუართოო:
საღმრთოო:

გიხაროდენ ზოი: ეკლესიაო ღუთისაო: რომლისა დამ-
უფლებელმან მან ყოველთამან ღმერთმან: საფუძუსლად შეუძრ-
ველად სიმტკიცისად: წმიდანი მოციქულნი დაგისხნა ქუსშე
სიტყვას ებრ საუფლოსა: ვითარცა ჰრქუა თავსა მას მოციქუ-
ლთაჲსა პეტრეს: ვითარმედ „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა

ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი: რომელსა ბქენი ჯოჯოხეთი-
ხანი, ვერ ერეოდინო: ხოლო მოწამენი ტაკუკად დაგვიდნა
ვითარცა ძუძუნი: რომელთაგან ნექტარსა სისხლთასა მწოვნე-
ლნი ოხქანსა უკუდავებისასა შიშობუელნი ვმოხარულობთ
საუკუნოდ: გიხაროდენ ზოი: სუტო ნათელიო: რომელი
ნათელსა მას კუართსა ნათლისასა სახედ მზის თუალისა ზეით
ჩამო უქვრობ: რომელსა შუქნი ელვისანი სხივთა მათ ცეც-
ხლისათა და დაგიმართებინ: რომელნიცა უკუტ მრჩობლო-
ბით საკვრუტლად ჰკრთებიან ვითარცა რა მარჩბივნი ელვანი
ცისკარსა შორის:

გიხაროდენ ზოი: საბლარდნელო ღუთისაო ჯელთაგან
კაცობრივთა შეუმზადებელო: რომლისა უზეშთაესობეჲჲ
ყოველთაგან, ზეით ქსოისა სახელმან საცნაურ გყო:
რომელსაჲ კურთხეული იგი ყოველად წმიდაჲ დედაჲ ღუთისაჲ
ოდენ მხოლოდ ღირს იქმნებოდა წმიდათა მათ მიერ კელთაჲ
მსახურებისა თჳს შეხებად: რამეთუ შიშით რაჲ და მოწიწებით
შთაგმოსის ძესა თჳსსა და ღმერთსა მრჩობლ ორკერძოჲვე
ნეტარებაჲ მოგეცემოდა: ძისა და დედისა მადლითა ორთავე
შეხებისა თჳს: ზოი, სამგზის სანატრელო კუართო ღუთისა და
მაცხოვრისა ჩუტნისა იესო ქრისტესო: გიხაროდენ ზოი:
კათოლიკე ეკლესიაო: ნამდვლვე შესაკრებელო ყოვლისა
კეთილისაო, ვინაჲთგან თავი იგი ყოველთა კეთილთაჲ და
საუნჯეთაჲ დამზადებელი და ღმერთი ყოველთაჲ შენ შორის
მკვდროის: ამის თჳს უკუტ ითარგმანები შესაკრებელ, რამეთუ
ყოველნი მორწმუნენი შენ შორის შევიმოსთ ნათელსა ქრის-
ტეს მიერსა, და შენ შორის ვითხოვთ გამოქნასაცა ცოდუათა-
გან და შენ შორისვე იქმნების საუკუნოჲ სამკვდრებელი
ჩუტნი: შემდგომად დაქსნისა სხეულთა ამათგან კაცობრივთა
სასოებით კეთილითა: რათა ურცხვენელნი მხიარულებით
აღედგეთ უკანაჲსკნელსა მას დიდსა დღესა განკითხვისასა:

გიხაროდენ ზოი: სუტო ცხოველო და წმიდო:
პირუტლითგანვე შესწავებულო: სასწაულებითა და ნიშნარე-

ლობითა ფერად ფერადითაჲ განშუშნებულო: რაჟამს იგი ისრატლთა ერსა წინა უძლოდღე და უცთომელად ავლინებდო: ვინაჲცა ენება შენ მიერ დამბადებელსა ყოველთა ნათულთასა და შენ მიერთთა საკვრულთ მოქმედებითა იდიდებოდა: ღმერთი უდაბნოესა მას ორმოც წელ: დიდისა მოსეს თანადობითა დიდითა ლუაწლ მრავლობით ებგურ ქმნილო შესაწევნელად ისრატლთა ერისა: ხოლო მომსრველად უცხოთესლთა და ამაღეკისო: გიხაროდენ ზოი: კუართო: ძისა ლუთისაო რომელი საკვრულლებით შემწულ ექმენ მას: რომელსა ცანი ვერ შემძლებელ არიან დატევნად: გარე შემოუწერლობითა შეუსასღვრებელსა მას ბუნებასა ლუთაებისასა, და შენ შორის საკვრულლებით დაიტიე ნათელ ცისკროვანი იგი გუამი ლუთაებისაჲ: რომელი იგი ელვისსახედ ჰკრთებოდა შენ შორის და მის მიერ გამომკრთალითა ნათლითა ყოველი სოფელი განათლდებოდა უშურველად:

გიხაროდენ ზოი: საყდარო: ლუთისაო: რამეთუ შენ შორის შეიერთებინა ზეცისა და ქუცყანისანი: ზენი ქუცთა თანა დამდაბლებითა; და ქუცნი ზენათა თანა ამაღლებითა და ძნობით უპირობენ დამბადებელსაჲ მათსა ღმერთსა დაუცხრომელად ნარნარითა მით დიდებისმეტყულებითა: ვითარმედ წმიდა არს: წმიდა არს უფალი საბაოთ: სავსე არიან ცანი და ქუცყანა დიდებითა მისითაჲ ოსანნა მადალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი: და დამკვდრებული შორის საყდრისა დიდებისა მისისასა ქუცყანასა ზედა: რომელი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე: გიხაროდენ ზოი: სუტო ცხოველო და ცხოველსმყოფელო: რომლისა შორის სულნი წმიდანნი მრავალ გზის მოხარულობენ: რამეთუ ხილვით შენითა ანაყოფებდი უკუდავებისა ცხოვრებასა: რაჟამს ჟამითი ჟამად ეჩუშნებოდნი სულებსა წმიდათასა უდაბნოთა შინა და ნაპრალოთა კლდისათა მოლუაწე ქმნილთა და მოწამეთა ლუაწლ-მრავლობით განშუშნებელთა: რომელნიცა ხილვითა შენითა განმტკიცებულბდეს მიმხედველნი სასოებითა მერმეთა მოსაგებელთაჲთა:

კეთილ მკვრობლობითა: გიხაროდენ მრჩობლნო ნათელ-
ლნო და მარჩბივნო თუალნო მზისა უნათლესნო: რო-
მელნიცა მიმდემად უკვრობთ ურთიერთარს და აკრ-
თობთ ვითარ სახედ ელვამ ვთერსა, და მზე ცეცხლსა
და ცისკარი მთიებსა: რამეთუ სუსტი უკვრობდეს
რამ ზეით ჩამო კუართსა და კუართი ქუისთ ამო სუ-
ტსა ურთიერთას შესტკრებოდიან: მრჩობლნი იგი ნათელ-
ნი: ვისნიცა უკუს არა მოხარულობდეს სულნი სანატ-
რელსა მას სახილავსა ნამუშავევსა ძისა ღუთისასა: გიხა-
როდენ ზოი: ეკლესიაო წმიდაო: რომელსა შინაგან საშოსა
გიპყრიეს ძუძუდ სუსტი წმიდა ნათლისაჲ მაწოვნებელი არა
ვიდრემე სძესა: არამედ მირონსა წმიდასა: უკუდავ მყოფელ-
სა სულთასა: რომელიცა უშურველად უწყაროებს ნექტარსა
მას უკუდავებისასა მაგემებელსა ყოველთა ჭრისტე შემოსილ-
თა ერთა სულებისასაჲ:

გიხაროდენ ზოი: გოდოლო შემცუპლო ნათელსაჲ მას
თუალთ შეუდგამსა: რომელი სახედ აღაბასტრისა გპყრიე:
რომელსა გიტჯრთავს შინაგან სულნელებაჲ წმიდაჲ და
წმიდა მყოფელი: საყნოსებელი სულებსა წმიდათასა: რა-
მეთუ წინაჲთვე უკუს მოგასწავებდა იგი დედაკა-
ცი რაჲმს შემუმუსრველი აღაბასტრისაჲ ფერკთა ვიდრემე უფ-
ლისაჲათა მცხებელი ნელსაცხებელისაჲ, ღუაწლოოდა: რამეთუ
აწინდელი უკუს ესე სახე გექმნების წარმოცემაჲ წმიდისა
მიპრონისაჲ: დაღაცათუ შენ შემუმუსრველად ჰიგიე აწ და
უკუნისამდე: **ქქ**

გიხაროდენ ზოი: კუართო საღმრთოო: რომელი მცუპ-
ლად და მფარველად მოენიქე ნათესავსა ჩუნ ქართველთა-
სა ძისა ღუთისაგან და მფარველო: და შემცველო არა ოდენ
ვიდრემე გუამსა ღუთაებისასა: არამედ უფროჲსა შიშულო-
ებაჲსა სულთა ჩუნთასა ცოდვსა მიერ: რამეთუ საკსრად და
წინდად ცხოვნებისა ჩუნისა წინასწარვე წარმოგაჲლინა ყოვ-
ლისა სიბრძნით განმგებელმან: რათა კეთილითა მით და სა

ნატრელითა ებგურ ქმნითა კეთილ მმართველობით იყუანებდნე სულთა ჩუხნთა გზასა ჭეშმარიტებისასა:

გიხაროდენ ზოი: საყდარო ცათა მობაძავო: რამეთუ მუცელი შენი წმიდაჲ წმიდისასა ყოველად უაღრესსა და უზეშთაესსა მტკრთველ არს შუენიერებისა და ყუავილოვნებაჲსა აღმკულებითა მის შორის მყოფთა ნათელთაჲთა: რამეთუ რაჟამს სუსტი ცხოველი და კუართი საუფლოჲ ურთიერთას ჰედებოდინან კრთომითა: სახედ მზისა და მთოვარისა: ხოლო მდღელნი და დიაკონნი ფერად ფერადსა კრთომასა საცნაურ ჰყოფდენ სახედ ვარსკვლავთასა განწმედილობით მსახურებითა უბიწოთაჲთა და ქერაბინ სერაბინებრივთა რაჲ ბაგითა მსხუცრპლსა საუფლოჲსა ზედა ნარნარად მგალობელნი მოწიწებით ჭაშნავირობდეს: რათამცა უკუს შესწორებულობდა არსთაგანნი, ღირსებასა ნეტარებისა შენისასა: ზოი: საყდარო ცათა მობაძავო: გიხაროდენ სუსტო ნათელო: რომელი ძისა ღუთისა ღდიდებასა ღუთაებისასა საკრუსლობით მწამებელ ექმენ, რაჟამს თაბორს ჰკრთებოდნე ნათელთ მფლობელსა მას ზედა რჯესო ღმერთ-კაცსა მეორედ მოსლვასა მაუწყებლობდა რაჲ: რამეთუ ჰკრობამან დიდებისა შენისამან: თავნი იგი მოციქულთანი ძესა ზედა ღუთისასა უცხოჲ სახედ მხილველნი რეცა უსულო ქმნით მოუთმენელობდეს ზარ განკდილნი ერთბამად ნათლისაგანცა დიდებისა შენისა, და ოხრისაგანცა მზისესა და ელიაჲსასა და კუალად იორდანესცა რაჟამს წყალთა შინა ცოდუასა კაცთასა დაანთქმიდა: ხოლო ყოველივე დიდებაჲ მისვე ღუთის მიერ იხილვებოდა: გიხაროდენ ზოი: კუართო გამოუთქმელო: ქებითა კაცობრივთა ენათაგან: რამეთუ უკეთუ მონათა საგრაგნელნი: ესრეთ იდიდებიან ვიდრემე ვითარცა საცნაურ არს აჰრონის შესამოსელთა თჳს: მოსეს პირის საბურველისა თჳს: გლიას და იოანეს ხალენი და თჳს: პეტრეს და პავლეს სუღარ ვარშამანგებისა თჳს ვინმე უკუს შეუძლოს შესხმად დიდებისა შენისა რომელსა ცანთცა ვერ დაიტევენ: თვით ღმერთი იგი დამბადებელი ყოველ-

თა შენ შორის სათნო ყოფით დატევნულობდა: ზოი: სამგზის სანატრელო კუართო საღმრთოო: რამეთუ თვთ მებრესე ოდენ კმა არს შენდა ქებად ღირსებით სახელის დებად ოდენ ღუთისა კაურთობისაჲ შენ შორის კუართო საღმრთოო და საუფლოო:

გიხაროდენ ზოი: საყდარო ღუთისა მალლისაო: რამეთუ აწ ვიდრემე უზეშთაესსა ღ უსანატრელსა ქებასა ქებათასა ვიძულეები შესხმად შენდა: რომელსა ვერა რაჲ ესწორების ამას ნეტარებასა: ვაშა უკუპ: ვაშა შენსა ქებასა და დიდებასა: რამეთუ ვინაჲთგან საყდარ წოდებითა ღუთისათა: და შენ შორის დამტევნელობით ღუთისაჲთა სახე ექმნების უზეშთაესსა მას ყოველთა დაბადებულთასა: უვალრესობით აღმატებულსა ყოველთა ქებათასა: ყოველად წმიდისა ღუთის მშობელსა და მარადის კურთხეულსა მარიაჲს დედასა ღუთისასა: რომლისა შორის დატევნულ იქმნა: რაჲ უკუპ დიდებადა, ვინ შეუძლოს ქებად შენდა ზოი: სამგზის სანატრელო: რამეთუ კმა არს შენდა ქებად და დიდებად მიმსგავსებაჲ. მისი: რომლისა მიზეზითა ღმერთი ქუსყანად გარდამოკდა და ზეცისა და ქუსყანისანი შეგუაერთნა ურთიერთას: ხოლო მგემებელნი კორცსა და სისხლსა ძისა მისასა მის მიერ ვმოხარულობთ უკუნიითი და უკუნიითი უკუნისმდე:.

გიხაროდენ ზოი: სუსტო ნათელი და ნათელს მყოფელი ყოველთა მსასოებელთაჲ შენთაო: რამეთუ შენ შორისცა ვიდრემე უვალრესისა და უზეშთაესისა ქებისა და ნეტარებისა შესხმასა შევჰმზადებ: ბოლოდ ყოველთა კეთილად და ოხაქნად დასასრულისად: რამეთუ შენცა უკუპ მსახეობლობით პატივ გიპყრობ ყოველად კურთხეულისა მის დედისა ღუთისა: რამეთუ ქეშმარიტად სუსტად ნათლისად მოსწავებულად უწყით წმიდათა წერილთაგან წოდებაჲ შენი ქუსყანით ზეცად მიწვენულად: ქუსყანით ვიდრემე აღმოცენებულად: ხოლო ზეცას აღმწუსრვალეებულად: რომელი მის შორის მკვდრ ქმნლისა უფლისა სამარადისოდ ჰვიდებ

და ღმერთი მის მიერ ჩუენ შორის: ამისთვის უკუტ: რაბამ არს უაღრეს სიტყვსა ესენებაჲ და ქებაჲ შესხმისა შენისაჲ სუტტო ნათელი მსახეებელი ნათლისა უაღრესისა მის სუტტის სანატრელისა ქალწულისაჲ:

გიხაროდენ უკუტ პრავალ რიცხუდთა და უსახლეროთა: შენ შორისცა ვიდრემე ღუთისმეტყულებ ზოი: კუართო უსანატრელესო ყოველთა ნეტარებათაჲსა: უკეთუმცა ყოველნივემცა ღუთისმეტყუელნი ვინ და რიტორნი ღ ფილოსოსობისა უზეშთაეს მქონებელნი შემოკრიბნა ვინ: რადამცა ვინ შეუძლო ღირსებაჲსა ნეტარებათა და შესკმათა შენთასა ვინაჲთაგან უკუტ მიუწოდმელთა ქებისაჲთა მრჩობლთა ღირსიქმნეს პატივთა რაჲჲმს ბუნებაჲ ღუთაებისა: სხეულსა შორის მყოფი: შენ მიერ: შემცველობდა და კუალად ყოველად წმიდისა დედისა მისისა ყოველად კურთხეული იგი და სანატრელნი თითნი: ნანართა ტკბილ განრჩუნვლობითა, სურვილით და სიყუარულით მოწლედ მსახურ გექმნებოდეს:

ზოი: გამოუთქმელი იგი და საკრუსლი ნეტარებაჲ შენი, საუფლოო და საღმრთოო ნათლისა საგრაგნელი, აელვებით ნათელცისკროვანო, კუართო წმიდაო: ძისა ღუთისა სხეულისა დამფარველო: დასასრულისა უკუტ ზოგადსა და ერთობითსა გიხაროდენსა შეგიტხზავ, სამნო განუყოფელნო განყოფილად: განყოფილნო და განუყოფელად ერთ ნათელნო და ერთ მნათობნო: მსახეებელნო წმიდისა საშებისანო: გიხაროდენ უკუტ გიხაროდენ ღ კუალადცა ვიტყვი პატივად სამებისაჲ სახედ რიცხვსა თქუენისა: გიხაროდენ საყდარო წმიდაო: სუტტო ნათელი ღ კუართო საღმრთოო: ვითარღა უკუტ ნეტარ არს და სამგზის სანატრელ ესენებაჲ და ქებაჲ სიწმიდისა თქუენისა: უმეტესად და უზეშთაეს ამისთვის: რამეთუ მოსწავებაჲ თქუენი ყოველითურთსა თანადობასა ყოველად წმიდისა ღუთის-მშობელისასა: საცნაურ ჰყოფს: საყდარ ქმნილობით: შენ შორის დამკვდრებითა ღუთისათაჲ ეკლესიაო წმიდაო და სუტტად ნათელად ვთერ ცისკროვანი:

ბით განმანათლებლად ნათესავისა. კაცთასა: სუტო ნათელთა და ღუთაებისა ბუნებაჲსასა შემცველობით და მფარველად: კუართო საღმრთოო: გვდინებლით უკუ მარადის: გვდინებით ოქრო ნექტარსა და უშურველად წარმოცენებით, გვწყაოროებლით მიპრონსა წმიდასა უკუდავ მყოფელად საგემებელსა სულისასა და მოგვანიჭებლით მადლთა საღმრთოთა უხუცებით და შენდობასა ცოდუათასა: შეწევნითა მისვე დედისა ღუთისათა, სასოებით ტრფიალთა წყალობისა მისისა მეძიებელთა: რამეთუ ღირს არს მეძიებელი წყალობისა: მისისა ვინაჲთგან უკუ მცნებაჲ არს ძისაჲ მისისა: ვითარმედ ირეკლით და განგელოს: ეძიებლით და ჰპოოთ:.

ოკვეთუ რაჲ დავაკლოთ ჯერისა ებრსა ღირსებასა: ვით არცა კორციელებრ სხეულსა შორის განფრდილობის მქონთა: სძლევიდინ უკუ წყალობაჲ და კაცთმოყვარებითი სახიერებ აჲ ძისა მისისა უძლურებაჲსა ჩუწნსა: ვითარცა იტყვს ვითარჲდ რომელმან მოიდრკოს ქედი მისი ჩემდა არა გარე მივიქციო პირი ჩემი მართლ უკუნ წყალობითა ჩემითა: არამედ სძლევიდინ სახიერებაჲ ჩემი უძლურებაჲსა მისსაო: ამის თვს უკუ ვიოხთ თქუწნ მიერსა შეწევნასა: თანადობითა ყოვლად წმიდისა და კურთხეულისა დედისა ღუთისასა ზოი: სამნო სამ ნათელნო: მსახეებელნო წმიდისა სამებისანო: არამედ უკუ-სმე მეტყუჴლსა სიტყვასა კადნიერ მქნილობით: არა ვიდრემე სილადით: არამედ მსასოებელსა კეთილთა წადირებისასჲ მომატყუჴბებელ მექმნენით: კელ ყოფისათვს: რამეთუ თქუწნ ითჲ მინდობითა ვიწყე სიტყუად ჲ შეკადრებად უმეტესსა ძალისასა: რამეთუ უწყი კეთილად სრულ ყოფა ღუთისა სასოებით ნამეტავსაცა ძალისაებრსა კეთილ საგონებელობით მეცადი-ნობაჲ: ვინაჲთგან ძალი მისი უძლურებაჲსა შინა სრულ იქმნების სიტყვსაებრ სამოციქულოჲსა რამეთუ უეჭუჴლად ნამდვლვე ყოველთა მსასოებელთა მისსა მიმართთა: ყოვლადვე და მარადის ურცხუჴნელ ჰყოფს ურცხუჴნელი იგი ყოველთავე მისა მიმართ მიღტოლვილთა: სახიერი და კაცთ-მ-

უკუარე ღმერთი ჩუბნი: რომელსაცა ვაქებდეთ: ვაკურთხევ-
დეთ და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულისა:
იამებასა ერთ არსებასა: აწ და მარადის და უკუნითი უკუ-
ნითი უკუნისამდე ამენ:.

ჩუენ მეფედ შარავანდედმან დავითიან პანკრაძეოვანმან
კათალიკოზმან პატრიარქმან დომენტი განვაახლეთ ცხოვრებაჲ
ესე სუტის ცხოვლისაჲ ღმერთო და წმიდაო ღუთის მშო-
ბელო. შეიწყალე და შეუნდე ცოდვანი მისნი: სუტის
ცხოვლისა ვინ გამოსწიროს წყეული იყოს ვინც განკრწნას და
დაქრას:.

ქს: ტეზ: ქრისტეს აქეთ: ჩლო: შეიწყალე პატრიარქი.
დომენტი ამენ უფალო.

სუტო ცხოველ ბრწენგალო: დუთაჲ-დმარებულო: განანათლე
შეალობენი და შადიდებენი შენნი:.

ტ რ ზ ა რ ი ხ მ ა ტ

კათლიკე ეკლესიისა დღესასწაული სუტისა წმიდისა და კუ-
ართისა საუფლოს: ნათელი შემოჭკრეის კიდეთა სოფლისათა უკუ-
დავებად წმიდად მირანსა გვწყარებს: რომენი წმიდასა ღუთის-
მშობელსა და მისგანც შობილსა ქრისტეს თაყუანასვქსცემთ: რათა
გვქპავთ ცხოვრება სულთა ჩუბნთა:.

კ რ ნ დ ა კ ი ხ მ ა ა გ ა გ ე

რომელი ჩუბნთვს ჟუარს-ცეჲ და სიშუშულე ჩუბნი თვისს
მიმართ უოვლად წმიდისა დაფარუად წყალობით ჭეო: მოვედით ერნო
მცნობენი მხაღვასა მის უვნებელისა და ვნებულისანი ვადიდებდეთ
მჩნობლთა შინა ერთად ქრისტედ მცნობენი მისნი: და უგალობ-
დეთ შენ ხარ ღმერთი ჩუბნი უოვლად ძლიერი: კანც-მოუუარე და
შადიდებენი:.

Ծարձայճիտ : Ծժեւ Ծ Իմեր
Ծ րէ կուեւ կւծիցեւ օղիտ
ու շեղցեւ . արժէ Ծն Ծ
պիտ պիղ օղի : . . .

Ին հարտ ցւտրիճի Ծտեի աւեզի
բարեճի հեճի արժէ Ծն Ծաճից ցիտ
բարտ ըւծից րկի կպիցի ըբարտ վեւ
ուա Ծ րու ուն ճցոսա . ցրտպտի Ծ
ցրաճից րժից Ծն : կպիցի ըբարտ
ուեւ րոն ցճակ րուեւ րոպտո ուսե .
ճեւ ցիցի րուեւ Ծ Ծ րուեւ :

ԿԿԵ ԸԿԵ ԿԵ ԿԵ : ԻՆԾ :

ցի արժէ Ծն . Ծաճից րու
ուճի ւ :

